

სამოქალაქო
თანასწორობისა
და ინტეგრაციის
სახელმწიფო
სტრატეგიისა
და სამოქმედო
გეგმის შესრულების
მონიტორინგის
შედეგები

2017-2018

სახალხო დამცველთან არსებული გოლერანგობის ცენტრი,
ეროვნულ უმცირესობათა საბჭო

კუბლიკაცია დაიბეჭდა საქართველოს გაეროს ასოციაციისა (UNA6) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „გოდეანგზონის, სამოქალაქო მწოზიეებისა და ინგებეაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ჟაგბებში.

კუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ პოზიციად.

ავტორები:

განათლება და სახელმწიფო ენა: ნათია გორგაძე, ლილი საფაროვა, ნაირა ბეპიევა;

მედია: გიორგი გოგუაძე, ზაურ ხალილოვი, მიხეილ აიდინოვი;

კულტურა: კონსტანტინე ფერაძე, მარინე სოლომონიშვილი, ვალენტინა მარჯანიშვილი;

კანონის უზენაესობა, სოციალური და რეგიონალური განვითარება: შორენა კობაიძე, მარგალიტა ხიდირბეგიშვილი, ნონა ხანგოშვილი;

თარგმანი: ქეთევან მამულაშვილი;

დიზაინი/დაკაბადონება: გურამ მურადოვი.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



unag
საერთაშორისო გაეროს ასოციაცია



საპარტემენტოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა.....	4
შესავალი	9
სტრატეგიული მიზანი 1. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში	10
1.1. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა	11
1.2. გენდერული მენისტრიმინგი	13
1.3. სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის	15
1.4. ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.....	16
1.5. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.....	17
1.6. ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.....	20
დასკვნა	20
რეკომენდაციები	21
სტრატეგიული მიზანი 2: თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა.....	23
დასკვნა	24
რეკომენდაცია	25
სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება	25
3.1. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის.....	26
3.2. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე	30
3.3. უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	42
3.4. პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა	49
რეკომენდაციები	53
სტრატეგიული მიზანი 4: ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება	58
4.1. კულტურული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლის და მნიშვნელობის ასახვა	59
4.2. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია.....	60
4.3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება	63
დასკვნა	64
რეკომენდაციები	65
დანართი 1	66

მოკლე მიმოხილვა

2017 და 2018 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა 2019 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში განახორციელეს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ უმცირესობათა პოლიტიკურ, სამოქალაქო, სოციალურ, მედია, საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობისთვის შემუშავებული სტრატეგიული მიზნების განხორციელების და არსებული გარემოს ანალიზი. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები თბილისში, რუსთავეში, ახალციხეში, ახალქალაქსა და მარნეულში უმცირესობათა სათემო, მედიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი ოფიციალური ინფორმაცია, პერიოდული ანგარიშები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თემატური და ანალიტიკური კვლევები, ცენტრალური და რეგიონული მედია ინფორმაცია¹. წინამდებარე ანგარიში ასახავს დასახელებულ წყაროთა ტრიანგულაციით მიღებულ შედეგებს და შესაბამის რეკომენდაციებს.

აღნიშნული მონიტორინგის მიზანი იყო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2017-2018 წწ.) შესრულების თვალსაზრისით არსებული ვითარების შესწავლა/შეფასება და არა ზოგადად ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების მდგომარეობის შესწავლა/შეფასება. აღნიშნულის გამო წინამდებარე დოკუმენტში არ აისახა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისთვის მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი.

ძირითადი მიგნებები

პირველი სტრატეგიული მიზანი – თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში:

- 1.1.** მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების მხარდაჭერა, ყურადღება გამახვილებულია ბოშათა თემის დოკუმენტაციაზე, მცირერიცხოვან ეთნოსთა ენების სწავლებაზე, პანკისის ხეობის განვითარების გეგმაზე.
- 1.2.** გენდერული მენისტრიმინგი. განხილულია უმცირესობათა რეგიონებში არსებული „ქალთა ოთახები“, შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კურსი, რომელიც უმცირესობათა რეგიონებში დასაქმებულმა ინსპექტორებმა და გამომძიებლებმა გაიარეს და სხვა.
- 1.3.** სახელმწიფო და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობა. განხილულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უმცირესობათა წახალისების მიზნით, ქვემო ქართლისა და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებთან არსებულ უმცირესობათა საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობა. ასევე, „1+4“ სასწავლო პროგრამის მონაწილეთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირება, უმცირესობების წარმომადგენლებთან სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციული შეხვედრები და სხვა.
- 1.4.** პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უმცირესობათა მონაწილეობის წახალისება. განხილულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ უმცირესობათა ინფორმირების ღონისძიებები და ჩატარებული საინფორმაციო-სასწავლო პროექტი.
- 1.5.** მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. საკითხი თემატურად ცალკე არის გამოყოფილი უმცირესობათა საბჭოს მონიტორინგის პროცესში. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მონიტორინგის მედიის მიმართულება სტრატეგიის ამ შუალედურ მიზანს განიხილავს ფართო კონტექსტში. უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიღების შემადგერხებელი ფაქტორებიდან ხაზგასმულია ენობრივი ბარიერი, რაც ზრდის უმცირესობათა მეზობელი სახელმწიფოების მაუწყებლობაზე

¹ წყაროებისთვის იხ. დანართი 1

დამოკიდებულებას. აღნიშნულია რეგიონული მედიის გაძლიერების საკითხი, რომლის დაფინანსების ძირითად წყაროს დონორი ორგანიზაციები წარმოადგენენ, ადგილობრივი სარეკლამო ბაზარი კი, ვერ ფარავს მათ საოპერაციო ხარჯებს. პრობლემას წარმოადგენს უმცირესობათა რეგიონების ინტერნეტიზაცია. აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ ეტაპზე გამოეთიშა სტრატეგიის განხორციელებას. თუმცა ამის პარალელურად მრავალფეროვნების გაშუქების მიმართულებით ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. ტელევიზიის აქტიური ჩართულობის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული პროგრამებისა და აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. აქვე გაანალიზებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი პროგრამები და ინიციატივები. განხილულია შენიშვნები/მოსაზრებები საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებული თარგმანის სიზუსტისა და მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის კუთხით. აღნიშნულია ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ძლიერი ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) საინფორმაციო არხების ზეგავლენისა და ამ პრობლემის მოგვარების აუცილებლობის შესახებ.

1.6. უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. შესაბამისი ღონისძიებები და შეხვედრები 2017 და 2018 წლებში ჩატარდა თბილისსა და რეგიონებში. სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად მასში მონაწილეობდნენ საჯარო მოხელეები, სტუდენტები, ფერმერები და მეწარმეები, რომლებიც გაეცნენ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპულ ჩარჩო კონვენციას და „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპულ ქარტიას.

მეორე სტრატეგიული მიზანი – თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2.1. უმცირესობათა სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა. მიზნის მიღწევისთვის განხორციელებულ ღონისძიებათა მონიტორინგის შედეგებით ირკვევა, რომ, უმცირესობათა თემებს აინტერესებთ სახელმწიფოში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ და სხვა სახის რეგიონალურ პროექტებში მონაწილეობა, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათ არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია. უმცირესობათა რეგიონებში ინფორმაციის ნაკლებობაა შეღავათიანი აგროკრედიტისა და „აწარმოე საქართველოში“ პროექტების შესახებ.

მესამე სტრატეგიული მიზანია უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება.

2017–2018 წლებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით მთავარ გამოწვევას კვლავ წარმოადგენს სისტემური ხედვების ნაკლებობა, ასევე, მოკლე, სამუალო და გრძელვადიანი ამოცანების არამკაფიოობა, რაც ხელს უშლის თანამიმდევრული პოლიტიკის განხორციელებას. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

3.1. შუალედური მიზნის - სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის. კვლავ იკვეთება ადრეული და სკოლამდელი განათლების ინსტიტუციების განსაკუთრებული ნაკლებობა იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად დასახლებული თემების უმრავლესობას ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. ამასთან, არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების სკოლამდელი განათლების მკაფიო ხედვა. პედაგოგიური კადრების განათლება და გადამზადება, რომელიც განათლების გეგმითა და ადეკვატური, მიზანზე ორიენტირებული რესურსებით უნდა იქნეს მხარდაჭერილი.

3.2. შუალედური მიზნის - ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ისე მშობლიურ ენებზე. ამ მიმართულებით საატესტატო გამოცდებში არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების მნიშვნელოვნად დაბალი შედეგები ქართულენოვან თანატოლებთან შედარებით, კვლავ მიუთითებს იმ გამოწვევებზე, რომლებიც სახელმძღვანელოების სასწავლო გეგმასთან შეუსაბამობითა და თარგმანის უხარისხობით, პედაგოგთა კადრების არასაკმარისი კვალიფიკაციითა და პროფესიული გადამზადების შეზღუდული შესაძლებლობით, ახალი კადრების სისტემაში შემოღინების სიმცირითა და სასკოლო განათლების ენობრივი პოლიტიკის არამკაფიო ხედვებით არის გამოწვეული.

3.3. შუალედური მიზნის - უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სტუდენტების ენობრივი მზაობის უზრუნველყოფა ქართულის ენის პროგრამის შემდგომ, საბაკალავრო საფეხურზე მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევისათვის, რაც სტუდენტებისათვის ინდივიდუალური, ენის ფლობის დონეების მიხედვით დიფერენცირებული პროგრამების შეთავაზებით არის შესაძლებელი.

3.4. შუალედური მიზნის - პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, პროფესიულ განათლებაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერებისათვის უფრო ინტენსიური ინფორმაციული კამპანიის, ხოლო მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი, სახელმწიფო ენის მხარდაჭერაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზება. ზრდასრულთა განათლების პროგრამებში, კვლავაც გამოწვევაა სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამების შედეგებისათვის მკაფიო ინდიკატორების განსაზღვრა და იმ ინდიკატორების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ამუშავება, რომელიც ზრდასრული მოსახლეობის გადამზადების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე მეტად, პროგრამების შედეგებსა და გავლენის გაზომვაზე გააყენებს აქცენტს ამ პროგრამების ფინანსური ეფექტიანობისა და გრძელვადიანი ეფექტის მიღწევისათვის.

მეოთხე სტრატეგიული მიზანია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება.

4.1. კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უმცირესობების როლისა

და მნიშვნელობის ასახვა. ამ შუალედური მიზნების მიმოხილვისას ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის დოკუმენტზე „კულტურის სტრატეგია 2025“. აღნიშნულია სახელმწიფო სამინისტროების, სააგენტოს, სსიპ-ის მიერ გაცემული განკარგულებები და ბრძანებები, რომლებიც მიზნად ისახავს უმცირესობათა კულტურის დაცვასა და პოპულარიზაციას.

4.2. უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის კუთხით სამოქმედო გეგმა ვერ პასუხობს უმცირესობათა მატერიალური თუ არამატერიალური მემკვიდრეობის წინაშე არსებულ გამოწვევებს. საფრთხის ქვეშაა სომხური სამოციქულო მართლმადიდებლური, კათოლიკური, მუსლიმური, ებრაელთა და დუხობორთა ძეგლები. გადაუჭრელია უმცირესობების ისტორიული თუ საკულტო ნაგებობების სამართლებრივი სტატუსი. არ არსებობს უმცირესობათა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და პოპულარიზაციის მდგრადი სახელმწიფო პროგრამები. სახელმწიფო მუზეუმებში არ არის წარმოჩენილი საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება.

4.3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება. განხილულია კულტურის სამინისტროს საგრანტო მექანიზმი, რომლის შესახებაც ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია. უცნობია განხორციელებული პროექტების ხარისხი და რელევანტურობა სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. პრობლემას წარმოადგენს უმცირესობათა ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნის ფორმა და შინაარსი.

რეკომენდაციები

ზოგადი სახის რეკომენდაციები:

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმები საჭიროებს ერთიან მეთოდოლოგიურ გამართვას, რაც გულისხმობს სტრატეგიასა და ყოველწლიურ გეგმებში რაოდენობრივი ან/და თვისებრივი შეფასების მეთოდის დანერგვას. როგორც აღნიშნულია, წლიური გეგმების ანგარიშებში, თითოეული აქტივობისა და მიღწეული შედეგისათვის შემუშავებული უნდა იქნეს რელევანტური თვისებრივ-რაოდენობრივი ინდიკატორი. სტრატეგიისა და გეგმის შესრულების ეფექტურობა, შედეგი და გავლენის ანალიზი შესაძლებელი იქნება განხორციელებული საქმიანობის რაოდენობრივი მაჩასიათებლების შესახებ ინფორმაციის, საერთო ფონის, არსებული კონტექსტისა და თვისებრივი მონაცემების ანალიზის საშუალებით.

პირველი სტრატეგიული მიზნის რეკომენდაციები:

- 1.1. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების სასწავლო პროგრამების განხორციელებისთვის პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, ბოშათა თემისთვის სამართლებრივი დოკუმენტებით საშეღავათო მომსახურება.
- 1.2. „ქალთა ოთახების“ საქმიანობის გაზრდილი მხარდაჭერა და უმცირესობათა რეგიონებში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელ პირთა უფლებამოსილების გაზრდა.
- 1.3. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, განსაკუთრებით „1+4“ პროგრამის მონაწილეთა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გაზრდა და მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებსა და შესაძლებლობებზე.
- 1.4. პოლიტიკური პარტიების და უმცირესობათა წარმომადგენლების თანამშრომლობის აქტიური ხელშეწყობა.
- 1.5. წინასწარ შედგეს სტრატეგიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ყოველწლიური ბიუჯეტი. საინფორმაციო პროდუქტების ეფექტიანობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია უკუკავშირის მიღების მექანიზმის გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობათა რეგიონებს სრულად მიეწოდოს ინტერნეტი. სასურველია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააგრძელოს და გააძლიეროს ეთნიკურ უმცირესობების საკითხების თემატური გაშუქება, გააუმჯობესოს და გააძლიეროს ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა და მასზე ხელმისაწვდომობა, მეტი რესურსი გამოყოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საკუთარი საინფორმაციო პროდუქტის პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობისთვის; უფრო აქტიურად, რეგულარულად და თემატურად ითანამშრომლოს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან უკუკავშირის მიღების მიზნით. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასურველია გაზარდოს ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობა და ჩართულობა პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ შესახებ. საქართველოს მთავრობამ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის საინფორმაციო არხების ზეგავლენის აღმოსაფხვრელად გადადგას კონკრეტული/ეფექტური ნაბიჯები და საამისოდ გამოყოს შესაბამისი რესურსები.

მეორე სტრატეგიული მიზნის რეკომენდაცია:

- 2.1. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ინფორმირება მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ.

მესამე სტრატეგიული მიზნის რეკომენდაციები:

- 3.1 რეკომენდებულია, რომ გარდა ადრეული და სკოლამდელი განათლების ინსტიტუციების საკმარისი რაოდენობისა და წვდომის უზრუნველყოფისა, განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების პირველივე ეტაპებზე იყოს გათვალისწინებული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი საჭიროებები. შესაბამისად, აისახოს ადრეული და სკოლამდელი ბილინგვური განათლების სტანდარტის, ბილინგვური აღმზრდელ-მასწავლებლის სტანდარტის, მათი გამაზადებისა და ახალი, კვალიფიციური კარების მომზადების, საჭირო რესურსების შემუშავების პროცესებში. ამასთან, საჭიროა, რომ ბილინგვური ადრეული და სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის მოსამზადებელი პროგრამების დანერგვა წახალისდეს საუნივერსიტეტო სივრცეში.
- 3.2. აუცილებელია, რომ განისაზღვროს ბილინგვური განათლების მკაფიო ხედვა, რომელიც კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, უპირველესად კი, სკოლების კვალიფიციური აღმზრდელთა კადრების შერჩევას, არსებული მასწავლებლებიდან პოტენციური კადრების შესაბამისი გამაზადებას და წახალისებას, საპენსიო ასაკის კადრების ეტაპობრივი ცვლილების სანაცვლოდ ახალი, კვალიფიციური კადრების შემოადინებას, სახელმძღვანელოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, და მრავალფეროვანი, არაქართულენოვანი სკოლების საერთო სივრცეში ინტეგრაციისათვის გამიზნულ კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვას მოიცავს. ამ მიზნების ნაწილს წარმოადგენს ასევე, ბილინგვური მასწავლებლის საუნივერსიტეტო პროგრამების მხარდაჭერა და წახალისება.

3.3. საჭიროა ქართული ენის ფლობის სტანდარტიზებული დონეების განსაზღვრა, დონეების სამიზნე ინდიკატორების შესაბამისად, სტუდენტებისათვის განსხვავებული ინტენსივობის, ხანგრძლივობის, სირთულის პროგრამების ჩამოყალიბება, რომელიც ქართული ენის პროგრამის დასრულების პერიოდისათვის, საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების პერიოდისათვის, სტუდენტების ქართული ენის სათანადო ფლობას განაპირობებს.

3.4. აუცილებელია, რომ თითოეული პროგრამისათვის, რომელიც ზრდასრულთა განათლების ნაწილად მოიაზრება, არსებობდეს კარგად განსაზღვრული მკაფიო ინდიკატორები, რომელებიც ერთი მხრივ პროგრამის ეფექტურობის გაზომვის, ხოლო მეორე მხრივ კი, ამ პროგრამებში ჩართული პირებისათვის შესაბამისი შედეგების ანგარიშვალდებულების ორიენტირებს მოიცავს.

მეოთხე სტრატეგიული მიზნის რეკომენდაციები:

4.1. კულტურის პოლიტიკის წარმოების პროცესში უმცირესობათა წარმომადგენლების აქტიური ჩართვა. კულტურის სამინისტროს შესაძლებლობა აქვს რეკომენდაცია მისცეს მის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო სახელოვნებო სსიპ-ებმა რეგულარულად ჩაატარონ უმცირესობათა რეგიონებში საგასტროლო და სხვა სახის ღონისძიებები.

4.2. აუცილებელია შესაბამისმა სამინისტროებმა და სსიპ-ებმა დროულად უზრუნველყონ უმცირესობათა კულტურული მემკვირეობის, განსაკუთრებით კი ავარიული ძეგლების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, გამაგრება და რესტავრაცია. შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ხელი უნდა შეუწყონ უმცირესობების რეგიონებში ტურიზმის განვითარებას, ტურისტული მარშრუტების შექმნას და ტურისტული (სასაჩუქრე, საკვები და აშ) პროდუქტების შემუშავებას და დამზადებას.

4.3. სასურველია უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერი კონკურსის შესახებ ინფორმაციის ეფექტური გავრცელება უმცირესობათა რეგიონებში. კონკურსის პრიორიტეტებში აისახოს უმცირესობათა ტრადიციების, რეწვისა და კულინარიის ხელშეწყობა მდგრადი და გრძელვადიანი პროგრამების მეშვეობით. უმცირესობათა თემებში ჯერ კიდევ არსებული ტრადიციული დღეობები უნდა შენარჩუნდეს მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმითა და შინაარსით.

შესავალი

საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა სახელმწიფოსა და საზოგადოების მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის განსახორციელებლად სახელმწიფო უწყებები მრავალი წლის განმავლობაში (2009 წლიდან) ახორციელებენ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

აღნიშნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავს მრავალ მიმართულებას: თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა; გენდერული მენისტრიმინგი; სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის; ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში; ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა; თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა; პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე; უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ეთნიკურ უმცირესობათა და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა; კულტურის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას ეთნიკურ უმცირესობათა როლისა და მნიშვნელობის ასახვა; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება, მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია; კულტურული მრავალფეროვნების წახალისება და სხვა მიმართულებები.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო პერიოდულად ახორციელებს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს. მონიტორინგის მიზანია სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში განხორციელებული პოლიტიკის ობიექტური შეფასება, წარმატებული და ნაკლოვანი მხარეების გამოვლენა და სამოქალაქო ინტეგრაციის სრულყოფილად/ეფექტურად წარმართვის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის რეკომენდაციების შემუშავება, ხოლო შემდეგ ეტაპზე ამ რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირება.

მონიტორინგის ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად ეროვნულ უმცირესობათა საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს შესაბამისი კვალიფიკაციის მონიტორებს, ხოლო ტოლერანტობის ცენტრი და გაეროს ასოციაციის PITA-ს პროგრამის წარმომადგენლები ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან შეთანხმებით იწვევენ კვალიფიციურ ექსპერტებს.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის 2017-2018 წლების შესრულების მონიტორინგის ანგარიშის შედეგებს.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის 2017-2018 წლების შესრულების ანგარიშის მონიტორინგს ახორციელებდნენ:

ა. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე

ხელმისაწვდომობის მიმართულება - საბჭოს დამკვირვებლები: ზაურ ხალილოვი - სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; მიხეილ აიბინოვი, რუსულენოვან ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელი; მოწვეული ექსპერტი - გიორგი გოგუაძე, საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის დირექტორი;

ბ. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულება - საბჭოს დამკვირვებლები: მარინა სოლომონიშვილი, ებრაელ ქალთა საერთაშორისო ფონდი «ლეა»; ბორის სინიუკი, საქართველოს უკრაინელთა სათვისტომო «დნეპრი»; მოწვეული ექსპერტი კონსტანტინე ფერაძე, დამოუკიდებელი ექსპერტი;

გ. ეთნიკური უმცირესობებისთვის სამოქალაქო, პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის

და თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის მიმართულება - ნონა ხანგაშვილი, ქალთა ფედერაცია „კავკასიელ ქალთა კონგრესი“; მარგალიტა ხიდირბეგიშვილი, ინტერნაციონალური საქართველო მშვიდობისთვის და გარემოს დაცვისთვის; მოწვეული ექსპერტი - შორენა კობაიძე, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი;

დ. ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულება - ლილი საფაროვა, ქალთა უფლებების სათემო ინიციატივა; ნაირა ბეჰიევი, საერთაშორისო საზოგადოება „კავკასიური მოზაიკა“; ნათია გორგაძე, მოწვეული ექსპერტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორის ურთიერთობების ცენტრი.

მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობას კოორდინაციას უწევდნენ სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორი კობა ჩოფლიანი და ამავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი იზაბელა ოსიპოვა.

მონიტორინგის შედეგები დასამტკიცებლად წარედგინა სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს. საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები აისახა საბოლოო დოკუმენტში.

სტრატეგიული მიზანი 1. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

აღნიშნული სტრატეგიული მიზანი აერთიანებს მთელ რიგ აქტივობებსა და კონკრეტულ ინიციატივებს, რომელთა განხორციელებამ უმცირესობების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა გამოიღოს შედეგად და შესაძლებელი გახადოს მათი სრულფასოვანი ჩართულობა ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღნიშნული სტრატეგიული მიზანი მოიცავს 6 შუალედურ მიზანს, 16 ამოცანასა და 36 აქტივობას. შუალედური მიზნებია:

- 1.1. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა;
- 1.2. გენდერული მენისტრიმინგი;
- 1.3. სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის;
- 1.4. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისება;
- 1.5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების წვდომის გაუმჯობესება მასობრივ მედიასა და ინფორმაციაზე²;
- 1.6. ეთნიკური უმცირესობების უფლებების თაობაზე ინფორმირებულობის გაზრდა.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მონიტორინგის ფარგლებში ნაწილობრივ დაფარული და ასახულია 2019 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები და ახალი განვითარებები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტმა 2019 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა მესამე ციკლის ანგარიშები და მასზედ სახელმწიფოს მიერ საპასუხო განმარტებები. ეს უკანასკნელი საანგარიშო პერიოდი მოიცავს დეტალურ შეფასებას იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული ღონისძიებები ჩაატარა სახელმწიფომ უმცირესობების უფლებების დაცვისათვის და რა მიმართულებები რჩება სახელმწიფო ფოკუსის მიღმა. აღსანიშნავია, რომ კომიტეტი დადებით განვითარებად მოიხსენიებს საკანონმდებლო სისტემის დახვეწას, თუმცა ამასთან ერთად ხაზს უსვამს, რომ უმცირესობებზე მონაცემების შეგროვება, რელიგიური უმცირესობების დაცვა და უმცირესობების ენებზე სწავლება უნდა გაუმჯობესდეს³. ანგარიშში აღნიშნულია, რომ უმცირესობების საკითხები პოლიტიზებულია ქართულ საზოგადოებაში, რაზეც მიუთითებს სხვა, არაერთი ადგილობრივი კვლევა თუ დაკვირვება⁴.

² შუალედური მიზანი 1.5 და 1.6 არ არის დაფარული მოცემულ ნაწილში. აღნიშნული შუალედური მიზნები ცალკე თავში იქნება შეფასებული;

³ იხილეთ მესამე ციკლის (FCNM) ანგარიში, <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56>

⁴ ულტრამემარჯვენე პოპულოზმის სოციალური საფუძვლები საქართველოში, სალომე მინესაშვილი, <http://gip.ge/ge/%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%af%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%94-%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9e%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%96/>

საკონსულტაციო კომიტეტის კიდევ ერთი მიგნებაა ის, რომ დემონსტრირებულ მრავალფეროვნების წახალისებასთან ერთად, უმცირესობების საკითხები განიხილება უსაფრთხოების ჭრილობი და ზოგიერთი უმცირესობის მიმართ ნდობის ნაკლებობით გამოიხატება. აღნიშნულია აგრეთვე, რომ რელიგიური და ენობრივი უმცირესობების საკითხები ობიექტური საფუძვლების არარსებობის შემთხვევაშიც ხდება პოლიტიზებული⁵. წინამდებარე შეფასების ანგარიში არ ასახავს რელიგიური უმცირესობების მდგომარეობას, რადგან სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, ისევე როგორც სახელმწიფო შესრულების ანგარიშები, არ მოიცავს რელიგიური უმცირესობების საკითხებს და მათზე რეაგირების ხედვას.

ევროპის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტი მნიშვნელოვან დანაკლისად მიიჩნევს იმას, რომ ტოლერანტული გარემოს წახალისებისთვის სახელმწიფო შემოიფარგლება მხოლოდ კულტურული პროგრამებისა და საბიბლიოთეკო პოლიტიკის მხარდაჭერით და, რომ ეს პოლიტიკა არ მოიცავს საგანმანათლებლო სექტორსა და რელიგიებს შორის დიალოგს⁶.

უმცირესობების უფლებათა დამცველები⁷ და აღიარებული ექსპერტები საუბრობენ მრავალფეროვნების, პოლიტიკური კლიმატის, კანონის უზენაესობისა და პლურალისტურ-დემოკრატიული ინსტიტუტების ცვლილებებზე. ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების ჩარჩოს დასუსტებამ და პოპულიზმის ზრდამ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში უმცირესობების საკითხები დღის წესრიგში დააყენა პრობლემური საკითხების რიგებში. ამასთან, ექსპერტები საუბრობენ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის ახალი პოლიტიკური გამოწვევებისა და რეალიების გადახედვის შესახებ, რათა ეთნიკური, ეროვნული, ლინგვისტური, რელიგიური და სხვა უმცირესობების დაცვა უფრო ეფექტიანად იყოს შესაძლებელი.

სწორედ ეფექტიანი და მასშტაბური ნაბიჯების გადადგმის საჭიროებაზე აქვს ხაზი გასმული საქართველოს სახალხო დამცველს. 2018 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ კვლავ ასახავს სიღრმისეული პრობლემების არსებობას ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის სფეროში⁸. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ეთნიკურ ან რასობრივ ნიადაგზე მიუღებლობა კვლავ რჩება მწვავე პრობლემად. განსაკუთრებულად შემამოფრთხილებელ ფაქტად ანგარიშში მოხსენიებულია ვიტალი საფაროვის მკვლელობა, რომელიც 2018 წლის სექტემბერში ქსენოფობიურ ნიადაგზე მოხდა⁹.

1.1. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი სიახლეა ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2017 და 2018 წლებში პრიორიტეტულ ამოცანად კვლავ რჩებოდა დაბადების ან პირადობის არმქონე ან ხარვეზიანი დოკუმენტების მქონე პირებზე მოწმობების გასაცემად სათანადო ღონისძიებების გატარება. 2017–2018 წლების ანგარიშის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად ბოშების თემის ხუთმა წარმომადგენელმა შეძლო საიდენტიფიკაციო მონაცემების მოწესრიგება და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების მიღება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოშების წარმომადგენლები დამოუკიდებლად არ ერთვებიან ამ პროცესებში და მათი მხარდაჭერა ხერხდება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში. მაგალითად, ზემოხსენებული დოკუმენტების მოძიებისა და დადგენის პროცესი შესაძლებელი გახდა პროექტის „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში“¹⁰ ფარგლებში. ოფიციალური დოკუმენტების არარსებობა საქართველოში მცხოვრები ბოშებისთვის დღემდე ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა და ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე უკვე მრავალი წელია მუშაობენ საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები. პროცესი ჭიანჭურდება, რადგან ის პირდაპირ არის

5 <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56>;

6 იხილეთ მესამე ციკლის (FCNM) ანგარიში, <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56> (გვერდი 17);

7 იხილეთ ანგარიში „20 წელი მრავალფეროვნების სამსახურში. ჩარჩო კონვენცია გზაჯვარედინზე“, <https://www.ecmi.de/publications/detail/20-years-of-dealing-with-diversity-is-the-framework-convention-at-a-crossroads-380/>

8 იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2018 წ. გვ. 288

9 25 წლის ვიტალი საფაროვი 2018 წლის 30 სექტემბერს თბილისში, დიუმას ქუჩაზე სიძულვილის ნიადაგზე მოკლეს.

10 პროექტი ხორციელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის“ მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის (UNHCR) ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობით. 2019 წლიდან კი მსგავსი შესაძლებლობით ვერ ისარგებლეს ბოშათა თემის წარმომადგენლებმა, რადგან ფინანსური მხარდაჭერა იყო დასრულებული.

დამოკიდებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ პროექტებზე, რომელთა ბიუჯეტი და განხორციელების ვადები დროში შეზღუდულია. სტატუსის დადგენიდან მოქალაქეობის მინიჭებას, საშუალოდ, 7-8 თვე სჭირდება რაც მაგალითად, 6-თვიანი პროექტით ვერ იქნება მხარდაჭერილი. მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ეფექტიან ნაბიჯად მიიჩნევა ბოშების სამართლებრივი დოკუმენტების გაცემის მომსახურების ყველა სახის საფასურისგან გათავისუფლება. მსგავსი შესაძლებლობის არსებობისას მოქალაქეობის არმიქნე ბოშების უფრო მეტი წარმომადგენელი მიმართავდა სააგენტოს და შეძლებდა დამოუკიდებლად საქმის წარმოებას¹¹.

2017-2018 წლებში, მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის მიზნით, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისა და თბილისის საკრებულოს ორგანიზებით, გაიმართა უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქციები უმცირესობათა თემის წარმომადგენლებისთვის¹². მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მსგავსი აქციების შესახებ უმცირესობების წარმომადგენლებს ინფორმაცია ჰქონდათ, თუმცა გაურკვეველია, ისარგებლა თუ არა ვინმემ ამ აქციით¹³.

2017-2018 წლების განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) განსაზღვრულ საჯარო სკოლებში. მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები ცალსახად დადებითად ფასდება თვითონ ამ თემის წარმომადგენლების მიერ, თუმცა ენების სწავლების პროცესში გარკვეული ხარვეზებიც შეიმჩნევა. სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი სირთულეები შეიქმნა პედაგოგიური კადრებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო. ამასთან, არც ერთი სასწავლო პროგრამა არ განხორციელებულა პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მონიტორინგის მსვლელობისას თავად მცირერიცხოვანი თემის წარმომადგენლები მიუთითებდნენ წახალისების მექანიზმების არარსებობაზე და მასწავლებელთა მხრიდან ინტერესის ნაკლებობაზე, მაგალითად, ქუთათული ენა არ ისწავლება არც ერთ სკოლაში შესაბამისი კადრების არარსებობის გამო¹⁴.

დამატებით ღონისძიებდა 2018 წლის შესრულების ანგარიში ასახავს საქართველოს ლატვიელთა ორგანიზაცია „ავე სოლის“ ინიციატივით „თბილისის მეგობრობის სახლში“ ლატვიური ენის შემსწავლელი საკვირაო სკოლის გახსნას. შეხვედრების დროს ხსენებული ორგანიზაციის წარმომადგენელი და დამფუძნებელი საუბრობდა ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის საერთო სამუშაო სივრცისა და ოფისების არარსებობა თბილისში რეგისტრირებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ორგანიზაციებისთვის¹⁵.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ამოცანის ნაწილში, ვხედავთ პანკისის ხეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალს. 2017-2018 წლებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოამზადა პანკისის განვითარების გეგმა, რომელიც ცალკე სტრატეგიულ დოკუმენტად არის შემუშავებული პარტნიორ უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ადგილობრივი აქტივისტების ნაწილი ღიად აკრიტიკებს პანკისის ხეობის განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს და მასში ასახული აქტივობების მიზნობრიობას¹⁶. გეგმით გაწერილია მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, როგორც სახელმწიფო უწყებების მიერ, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და შესაბამისი დაფინანსებით.

11 ინტერვიუ ბოშათა თემის აქტივისტთან, ქ-ნ ელენე პროშიკიანთან, 20 ოქტომბერი, 2019. ქ-ნ ელენე თვლის, რომ საქმის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელი ხდება, როდესაც პროექტი სრულდება ან/და იცვლება პროგრამული მიმართულება. ამგვარად, არსებობს წამოწყებული და დაუსრულებელი საქმეები, რომელთა დასრულებას ფინანსური სახსარი და დახმარება ესაჭიროება, რასაც თვითონ ბოშათა თემის წარმომადგენლები დამოუკიდებლად ვერ ართმევენ თავს.

12 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები. 2017 წელს აქცია გაიმართა ქვემო ქართლის რეგიონში, 2018 წლის განმავლობაში კი თბილისში. მაცხოვრებელმა მცირერიცხოვან უმცირესობათა წარმომადგენლებმა ისარგებლეს უფასო სამედიცინო გამოკვლევებით.

13 სატელეფონო ინტერვიუ ასურული თემის აქტივისტთან, 19 ოქტომბერი, 2019 წ.

14 ინტერვიუ ქუთათულ-იეზიდური ორგანიზაციის ლიდერთან, ქ-ნ ლილი საფაროვასთან, 19 ოქტომბერი, 2019 წ.

15 შეხვედრა ეთნიკური უმცირესობათა საბჭოსთან, 24 სექტემბერი, 2019 წ. შეხვედრაზე ითქვა, რომ თბილისის საკრებულოს ფრთის ქვეშ დაფუძნებული მეგობრობის სახლი ვერ იტევს ყველა ორგანიზაციას და რიგ ღონისძიებათა ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

16 <https://www.radioway.ge/news/people/item/922-ras-moizavs-pankisis-xeobis-ganvitarebis-gegma>

ზემოაღნიშნული შუალედური მიზნის განხორციელების მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმით დაგეგმილი ღონისძიებები რიგ შემთხვევებში განმეორებულია და ცალკეულ შემთხვევებში არასაკმარისი. მაგალითად, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პრიორიტეტულ ამოცანად კვლავ რჩება დაბადების ან პირადობის არმქონე ან ხარვეზიანი დოკუმენტების მქონე პირებისთვის მოწმობების გასაცემად სათანადო ღონისძიებების გატარება. ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებების გატარება უწყვეტ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. მათ მიერ დანიშნული შუამავლები (ბოშათა საკითხების მედიატორები) ადგენენ ხარვეზიანი დოკუმენტების მქონე ან დოკუმენტების არმქონე პირებს და შემდგომ ეხმარებიან მათ დოკუმენტების მოპოვებაში. იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებას და აწვდის შესაბამის მომსახურებას. თუმცა, სააგენტო ბოშათა თემს მხარდასაჭერად დამატებით არ ემსახურება.

პანკისის ხეობის განვითარების გეგმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი, ისევე როგორც პასუხისმგებელი უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები რეკომენდებულია, განიხილებოდეს ამ გეგმისა და სტრატეგიის მიღმა. პანკისის ხეობის განვითარების გეგმის დასახვა, შეიძლება, შეფასდეს განსაკუთრებული მნიშვნელობისა და კონკრეტული გამოწვევების საპასუხოდ მიმართულ სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის ერთობლივ ნაბიჯად. თუმცა მსგავსი ინიციატივა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამიმდევრული პოლიტიკის ფორმირებად, რომელიც მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ჯგუფებისთვის თანაბარი პირობების შექმნას უწყობს ხელს.

რეკომენდებულია სახელმწიფო უწყებების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების/პროექტების ანგარიშების ხელმისაწვდომობის გამარტივება, რადგან მონიტორინგის განხორციელებისას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შესრულებულ ცალკეულ პროექტზე წვდომა და, მით უფრო, მათი შეფასების მექანიზმი არ არის ხელმისაწვდომი ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს ან/და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. ზემოხსენებული რეკომენდაცია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

1.2. გენდერული მეინსტრიმინგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი მთელი რიგი ინიციატივები. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში ერთ-ერთი ყველაზე ვრცლად მიმოხილული ინიციატივა, რომელსაც სახელმწიფო უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები 2015 წლიდან ერთობლივად ახორციელებენ, არის „ქალთა ოთახების“ დაარსება მუნიციპალურ დონეზე. „ქალთა ოთახი“ არის საჯარო სივრცე თემში ყველა საჭირო რესურსით ქალებისთვის ინფორმაციისა და სერვისების მისაწოდებლად; სათემო და მუნიციპალურ დონეებზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად. „ქალთა ოთახების“ გახსნამ აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს ქალების ინტეგრაციას სახელმწიფო სტრუქტურებში. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში) ფუნქციონირებდა „ქალთა ოთახი“ და გაიმართა შთამბეჭდავი რაოდენობის¹⁷ შეხვედრები, ტრენინგები და ღონისძიებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ქალთა ოთახების“ ფუნქციონირების დინამიკა განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით. მონიტორინგისას და „ქალთა ოთახების“ წარმომადგენლებთან¹⁸ შეხვედრებისას განსხვავებული ხედვები იყო წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ რა მთავარ მიზანს უნდა ემსახუროდეს მსგავსი სამსახურების არსებობა მუნიციპალურ დონეზე. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს შემფასებლებს შეხვდნენ „ქალთა ოთახის“ სივრცეში და საკმაოდ აქტიურად ჩაერთნენ გენდერული თანასწორობის საკითხების განხილვაში. მათ ნათლად გამოხატეს საკუთარი პოზიცია ამ საკითხების მიმართ და ხაზი გაუსვეს საკუთარი მუნიციპალიტეტის მთავარ მიღწევასაც - 64 მუნიციპალიტეტიდან

17 მაგალითად, ქვემო ქართლის რეგიონში 2017 წელს გაიმართა 168 შეხვედრა, 2018 წელს, სულ 158 შეხვედრა. 2017 წლის შეხვედრების სტატისტიკა სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე ანგარიშში არ მოიქცნება. 2018 წლის ანგარიში მიუთითებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარებულ 46 ღონისძიებაზე.

18 შეხვედრებისას, „ქალთა ოთახების“ წარმომადგენლები გვეცნობოდნენ როგორც ან 1) გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსებად; და/ან 2) „ქალთა ოთახის“ კოორდინატორებად.

ერთადერთი ქალი მერი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს ჰყავს¹⁹. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში შეხვედრებისას კი გაიკვია, რომ 2019 წლიდან „ქალთა ოთახის“ გაძლიერების და მხარდაჭერის ნაცვლად შეიქმნა გენდერული საკითხების საკრებულოს კომისია. დმანისის მუნიციპალიტეტში კი მიღებული ინფორმაციის თანახმად, საერთოდ არ ყოფილა „ქალთა ოთახის“ ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების მოსარგებლეები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. მიზეზად დასახელებულია ენობრივი ბარიერი²⁰. გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, მარნეულის მუნიციპალიტეტში განსხვავებული და მეტად პოზიტიური დინამიკა აღინიშნებოდა. მერიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მარნეულის „ქალთა ოთახის“ ჩართულობითა და მხარდაჭერით, 2018 წელს, პროექტ „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში დაფინანსდა ქალთა მიერ წარდგენილი 4 პროექტი²¹.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს „ქალთა ოთახების“ პერსონალის კვალიფიკაციაზე, რათა სხვადასხვა საჭიროების მქონე თუ დახმარების მაძიებელმა მიიღოს სათანადო ინფორმაცია. აგრეთვე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „ქალთა ოთახების“ ფუნქცია, თუკი მონაცემების შეგროვება არა მხოლოდ ტრენინგებისა და თემატური შეხვედრების აღრიცხვით შემოიფარგლება, არამედ კონკრეტული საკითხების ადვოკატირების კამპანიების საკვანძო აღწერითა და ანალიზით. სასურველია მუნიციპალურ დონეზე ქალთა მიმართვიანობის მოკლე წლიური ანალიზი იყოს აგრეთვე ხელმისაწვდომი, რაც არა მხოლოდ პროგრამის შეფასების მექანიზმს უწყობს ხელს, არამედ მიწოდებულ სერვისებს გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტებში.

2018 წელს შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. მათ შორისაა ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვა, გამომძიებელთა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების სპეციალიზაციის ტრენინგები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებას ითვალისწინებს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სპეციალიზებული კუროსი გაიარა 13-მა გამომძიებელმა, 325-მა პატრულ-ინსპექტორმა და სხვა²².

2019 წლის დასაწყისში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის, ასევე, სამედიცინო, იურიდიული და რეფერალური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, ქვემო ქართლში, კერძოდ, მარნეულში გაიხსნა კრიზისული ცენტრი²³. საყურადღებოა, რომ რეგიონებში ინფორმაციას ამ უკანასკნელი რეფორმების შესახებ არ ფლობდნენ დარგის სპეციალისტები თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით 2017-2018 წლებში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა ქალთა ინფორმირების/ცნობიერების გაზრდის, ჩართულობის გაუმჯობესებისა და მათი გაძლიერების მიზნით. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის გაგრძელება და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის აქტიურად წახალისება, თუმცა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ეფექტიანი მუშაობა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ამ მიმართულებით, საჭიროა სახელმწიფო სერვისებისა და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება რეგიონებში. უპირველეს ყოვლისა, „ქალთა ოთახებისა“ თუ გენდერული საბჭოების წარმომადგენლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების დანერგვისა და განხორციელების შესახებ.

19 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი, ანივარდ მოსოიანი უფლებამოსილების შესრულებას 2017 წ. 12 ნოემბრიდან შეუდგა.

20 დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 30 ოქტომბრის № 07/4394 წერილი;

21 მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 31 ოქტომბრის № N03/12137 წერილი

22 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 19-20

23 <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/08/anti-domestic-violence-measures-strengthened-in-kvemo-kartli>

1.3. სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

მონიტორინგისას ირკვევა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობისას ეთნიკური უმცირესობებს ენობრივი ბარიერის გამო, რომელსაც თვითონ ეთნიკური უმცირესობები ასახელებენ ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებად ინტეგრაციის პროცესში, სირთულეები არ შექმნიან. 2018 წლის ანგარიშის თანახმად სახელმწიფო ენის არცოდნის გამო შექმნილი დაბრკოლების შესახებ არც ერთი პრეტენზია არ შესულა არც სამხარეო ადმინისტრაციებში და არც მუნიციპალიტეტებში²⁴.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, 2017 წელს, ქვემო ქართლისა და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებთან საკონსულტაციო (სათათბირო) საბჭოები ჩამოყალიბდა და ამოქმედდა. საბჭოების მიზანია ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაუმჯობესება სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებში. სამცხე-ჯავახეთის მხარეში, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში კი ფიქრობენ მსგავსი საბჭოს შექმნა არ იქნება დამატებითი სარგებლის მომტანი უმცირესობების პრობლემების გადაჭრის პროცესში²⁵. ანგარიშებითა და შეხვედრებით ირკვევა, რომ ინფორმაცია სათათბირო საბჭოების საქმიანობის გავლენის შესახებ ეთნიკური უმცირესობის პრობლემებზე არ მოიპოვება. შესაბამისად, რთულია საბჭოების მნიშვნელობის გაზომვა ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებში ჩართულობის გაუმჯობესების პროცესში.

საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდისა და პროფესიული განვითარების მიზნით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განსაზღვრავს საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურებს. ამ პროგრამის თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა („1+4“ პროგრამა) შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. პროგრამის ფარგლებში, 2017 და 2018 წლებში 207 მონაწილემ გაიარა სტაჟირება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში. პროგრამის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მონაწილეებს შორის სახელმწიფო ახალგაზრდები, რომლებმაც შეძლეს უკვე დასაქმება. მაგალითად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სტაჟირების პროგრამის ხუთი მონაწილე უკვე დასაქმებულია²⁶. მონიტორინგისას ასევე ირკვევა, რომ ორ მონაწილეს სტაჟირების გავლის საშუალება მიეცა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში სამცხე-ჯავახეთში, მაღალი კონკურენციის გამო კი მათი დასაქმება ადმინისტრაციაში ვერ მოხერხდა. მნიშვნელოვანი და აუცილებელი იქნება, შემდგომი წლების ანგარიშებში აისახოს ინფორმაცია სტაჟირებაგავლილი და სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული პირების შესახებ.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა სახელმწიფო უწყებები პერიოდულად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან საკანონმდებლო სიახლეების, ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის გაცნობის მიზნით. საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალები ვრცელდებოდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. აგრეთვე, ანგარიშებში წარმოდგენილია ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ჩატარებული შეხვედრების შესახებ. 2017-2018 წლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები ევროინტეგრაციის პროცესის თაობაზეც. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ჩართულობით მხოლოდ 2018 წელს განხორციელდა 300-ზე მეტი საინფორმაციო/ცნობიერების

²⁴ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 24.

²⁵ შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში, 23 ოქტომბერი, 2019 წ.

²⁶ ინფორმაცია დასაქმებულთა შესახებ გაუღერდა შეხვედრისას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთში, 22 ოქტომბერი, 2019 წ. უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრება ვერ მოხერხდა პროგრამის მონაწილეებთან ან/და უკვე დასაქმებულებთან, მცდელობის მიუხედავად.

ამაღლების შეხვედრა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. მონიტორინგისას, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აქტივისტებთან შეხვედრებისას კი ვლინდება ტენდენციები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა არ არის ინფორმირებული მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. მაგალითად, აგრარული და სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ხშირად უკავშირდება ჟურნალისტებს და დახმარებას ითხოვს კონკრეტული პრობლემური საკითხების გადაჭრაში. ნინოწმინდასა და ახალქალაქში მწვავედ დგას სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციის საკითხი, ადგილობრივ ფერმერებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია მიმდინარე სახელმწიფო პროექტებისა და შესაძლებლობების შესახებ.

საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდის, პროფესიული განვითარებისა და საჯარო მოხელეთა მიერ სახელმწიფო ენის ფლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობის მნიშვნელობა. 2014 წლიდან სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამებს: სახელმწიფო ენის სწავლების, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების მიმართულებით²⁷. სწავლება მიმდინარეობს სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, წალკა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ლამბალო, ლაგოდეხი, ახმეტა) და სოფლებში არსებულ მობილურ ჯგუფებში²⁸.

1.4. ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

აღსანიშნავი და ყოვლისმომცველია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო წლების საქმიანობა და მათ მიერ გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირების გაზრდის, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების მომზადების, არჩევნების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციის უმცირესობების ენებზე თარგმნის, საარჩევნო პროცესის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით²⁹.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის არჩევნებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საარჩევნო ოლქში (საქართველოს მასშტაბით) ტრენინგი ჩატარდა 47 259 წევრს, მათ შორის, 2 782 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელს. 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ტრენინგი ჩატარდა 43 352 წევრს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 1 639 წევრს. 2017 წელს 8 მცირე გრანტი გაიცა სამოქალაქო ორგანიზაციებსა და უმცირესობების თემებზე არჩევნების მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო კამპანიების გავრცელებასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით. 2018 წელს კი გაიცა 10 მცირე გრანტი. 2017-2018 წლების არჩევნებისთვის მომზადდა 29 საინფორმაციო ვიდეო რგოლი, მათ შორის, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომლებიც განთავსდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში. ითარგმნა საარჩევნო დოკუმენტაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და განხორციელდა მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანიები³⁰.

2019 წელს სწავლების ცენტრმა საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი) მცხოვრები ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით, დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების 8 პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 236 790 ლარი. პროექტები 2019 წლის 25 სექტემბრიდან - 25 ნოემბრის პერიოდში განხორციელდა³¹.

აგრეთვე მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროექტები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის 2017-2019 წლებში. სულ განხორციელდა 14 საინფორმაციო-სასწავლო პროექტი, რომელშიც 3000-ზე მეტმა მსმენელმა თუ მონაწილემ გაიღრმავა პროფესიული ცოდნა საარჩევნო სამართლის დარგში, განავითარა

27 <http://www.zspa.ge/geo/page/31>

28 <http://zspa.ge/geo/page/119>

29 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 29-34

30 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2019 წლის 30 ოქტომბრის № N 01-07/1287 წერილი

31 Ibid.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების ან/და აიმაღლა სამოქალაქო ცნობიერება საარჩევნო პროცესებზე და მათ მნიშვნელობაზე. პროგრამების პრიორიტეტია აგრეთვე ახალგაზრდა ამომრჩევლების ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი შენატანია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის პოპულარიზაციის პროცესში.

საარჩევნო პარტიულ სივსა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობის წახალისების მიზნით სამოქმედო გეგმის შესრულების 2017 წლის ანგარიშის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობას. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ - NIMD – (Netherlands Institution for Multiparty Democracy). ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, NIMD-თან თანამშრომლობის ფარგლებში, პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარდა შეხვედრები და სემინარები. 2018 წლის ანგარიშის მიხედვით კი მსგავსი საქმიანობა არ განხორციელებულა.

აგრეთვე, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პოლიტიკური მონაწილეობისათვის სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საქმიანობის შესახებ. ეთნიკური უმცირესობები არასათანადოდ არიან წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობებით დასახლებული ზოგიერთი მუნიციპალიტეტის რეგიონულ პარტიულ სივსში. ანალიზისას, აგრეთვე ირკვევა, რომ ეთნიკური უმცირესობები მთლიანობაში ნაკლებად არიან წარმოდგენილი ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოებში, მათ შორის ძალიან იშვიათად არიან გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. პოლიტიკური პარტიებისთვის კი არ არსებობს სამართლებრივი სტიმული, რომელიც წახალისებდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდას. საქართველოში პარტიული პოლიტიკის აღნიშნული ხარვეზები კარგად გამოჩნდა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გაანალიზებით³².

1.5. ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ისევე როგორც ყველა სახელმწიფო, საქართველოც, საკუთარი საშინაო და საგარეო ამოცანების შესრულების გზაზე, მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ობიექტურ ინფორმაციაზე მუდმივი წვდომა, კრიტიკული აზროვნებითა და მედია წიგნიერებით აღჭურვილი მოსახლეობის მიერ პლურალისტური მედიის გამოყენებაა. მაშინ, როცა ქვეყანა დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისკენ მიისწრაფის, საინფორმაციო სივრცის სრულყოფილად ათვისება ერთიორად მნიშვნელოვანი ხდება.

სხვადასხვა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გამოკითხვის შედეგები, ჩვეულებრივ, მედიაზე ხელმისაწვდომობის ჭრილში საერთო სურათისგან განსხვავებულია. მედიაპლურალიზმისა და კრიტიკულ მედიაზე ხელმისაწვდომობის გარდა, მთავარ გამოწვევად რჩება ინფორმაციის უწყვეტად მიღების შესაძლებლობა.

ეთნიკური უმცირესობების მიერ მედიის გამოყენება და მათი ამა თუ იმ მედიაპროდუქტის შექმნაში მონაწილეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღნიშნული ჯგუფის ინტეგრაციასა და ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის ხარისხზე. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მედია საგრძნობ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში (Cowen et al., 2013). მედიას ძალუძს, ხელი შეუწყოს სამოქალაქო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების აქტიურ ჩართულობას და ამავდროულად, წვლილი შეიტანოს ამ ჯგუფების შესახებ არსებული მანკიერი სტერეოტიპების გაქრობაში³³.

ეთნიკური უმცირესობების მედიაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად რეგიონული მედიის სტანდარტების დახვეწა ერთ-ერთ წამყვან კომპონენტს წარმოადგენს. დღეისათვის რეგიონები მწვავედ განიცდიან დამოუკიდებელი და ძლიერი მედიის ნაკლებობას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის საინტერესო თემებს აქტიურად გააშუქებდა. მაუწყებლობის შესახებ კანონის

32 „კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისათვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები“, პოლიტიკის ნარკვევი, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM), თბილისი 2018

33 Cowen, Carlyn, Dautil Florian, Mansour Hossam, Moreno Edgar, Siu Emily and Thomassian Vache. 2013. National Minorities and Civic Integration in Georgia. United Nations Association of Georgia

მე-16 მუხლის შინაარსობრივი ვალდებულებები ნათლად განსაზღვრავს, რომ „პროგრამებში უნდა აისახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება“. მიუხედავად ამისა, ტელევიზიების, ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში მაინც შეზღუდულია.

2017 წელს გამოქვეყნებულ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩოკონვენციის მესამე ანგარიშში საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით დადებითად შეფასდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მომავლენა“ პარტნიორი რეგიონული ტელევიზიების ეთერში სომხურ, აზერბაიჯანულ და აფხაზურ ენებზე მაუწყებლობდა. მათ შორისაა: ბოლნისის ტელეარხი „ბოლნელი“, ნინოწმინდის ტელევიზია „ფარვანა“, ახალქალაქის ტელევიზია „ATV12“ და ზუგდიდის ტელევიზია „ოდიში“³⁴.

კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, შეხვედრები გაიმართა თბილისში მომუშავე მედია ორგანიზაციებთან, ისევე როგორც მარნეულსა და ახალქალაქში მოქმედი მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის მედიის ხელმისაწვდომობის კომპონენტი, აპარატის წარმომადგენლებმა სტრატეგიის პირველ ამოცანაში გაერთიანეს (თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში). წინა რედაქციის სტრატეგიაში მედიაზე ხელმისაწვდომობის საკითხი ცალკე ამოცანად იყო გამოტანილი. გაერთიანების საფუძვლად დასახელდა, რომ მედიაზე ხელმისაწვდომობა სრულფასოვან სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვის ერთ-ერთი საშუალება და ინსტრუმენტია და ცალკე გამოტანას არ საჭიროებს. 2017 წლის სამოქმედო გეგმა საკმაოდ ბევრ აქტივობასა და პროგრამას მოიცავდა. სამოქმედო გეგმასა და ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2017 წლის სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებპორტალი - www.1tv.ge. გარდა ამისა, 2017 წელს, სტრატეგიის ეს კონკრეტული კომპონენტი უმეტესწილად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შესაბამის ენაზე ინფორმაციის მიწოდებაზე კონცენტრირდა. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სატელევიზიო არხების მაუწყებლობა 20 არხზე მიმდინარეობს, მათ შორის: რუსულ (12 არხი), ინგლისურ (2 არხი), თურქულ (2 არხი), აზერბაიჯანულ (2 არხი), სომხურ (1 არხი) და არაბულ (1 არხი) (სამოქმედო ანგარიში, 2017).

2018 წელი სტრატეგიის განხორციელებისა და შეფასების კუთხით მნიშვნელოვანი დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში შუალედური ამოცანა „1.5“ ყველა სხვა წელთან შედარებით შეზღუდულია. ღონისძიებათა ჩამონათვალში გვხვდება მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომუშავე ონლაინ- და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებისთვის ნატოსთან და ევროკავშირთან დაკავშირებული სხვადასხვა სიახლის მიწოდება. გეგმის ანგარიშში ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შესახებ თითქმის არაფერია მოცემული. გაზეთ „ერასტანისა“ და „გურჯისტანის“ ტირაჟების რაოდენობას მხოლოდ ორი აზნაცი ეთმობა.

სამოქმედო გეგმაში აქტივობათა სიმწირეს საკუთარი ახსნა და დასაბუთება აქვს. კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით ახორციელებს მრავალ პროექტს, მაგრამ აღარ იღებს მონაწილეობას სტრატეგიის ფარგლებში არსებულ უწყებათშორის კომისიაში და აღარ ერთვება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ეს ყოველივე სათანადო ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან ეფექტიანი კოორდინაცია ფაქტობრივად აღარ არსებობს და შუალედური მუხლი 1.5. სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში მხოლოდ ფორმალურ ადგილს იკავებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტიური ჩართულობის გარეშე სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში კონკრეტული პროგრამებისა და აქტივობების დაგეგმვა ფაქტობრივად შეუძლებელ ამოცანად დარჩება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებთან შეხვედრისა და გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნისა და დაკვირვების გაკეთება არის შესაძლებელი, კერძოდ:

მაუწყებლის წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ 2018 წლიდან აღარ მონაწილეობენ სტრატეგიის უწყებათშორისი კომისიის მუშაობის პროცესში. მაუწყებელს მთავარ არგუმენტად ის მოჰყავს, რომ

34 საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად. 2017. <https://rm.coe.int/third-state-report-georgia-in-georgian-/168075fc5d>

საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნების პროგრამებში პირველის არხის ვალდებულება ისედაც ასახულია. ამ ყოველივეს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი (კერძოდ, მე-16 მუხლი) განსაზღვრავს. გარდა ამისა, დამატებით არგუმენტად მოყვანილია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია და საკუთარი პროგრამული სტრატეგიით ხელმძღვანელობს. ბუნებრივია მხოლოდ ამ არგუმენტაციით სახელმწიფო სტრატეგიიდან საბიუჯეტო სახსრებზე არსებული მედიის გამოთიშვა არ არის მართებული და სასურველია, რომ ამ მდგომარეობის შესაცვლელად და ინტეგრაციის საკითხზე მომუშავე საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლობისა და კოორდინაციის გასაუმჯობესებლად ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას.

2018 წლის დასაწყისიდან, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შექმნა ჯგუფი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის მთავარი ამოცანა იყო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ, ასევე უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტის მომზადება. გარდა ამისა, ამ ჯგუფის მიზნებიდან ერთ-ერთი გულისხმობდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ჟურნალისტების მომზადებას. ეს უკანასკნელი გამოწვევად დასახელდა პირველი არხის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს. არა მხოლოდ ჟურნალისტებზეა საუბარი, არამედ ტექნიკურ პერსონალთან მიმართებითაც. 2018 წლის მაისიდან ამოქმედდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინტელევიზია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საინფორმაციო ხელმისაწვდომობისა და აქტიური სამოქალაქო ჩართულობისთვის, უმნიშვნელოვანესია კრიტიკული, ადგილობრივი მედიის არსებობა. სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ვიზიტის ფარგლებში, გამოიკვეთა ადგილობრივი მედიის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები, კერძოდ:

ადგილობრივი მედიის დაფინანსების ძირითად წყაროს დონორი ორგანიზაციები წარმოადგენენ, ხოლო სარეკლამო ბაზარი არ არის საკმარისი და დიდი იმისათვის, რომ დაიფაროს საოპერაციო ხარჯები. ადგილობრივ მედიის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ხშირ შემთხვევაში მოკლევადიანია და არ იძლევა ორგანიზაციის გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარების დიდ შესაძლებლობას.

პრობლემად სახელდება ინტერნეტიზაციის პროცესი, რესპონდენტებზე დაყრდნობით, ყველა სოფელსა თუ მხარეში ინტერნეტი არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად მოქალაქეები ვერ იღებენ იმ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ონლაინსივრცეში ვრცელდება.

ადგილობრივი მედიის დაფინანსების ძირითად წყაროს დონორი ორგანიზაციები წარმოადგენენ, ხოლო სარეკლამო ბაზარი არ არის საკმარისი და დიდი იმისათვის, რომ დაიფაროს საოპერაციო ხარჯები. ადგილობრივ მედიის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ხშირ შემთხვევაში მოკლევადიანია და არ იძლევა ორგანიზაციის გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარების დიდ შესაძლებლობას.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გამოკითხული ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს ასევე აქვთ შენიშვნები საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ. კერძოდ, ისინი თვლიან რომ უშუალოდ თარგმნისა და მიწოდებული ინფორმაციის ხარისხი არის საკმაოდ დაბალი. ინტერვიუზე დაყრდნობით, ინტერნეტპლატფორმებზე განთავსებული ინფორმაცია (საინფორმაციო მხარე) არის საკმაოდ მწირი და აქვს ტექნიკური, მათ შორის, თარგმანის წუნი. მნიშვნელოვანია ასევე ის საკითხი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები, მათ შორის „მრავალფეროვანი საქართველო“ ფარგლებში მომზადებული არ არის ცნობილი ბევრისთვის ადგილობრივ დონეზე, მათ შორის ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთათვის. ასევე მათზე დაყრდნობით, პირველი არხის წარმომადგენლები იშვიათად ამოწმებენ, ზომავენ და იღებენ უკუკავშირის პროგრამებთან დაკავშირებით ადგილობრივ დონეზე.

საზოგადოებრივი მაუწყებელი 2017-2018 წლებში მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდა ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის გაძლიერებისა და ეროვნული უმცირესობების შესახებ ქართულენოვანი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, მაგრამ მაუწყებლისა და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მედია-პროგრამების მიუხედავად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი, ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ძირითადად კვლავ უცხოეთური მედიასაშუალებებიდან, მათ შორის ძირითადად ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) მედიასაშუალებებიდან იღებს.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ძლიერი ანტიდასავლური

პროპაგანდა და ოკუპანტი ქვეყნის საინფორმაციო არხების ზეგავლენა, ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სირთულეებს იწვევს. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად დღემდე გადადგმული ნაბიჯები არ აღმოჩნდა ეფექტური. მნიშვნელოვანია, რომ ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის საინფორმაციო არხების ზეგავლენის შესუსტების მიზნით გადაიდგას კონკრეტული და ეფექტური ნაბიჯები.

1.6. ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

2017 და 2018 წლებში დაიგეგმა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესრულებისა და „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპული ქარტიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფისკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის, ღონისძიებები თბილისსა და რეგიონებში. ღონისძიებები დაიგეგმა უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, საჯარო მოხელეებისთვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისთვის, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სტუდენტებისთვის.

როგორც შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, 2017 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლებმა სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში გამართეს საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები ევროინტეგრაციის პროცესის, უფიზო მიმოსვლის, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, ფერმერები და მეწარმეები. ამავე შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩოკონვენციაზე. ანგარიშში ასევე აღნიშნულია პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ მიერ უმცირესობების რეგიონში განხორციელებული საინფორმაციო კამპანია, მათ შორის, სპეციალური მობილური ჯგუფების ინიცირებული თემატური სკოლა კახეთსა და სამცხე-ჯავახეთის სოფლებში. 2018 წლის შესრულების გეგმიდან კი ვიგებთ, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ჩართულობით თბილისში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში, მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, წალკაში, გარდაბანში, პანკისის ხეობაში, ლაგოდეხში, საგარეჯოსა და თელავში შეხვედრები გაიმართა ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციისა და მისი შესრულების შესახებ.

დასკვნა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის პირველი სტრატეგიული მიზანი ხორციელდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ღონისძიება 2017 და 2018 წლებში ჩატარდა დედაქალაქში, კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ცალკეული ღონისძიებები გაიმართა ქალაქ ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული მეგობრობის სახლის ჩართულობით. მოკვლეული ინფორმაციის, ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნების გამოტანა.

მნიშვნელოვანია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებსა თუ მუნიციპალიტეტებში საჯარო მოხელეთა ცოდნის დონის გაღრმავება უმცირესობების პოლიტიკის მართვის მიმართულებით. მონიტორინგისას გამოვლინდა დაბრკოლებები მონაცემთა მიღება-მოწოდებაზე სტრატეგიის ამოცანებისა და მიზნების შესრულების კუთხით. აგრეთვე აუცილებელია, პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გაზიარება იმ მოხელეთა ჯგუფებისადმი, რომელთა ჩართულობა არის გათვალისწინებული წლიური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროცესში.

აგრეთვე რეკომენდებულია გაიმიჯნოს საჭიროებები ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების/კონფერენციების ჩატარებისას. საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების განხორციელების

ჩამონათვალი, თითქმის, ყველა ჩატარებულ ღონისძიებასთან არის სტანდარტულად აღნიშნული. ტრენინგი არის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა, რომლის მიზანიც განსხვავდება საინფორმაციო შეხვედრის მიზნისგან. სასურველია ჩატარებული ტრენინგების სია ასახავდეს გადამზადებული მონაწილეების შერჩევის პრინციპს და ტრენინგის შემდგომ შეფასებას. სასურველია, აგრეთვე, ტრენინგების შეფასებითი და რეალიზებული ცოდნის საუკეთესო პრაქტიკა (Best Practices) გაზიარებული და ხელმისაწვდომი იყოს. მნიშვნელოვანია, ტრენინგები იმართებოდეს საჭიროებებიდან გამომდინარე გარკვეული ანალიზის შედეგად, რომელზეც წვდომა ექნება ექსპერტებს თუ სხვა დაინტერესებულ პირებს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ შესრულების ანგარიში ასახავდეს პრობლემის მოკლე შინაარსს. მაგალითად, ტრენინგების რაოდენობა, რომელიც დაეთმო გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის საკითხებს საანგარიშო პერიოდში საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა ეს მაჩვენებელი მხოლოდ რიცხობრივია, და არ უკავშირდება ხარისხობრივ მაჩვენებლებს როგორცაა, შემცირებული სტატისტიკა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე; გადამზადებული ქალი აქტივისტების ცალკეულ ინიციატივები ან/და ადვოკატირების კამპანიის შედეგები.

მედიის ხელმისაწვდომობის მიმართულებით სტრატეგიის განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია შესრულებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა იხელმძღვანელონ კონკრეტული თვისებრივი ინდიკატორებით, შეაფასონ მიმდინარე პროექტებისა და აქტივობათა გავლენა და შედეგი. სტრატეგიის შესრულების პროცესში მნიშვნელოვანია ეფექტიანი კოორდინაცია შესაბამის უწყებებს შორის, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის პროცესში აქტიური ჩართვა და მჭიდრო თანამშრომლობა.

რეკომენდაციები

შუალედური მიზანი 1.1. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა -

რეკომენდებულია მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის პოლიტიკის გაგრძელება და არსებული გამოწვევების დასაძლევად უფასო სახელმწიფო სერვისების შეთავაზება. რეკომენდაციის საჭიროების ანალიზი: მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ღონისძიებები მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების ენების სასწავლო პროგრამების განხორციელებისთვის პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი მოზიდვის მიზნით. საჭიროა, ბოშების გათავისუფლება სამართლებრივი დოკუმენტების გაცემის მომსახურების ყველა სახის საფასურისგან.

შუალედური მიზანი 1.2. გენდერული მენსტრამინგი- რეკომენდებულია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააძლიერონ ქალებთან მუშაობის მიმართულება და ამ მიზნით გააძლიერონ მერიების ადმინისტრაციებში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი სათანადო კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობის პირის სტატუსი. რეკომენდაციის საჭიროების ანალიზი: მონიტორინგისას გამოვლინდა რომ, „ქალთა ოთახების“ და საბჭოების ფუნქციონირება არ არის თანმიმდევრული და ცალკეულ შემთხვევებში პირდაპირ დამოკიდებულია საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების ფინანსურ და პროგრამულ მხარდაჭერაზე. მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება ქალთა თანასწორობა და მათი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება.

შუალედური მიზანი 1.3. სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

- რეკომენდებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გაზრდა და მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებსა და შესაძლებლობებზე. რეკომენდაციის საჭიროების ანალიზი: მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ სტაჟირების პროგრამის ამოქმედების მიუხედავად, კვლავ პრობლემაა ეთნიკური უმცირესობების დასაქმება საჯარო სამსახურებში და მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე. მნიშვნელოვანია „1+4“ პროგრამის მონაწილე ახალგაზრდების ადგილობრივ სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვა და მათი დასაქმების ხელშეწყობა. სასურველია დასაქმებისას სპეციალური მიდგომების შემუშავება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რათა მოხდეს კონკურენტუნარიანობის დაბალანსება.

შუალედური მიზანი 1.4 პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისება

- რეკომენდებულია პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა რათა პოლიტიკური პარტიების პროგრამები სათანადოდ ასახავდნენ

უმცირესობების პრობლემურ საკითხებსა და გამოწვევებს. რეკომენდაციის საჭიროების ანალიზი: პოლიტიკური პოპულიზმის ზრდის ფონზე, ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხები ხშირად ნეგატიურ კონტექსტში განიხილება. როგორც საჯარო უწყებებმა, ისე სამოქალაქო სექტორმა პროაქტიულად უნდა იმოქმედონ და მოახდინონ ყველაზე მგრძნობიარე საკითხების წინ წამოწევა და უზრუნველყონ განსხვავებული პოზიციების მქონე მოქალაქეთა ჩართვა საჯარო დისკუსიაში.

შუალედური მიზანი 1.5 ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის მედია ხელმისაწვდომობის

გაზრდა - მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ზუსტად განსაზღვროს სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების თვისებრივი შეფასების მეთოდი, ასევე შესაძლებლობის ფარგლებში, სტრატეგიის ფარგლებში ყოველწლიური აქტივობების გეგმის შემუშავების პროცესში წინასწარ იყოს განსაზღვრული საბიუჯეტო 1.5 ამოცანის შესრულებისთვის საჭირო საბიუჯეტო წილი. მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობათა რეგიონებს სრულად მიეწოდოს ინტერნეტი. სასურველია გამოინახოს უწყებათშორის კომისიასა საზოგადოებრივი მაუწყებლის შორის ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმები, რათა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის სფეროში ჩართული საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობა უფრო ეფექტურად და კოორდინირებულად წარიმართოს.

რეკომენდაციები საზოგადოებრივ მაუწყებელს: საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააგრძელოს და გააძლიეროს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების (სახელმწიფოს მიერ მათ შორის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიით და სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა და მათი ეფექტურობა) თემატური გაშუქება; გააუმჯობესოს და გააძლიეროს ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა და ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აღნიშნული და საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვა მედია პროდუქტის პოპულარიზაციასა და მის ხელმისაწვდომობას; უფრო აქტიურად, რეგულარულად და თემატურად ითანამშრომლოს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან უკუკავშირის მიღების მიზნით; საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასურველია გაზარდოს ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობა და ჩართულობა პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ შესახებ.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას - ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) საინფორმაციო არხების ზეგავლენის აღმოსაფხვრელად გადაიდგას კონკრეტული/ეფექტური ნაბიჯები და საამისოდ გამოიყოს შესაბამისი რესურსები.

რეკომენდაციის საჭიროების ანალიზი: ეთნიკური უმცირესობების მიერ მედიის გამოყენება და მათი ამა თუ იმ მედიაპროდუქტის შექმნაში მონაწილეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღნიშნული ჯგუფის ინტეგრაციასა და ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის ხარისხზე. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გამოკითხვის შედეგები, ჩვეულებრივ, მედიაზე ხელმისაწვდომობის ჭრილში საერთო სურათისგან განსხვავებულია. მედიაპლურალიზმისა და კრიტიკულ მედიაზე ხელმისაწვდომობის გარდა, მთავარ გამოწვევად რჩება ინფორმაციის უწყვეტად მიღების შესაძლებლობა. ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევად და სამოქალაქო ინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორად რჩება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ანტიდასავლური პროპაგანდა და ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) საინფორმაციო საშუალებების ზეგავლენა.

სტრატეგიული მიზანი 2: თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად არის განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას. ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, ეკონომიკური პოტენციალის სხვაობა რეგიონების მიხედვით და გეოგრაფიული ფაქტორები აძლიერებს სოციალური უთანასწორობის მზარდ ტენდენციას. არათანაბრია გარემო და შემოსავლების გენერირების შესაძლებლობები ისეთ სოციალურ ჯგუფებში როგორც არიან: ქალები, უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები და ა.შ.

სტრატეგიის აღნიშნული კომპონენტი ეყრდნობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წელს ხელმოწერილ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავი - „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“ ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფებისათვის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის თემებისათვის, ინკლუზიური სამუშაო ბაზრის, სოციალური უსაფრთხოების სისტემის, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას³⁵.

მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელების მიუხედავად, 2017 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული სოციალური კვლევის მიხედვით³⁶, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში სოციალურად გარიყული ჯგუფების კატეგორიაში ხვდებიან. ამ კვლევის თანახმად, სოციალური გარიყულობა გაიგივებულია სისტემატურ დაუცველობასთან, რაც ქმნის ბარიერებს, აფერხებს განვითარებას და წვდომას, მაგალითად, ხარისხიან განათლებაზე, დასაქმებასა და შემოსავალზე.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევ მექანიზმად დასახულია სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით, სოციალური დაცვის სააგენტომ სამხარეო ფილიალების მეშვეობით განახორციელა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. თუმცა, ეს ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა და არ კონკრეტდება რამდენმა წარმომადგენელმა მიიღო ინფორმაცია და ეთნიკური უმცირესობების რამდენი წარმომადგენელი დარეგისტრირდა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში. აგრეთვე, ზოგადი ინფორმაციის სახით ქვემო ქართლის ყველა მუნიციპალიტეტიდან მიღებულია დადებითი პასუხი იმაზე, რომ ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ასაქმებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობასაც. თუმცა, ამ ინფორმაციის მიღება მოხდა მოთხოვნისამებრ და არა გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. აგრეთვე, საყურადღებოა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობის მოლოდინი ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნასთან დაკავშირებული სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების თაობაზე³⁷. მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში ამ მოლოდინების შესახებ არიან ინფორმირებულნი და, უფრო მეტიც, აქტიურად აწარმოებენ მოლაპარაკებას ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ზემოხსენებული საკითხის პრიორიტეტიზაციის თვალსაზრისით. 2017-2018 წლების ანგარიშებში მოყვანილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების ფონდისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტები, მათი რაოდენობა და მთლიანი ღირებულება. ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა

რუსული პროპაგანდის წყალობით ადგილობრივი ფერმერები უკეთესად ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სასოფლო-სამეურნეო ჯიშების დანერგვა ხდება კრასნოდარის მხარეში და არ ფლობენ ინფორმაციას ახალ ტექნოლოგიებზე, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ცდიან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

სოფლის მეურნეობის საკითხებში ექსპერტი სამცხე-ჯავახეთიდან

35 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა

36 მსოფლიო ბანკის ანგარიში სოციალური გარიყულობა და ჩართულობა საქართველოში 2017 <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/28317/AUS16604-WP-v2-P156404-PUBLIC-full-report.pdf?sequence=1&isAllowed=y>

37 ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ან ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა – რეგიონული მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთს პირდაპირ აკავშირებს აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს.

საავტომობილო გზებს; სარწყავი და სანიაღვრე სისტემებს; მოეწყო გარე განათება და შიდა გზები და სხვა³⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის ყველა მუნიციპალიტეტიდან იყო მოწოდებული ზოგადი საინფორმაციო დოკუმენტი დანართის სახით, რომელიც კონკრეტული მუნიციპალიტეტის მიხედვით აღრიცხავს პროექტების რაოდენობას და გამოყოფილ ბიუჯეტს³⁹. სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვედრისას, ირკვევა, რომ 2018 წლის განმავლობაში 160 მილიონი ლარის ღირებულების 500-ზე მეტი პროექტი განხორციელდა, თუმცა რწმუნებულის მოადგილემ აღნიშნა ასევე ისეთი ხარვეზები, როგორიცაა ჩავარდნილი ტენდერები და შეჩერებული პროექტები. ინფორმაცია მსგავსი ხარვეზების შესახებ არ მოიძებნება სახელმწიფო ანგარიშებში. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუშახელის მოკლევადიანი დასაქმების შესაძლებლობებზე აქცენტის გაკეთება. სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები, როგორც წესი, არ ასაქმებენ ადგილობრივ არაკვალიფიციურ მუშახელს. როგორც მაგალითად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებმა განაცხადეს. მათი თქმით, არც განიხილება მსგავსი ინიციატივების გათვალისწინება, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ადგილზე ვერ მოხერხდება არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მობილიზება სათანადო ანაზღაურების გათვალისწინების პირობებში.

საანგარიშო პერიოდში, გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა მოქალაქეების ინფორმირება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ. მაგალითად, 2018 წელს, ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში ჩატარა 21 საინფორმაციო შეხვედრა სამივე რეგიონში და ამ შეხვედრებზე ინფორმაცია მიეწოდა 873 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელს. ფოკუსჯგუფი დისკუსიებისას კი გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა არ ფლობდა დეტალურ ინფორმაციას აღნიშნული პროგრამის შესახებ. აგრეთვე, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა სტატისტიკის მიწოდება რეგიონული მასშტაბით, რაც ართულებს მუნიციპალურ დონეზე განხორციელებული პროექტებისა თუ ინიციატივების მონაცემთა ამოცნობასა და გაანალიზებას. მონიტორინგისას გამოიკვეთა აგრეთვე არამიზნობრივი ჯგუფების შერჩევის პრობლემა, ინფორმაციის შემდგომი გავრცელებისთვის. ნიშანდობლივია, რომ თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნისთვის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში რეკომენდაციების ნაწილში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უწევს რეკომენდაციას გააგრძელოს საინფორმაციო კამპანიების წარმართვა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონებში და საქართველოს მასშტაბით ახორციელებს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს, რომელიც ინიცირებულია 2013 წელს. მას ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო⁴⁰. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მსგავსი პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, თუმცა საყურადღებოა ამ პროგრამის წარმატებულობაზე ხაზის გასმა. მონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაციით ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სულ 18 000 და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 50 000 ლარამდე იყო გაცემული აგრო კრედიტების სახით 2018 წლის განმავლობაში. ცხადია, რომ მსგავსი მაჩვენებლებით, ზემოაღნიშნული პროგრამა ვერ შეუწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის და, კერძოდ, ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს უკანასკნელი მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ აუცილებელია თითოეული პროგრამის, პროექტის თუ ღონისძიების შეფასება ხარისხობრივი და ობიექტური მაჩვენებლების გაანალიზებით და არამხოლოდ საინფორმაციო შეხვედრების რიცხობრივი სტატისტიკით.

დასკვნა

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევა დაგეგმილი იყო ერთი შუალედური მიზნის შესრულებით

38 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ 37.

39 ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის 2019 წლის 1 ნოემბრის N 01/1859 წერილი

40 <http://arda.gov.ge/projects>

„სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც დასახული იყო შემდეგი 3 ძირითადი ამოცანა:

2.1.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; 2.1.2. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; 2.1.3. პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა.

2.1.1. და 2.1.2. ამოცანის ფარგლებში ღონისძიებები ხორციელდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები ჩატარდა 2017 და 2018 წლებში. აგრეთვე გაიმართა ინტენსიური კამპანიები სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და სერვისებზე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. თუმცა, რა კონკრეტული ღონისძიებების დასახვას ან განხორციელებას გეგმავს სოციალური დაცვის სააგენტო პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველსაყოფად კვლავ ბუნდოვნად რჩება.

ამ მიმართულებით გაწეული ინტენსიური საქმიანობის მიუხედავად, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი ღონისძიებები თავისი შინაარსითა და მასშტაბებით სრულად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევას. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა დონორების მიერ კოორდინირებულ და განხორციელებულ პროექტებს უდავოდ მნიშვნელოვანი წილი შეაქვს ზოგადად სტრატეგიული გეგმებისა და პროექტების აღსრულებაში. თუმცა, ფრაგმენტულად ჩამოთვლილი პროექტები და ცალკეულად განხილული ინიციატივები, სახელმწიფო შესრულების ანგარიშში არასოლიდურად გამოიყურება. უფრო მეტიც, მონიტორინგმა გამოავლინა რომ შესაბამისი ინფორმაცია სხვადასხვა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებზე არ არის ცნობილი მუნიციპალური და რეგიონული მოხელეების დონეზე. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები რეგიონებში უნდა იყვნენ ინფორმირებული ამა თუ იმ პროექტის განხორციელების შესახებ, და მათი რჩევა-რეკომენდაციებიც საჭიროებისამებრ მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუმცა, რეკომენდებულია, აქცენტი გაკეთდეს უწყებების მიერ გეგმიურ სტრატეგიული სახელმწიფო პროგრამების მიზნების შესრულებაზე. სასურველია, რომ სახელმწიფო სტრატეგიის შესრულების ანგარიშში ასახავდეს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ინიცირებულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს ან/და პროექტებს.

რეკომენდაცია

შუალედური მიზანი 2.1. სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა — რეკომენდებულია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი მოსახლეობის მიზნობრივად ინფორმირება მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ სახელმწიფო სერვისებისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ. საჭიროა, სტატისტიკა და ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური სერვისებისა და პროგრამების გამოყენება-სარგებლობაზე წარმოდგენილი იქნეს მუნიციპალურ დონეზე. რეკომენდაციის საჭიროების ანალიზი: მონიტორინგისას გამოიკვეთა ინფორმაციის დეფიციტი ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და ამ სერვისებით სარგებლობის შესახებ.

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

საქართველოს კონსტიტუცია განმარტავს, რომ საქართველოს მოქალაქენი „თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი „ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.“ (38.1). ამასთან, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. (35.1)

განათლების საკითხები რეგულირდება შემდეგი ძირითადი კანონებით:

- საქართველოს კანონით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ;

- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (07.2015).

საქართველო ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებული რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის წევრიცაა, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციისა, რომლის მე-6, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უმცირესობათა განათლების უფლებებს. განათლების საკითხებს ასევე ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმება და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია.

სამთავრობო ცვლილების შემდეგ, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური კურსი ეთნიკური უმცირესობები სამოქალაქო ინტეგრაციისა და თანასწორობის მიმართულებით არ შეცვლილა. სამოქალაქო ინტეგრაცია კვლავ ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად არის გამოცხადებული. 2015 წლის 17 აგვისტოს, მთავრობის მიერ განკარგულების №1740 საფუძველზე დამტკიცდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015–2020 წლების სამოქმედო გეგმა. დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია „უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი განათლება ყველა დონეზე და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება“.

მონიტორინგის ანგარიშის წარმოდგენილი ნაწილი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ განხორციელებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის 2017–2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ანალიზს განათლებისა და სახელმწიფო ენის მიმართულებით. შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები განხილულია ადრეული/სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი და ზრდასრულთა განათლების კონტექსტში, რომელიც სტრატეგიის მესამე მიზნის მიმართულებებად არის აღწერილი.

აღნიშნული მონიტორინგი მიზნად ისახავს ერთი მხრივ განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა და შედეგების განხილვას სამოქმედო გეგმასთან მიმართებით, მეორე მხრივ კი, მათი ეფექტურობისა და შესაბამისობის ანალიზს.

3.1. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის


2016 წლის 8 ივნისს, დამტკიცდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (N5366-III), რომელიც აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს; განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას.

2017 წლის 30 ოქტომბერს კი, საქართველოს მთავრობის დადგენილების №488 საფუძველზე დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, რომლების „განსაზღვრავენ თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ასევე განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს“. სტანდარტის მე-6 მუხლში „ხარისხის სტანდარტი“ - „ზ“ განმარტავს: „კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია - მიმართულება, რომელშიც მოცემულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემასა და თითოეული

ბავშვის თანაბარ ჩართულობასთან დაკავშირებული მახასიათებლები, მიუხედავად მისი საჭიროებისა, შესაძლებლობისა, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულობისა⁴¹.

მე-19 პუნქტში „მიმართულება - ინკლუზიური განათლება“ გ⁴² ქვემუხლოში გვხვდება ჩანაწერი „გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ხელს უწყობენ ქართული ენის სწავლებას“. ამავე მუხლის 1-ე ქვემუხლოში კი განმარტავს, რომ „დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, არაქართულენოვანი ბავშვის პროგრამაში სრულფასოვნად ჩართვის მიზნით, სწავლობენ და იყენებენ რამდენიმე სიტყვას მათ მშობლიურ ენაზე“. ამრიგად, სტანდარტები განსაზღვრავენ სკოლამდელი განათლების ენად ქართულს ყველა ეთნიკური და ენობრივი ჯგუფისათვის, მიუხედავად მათი მშობლიური ენისა. შესაბამისად, არსებული სტანდარტი არ არის მორგებული ორენოვნების პრინციპების გამოყენებაზე, რაც ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში ადრეული ასაკიდანვე შეუწყობდა ხელს.

2017 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულმა სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევამ საქართველოში გამოავლინა რიგი პრობლემები, რომლებიც ადრეული და სკოლამდელი განათლების კუთხით არსებობს ქვეყანაში⁴¹. ძირითადი მიგნებების მიხედვით, საქართველოში, ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით არსებული დაბალი ჩართულობა (69.5%) კვლავაც ზოგად პრობლემად რჩება, განსაკუთრებით კი, თუ საკითხს თანაბარი ხელმისაწვდომობის ჭრილში განვიხილავთ. იმდენად, რამდენადაც კანონის მიხედვით, სკოლამდელი განათლების მართვისა და დაფინანსების დეცენტრალიზებული მოდელი კვლავ შენარჩუნებულია, და სკოლამდელი განათლება კვლავაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების სფეროს, დეცენტრალიზაციის პირობებში, მუნიციპალიტეტებს შორის არსებული განსხვავებები აისახება სკოლამდელი განათლების სფეროზეც, როგორც ხარისხის, ისე სერვისის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, სკოლამდელი განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველაზე დაუცველ და არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისთვის: სოციალურად დაუცველი ბავშვების მხოლოდ 40% დადის საბავშვო ბაღში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების - 33%, სოფელში მცხოვრები ბავშვების - 47%. ფიზიკური, სოციალური თუ ინსტიტუციური ბარიერების გამო სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები ვერ იღებენ სკოლამდელ განათლებას თანატოლებთან ერთად (UNICEF, 2018). ის, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის ვერ უზრუნველყოფენ სკოლამდელი განათლების მიღებას, ცხადყოფს რეგიონების დონეზე სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, სადაც კომპაქტურად არიან ეთნიკური უმცირესობები განსახლებულნი, აჭარასთან ერთად, ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საქართველოს სხვა რეგიონებს შორის ყველაზე დაბალია.



ცხრილი 1:2-5 წლის ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

41 გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, 2018. www.unicef.org/georgia/media/1041/file/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

კვლევაში, ასევე გამახვილებულია ყურადღება სკოლამდელი განათლების საფეხურზე ჩართული კადრების დაბალი კვალიფიკაციის, ცნობიერებისა და ინფორმირების საკითხებზეც იმ რეგიონებში, რომელიც ერთი მხრივ ენობრივი ბარიერით, ხოლო მეორე მხრივ კი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, სისტემური მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების არარსებობით არის გამოწვეული. შესაბამისად, ის ბავშვებიც კი, რომლებსაც გააჩნიათ წვდომა ადრეულ და სკოლამდელ განათლების დაწესებულებებზე, უკვე სკოლამდელი ასაკის პერიოდში იღებენ ნაკლებად ხარისხიან განათლებას, რაც ცხოვრების შემდგომ საფეხურზე კიდევ უფრო ძლიერდება.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ არის მოწოდებული და ასახავს 2017–2018 წლების მდგომარეობით არსებული საბავშვო ბაღებისა და სკოლამდელი განათლების ცენტრების რაოდენობას, ასევე, ბავშვებისა და აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობას მუნიციპალიტეტების ჭრილში. გარდა ამისა, ცხრილშიცაა მოცემული ინფორმაცია საბავშვო ბაღებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლების ენის შესახებ. ფაქტი, რომ რიგ მუნიციპალიტეტებში აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობა არასაკმარისია ბავშვების რაოდენობასთან მიმართებით, ასევე გავლენას ახდენს ერთი მხრივ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისათვის მშობლიურ ენაზე ან ორენოვანი განათლების პირობებში განვითარების შესაძლებლობაზე, ხოლო მეორე მხრივ კი, აძლიერებს იმ ენობრივ გამიჯნულობას, რომელიც ერთ ბაღში რამდენიმე ენოვანი ჯგუფების არსებობის შემთხვევაში, ჯგუფების განათლების მონოლინგუური ბუნებით არის განპირობებული.

მუნიციპალიტეტი	წელი	საბავშვო ბაღი	12 საბავშვო ბაღი და 3 ალტერნატიული სკოლამდელი განათლების დღის ცენტრი			სწავლების ენა
ბოლნისი	2017	12	3	1321	105	ქართული
ბოლნისი	2018	12	3	1313	105	ქართული
გარდაბანი	2017	25	0	2829	70+389	ქართული
გარდაბანი	2018	25	0	2850	104+406	ქართული
დმანისი	2017–2018	9	0	340	16	ქართული #1 ბაღის ბაზაზე ფუნქციონირებს ქართულის შესწავლა ეთნიკური უმცირესობების მიერ
თეთრიწყარო	2017	15	0	703	34	ქართული
თეთრიწყარო	2018	16	0	711	35	ქართული
მარნეული	2017	13	6 – 1 ქართ, 5 აზერბ.	1962+335	56 აღმზრდელი	56 ჯგუფიდან: 40– ქართ. 10 აზერბ., 4–რუსულ., 2–სომხურენოვანი
მარნეული	2018	14	14	2259+335		59 ჯგუფიდან: 40– ქართულ., 13–აზერბ., 4 რუსულ., 2–სომხურენოვანი
წალკა	2017–2018	1	0	170	10	ქართული
საგარეჯო	2017–2018	0	3 ალტერნატ.	125	3	ქართული

სამცხე-ჯავახეთი	2017	34 ⁴²				
-----------------	------	------------------	--	--	--	--

ცხრილი 2: ბაღების გადანაწილება მიზნობრივ რეგიონებში ტიპის, ბავშვებისა და აღმზრდელ-პედაგოგების და სწავლების ენების მიხედვით

2018 წელს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, თუმცა ამავე სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული განათლების ხარისხიანობის უზრუნველყოფის მიზნით, „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული რეგიონების სკოლამდელი განათლების დაწესებულებების კადრების გადამზადება სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით არ განხორციელებულა“⁴³. იმ საბავშვო ბაღებისათვის ან ბაღში არსებული ჯგუფებისათვის, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ენაზე ფუნქციონირებენ, სასწავლო და განვითარებაზე ორიენტირებული რესურსები, რომელთა სიმწირე ზოგადად, ერთ-ერთ გამოწვევად არის იდენტიფიცირებული გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლების ხარისხის ცენტრის კვლევაში, კიდევ უფრო მწირი და ნაკლებ ხელმისაწვდომია. მოძიებული და მოწოდებული ინფორმაციის სამაგიდო კვლევა აჩვენებს, რომ ერთადერთი პროგრამა, რომელიც ბილინგვური განათლების მხარდაჭერას ითვალისწინებს მიზნობრივ რეგიონებში, ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციის - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ ეუთოს ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი კომისიის ოფისის ფინანსური მხარდაჭერითა და ბილინგვური განათლების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი პედაგოგიური და აღმზრდელთა კადრების პროფესიულ მომზადებასა და ბაღების სპეციალურად შემუშავებული რესურსების მიწოდებას ისახავს მიზნად 7 საბავშვო ბაღში დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, ახალციხის, ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში. მუნიციპალიტეტებიდან და უმუშაოდ ბაღებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ძირითადი სასწავლო რესურსი, რომლითაც არაქართულენოვანი ჯგუფები ქართულ ენაზე ხელმძღვანელობენ, 2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივ საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოცემული წიგნი „ნენე, დუდუ და წიკოა“. ასევე სახელდება ორგანიზაცია „კივიტასის“ მიერ 2014 წელს „ბასკო - სკოლამდელი მზაობის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი მეთოდური პუბლიკაცია „ბასკო“.

დასკვნა

ადრეული და სკოლამდელი განათლების საკანონდებლო დოკუმენტაციის მიმოხილვა, დაწესებულებების სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

მიუხედავად ბევრი პოზიტიური ცვლილებისა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს როგორც სკოლამდელი განათლების, როგორც განვითარების ფუნდამენტური საფეხურის მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის განათლების ხარისხისა თუ ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების კუთხით, არსებულ კანონმდებლობაში კვლავაც არ არის ასახული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი განათლების საჭიროებები.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, როგორც საქართველოში ზოგადად, ასევე მიზნობრივ რეგიონებში, მეტი ყურადღება ექცევა სააღმზრდელო კადრების გადამზადებისათვის ფინანსებისა და რესურსების გამოყოფას, ბაღების სათანადო სასწავლო, განვითარებაზე ორიენტირებული და მეთოდოლოგიური მასალებით უზრუნველყოფას სამინისტროს, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ, კვლავაც პრობლემად რჩება სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის უზრუნველყოფის განსხვავებული ხარისხი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კრიტერიუმების მიხედვით.

იმ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებშიც წარმოდგენილი არიან

42 მუნიციპალიტეტებისა და ფუნქციონირების ენის მიხედვით ინფორმაცია არ იქნა დროულად მოწოდებული

43 განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური პასუხი

ეთნიკურად არაქართველი მოზარდები უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ეფექტურად ვერ ხერხდება სახელმწიფო ენის დაუფლება მეორე ენის განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდების, შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი ადამიანური რესურსებისა და სასწავლო მასალების არარსებობის გამო. იმავდროული მშობლიური ენის შენარჩუნება-განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და ხელშეწყობა ასევე პრობლემურია.

ტრენინგების ჩამონათვალი, რომლებიც მუნიციპალიტეტების მიერ არის მოწოდებული, ფრაგმენტულად მოიცავს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების, მრავალფეროვანი გარემოსა და განსხვავებების მართვის მეთოდებისა და სტრატეგიებზე ორიენტირებული საკითხებისა და თემატიკის შესახებ. ასეთი ტრენინგები მეტწილად საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება მიზნობრივ საბავშვო ბაღებში. შესაბამისად, არსებობს კვალიფიციური პროფესიული კადრების დეფიციტი იმისათვის, რომ მოხდეს ინტეგრაციაზე ორიენტირებული ენობრივი პოლიტიკის დანერგვა სკოლამდელი განათლების საფეხურზე.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნაკლებად ხელმისაწვდომია ან არ არსებობს სპეციალური რესურსები და მასალები, რომლებიც ბილინგვური სწავლების, მულტიკულტურული ასპექტების ასახვისა და მრავალფეროვნების მართვაზე იქნება ორიენტირებული.

3.2. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე

2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს 2085 საჯარო სკოლიდან 208 საჯარო სკოლა ანუ ზუსტად სკოლების რაოდენობის 10% არაქართულენოვანი სკოლაა. ქვემოთ მოცემული ცხრილში წარმოდგენილია სკოლების რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით:

სკოლები	
1. აზერბაიჯანულენოვანი	80
2. რუსულენოვანი	11
3. სომხურენოვანი	117
სულ	208

ცხრილი 2. არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით

208 არაქართულენოვანი საჯარო სკოლის გარდა საქართველო საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს არაქართულენოვანი სექტორები რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სწავლების ენით. მათი საერთო რაოდენობა 83 სექტორს შეადგენს. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოგვიდგენს სექტორთა გადანაწილებას სწავლების ენის მიხედვით:

აზერბაიჯანული, რუსული	2
აზერბაიჯანული, სომხური	2
რუსული, სომხური	1
ქართული, აზერბაიჯანული	33
ქართული, აზერბაიჯანული, რუსული	1
ქართული, რუსული	33
ქართული, რუსული, სომხური	1
ქართული, სომხური	10
სულ	83

ცხრილი 3. არაქართულენოვანი სექტორების რაოდენობა სწავლების ენის მიხედვით

დასახლების ტიპის მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სწავლების ენის მიხედვით სკოლების განლაგებას სხვადასხვა დასახლების ტიპში:

სწავლების ენა	დაბა	სოფელი	ქალაქი	სულ
აზერბაიჯანული		73	7	80
აზერბაიჯანული, რუსული		2		2
აზერბაიჯანული, სომხური		2		2
რუსული		5	6	11
რუსული, სომხური		1		1
სომხური		108	9	117
ქართული, აზერბაიჯანული		31	2	33
ქართული, აზერბაიჯანული, რუსული			1	1
ქართული, რუსული	1	4	28	33
ქართული, რუსული, სომხური			1	1
ქართული, სომხური		6	4	10
სულ	1	232	58	291

ცხრილი 4. არაქართულენოვანი სკოლები და სექტორები დასახლების ტიპის მიხედვით

ცხრილიდან თვალნათელია, რომ არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების უმრავლესობა განლაგებულია მაღალმთიანი და სოფლის დასახლებაში (79.7%) და მხოლოდ 19.9% ქალაქის დასახლებაში. სურათი კიდევ მეტად განსხვავებულია კონკრეტულად სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების განლაგებასთან დაკავშირებით. აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისა და სექტორების 90%-ზე მეტი და სომხურენოვანი სკოლებისა და სექტორების 89.3% სოფლისა და მაღალმთიან დასახლებებში. განლაგების ტიპს ამ შემთხვევაში უდიდესი როლი ენიჭება და გასათვალისწინებელი ფაქტორია პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში მოსწავლეთა რაოდენობა 51 737 შეადგენს და აქედან მოსწავლეთა 25 494 აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მოსწავლეები არიან, რაც არაქართულენოვანი მოსწავლეების 49.2%-ს შეადგენს 12 946 – რუსულენოვანი და 13 351 – სომხურენოვანი, რაც შესაბამისად, 25.0% და 25.8% პროცენტია. საქართველოში საჯარო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 523 281 მოსწავლეა. არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებზე მოსწავლეების რაოდენობა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%-ს შეადგენს სკოლების რაოდენობის მსგავსად. სწავლების ენის მიხედვით მოსწავლეთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

სწავლების ენა	მოსწავლეთა რაოდენობა	პროცენტული რაოდენობა
ქართულენოვანი	471 490	90,1 %
სომხურენოვანი	13351	2,55 %
აზერბაიჯანულენოვანი	25494	4,87%
რუსულენოვანი	12946	2,47 %
სულ	523 281	100 %

ცხრილი 5. მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლებში სწავლების ენის მიხედვით

ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმის გასაანალიზებლად, თუ მოსწავლეების საერთო რაოდენობის რა წილის ხარისხიან განათლებას ეხება ქვეყნის განათლების მიზნობრივი პოლიტიკა და მიმდინარე პროცესები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №40/ნ ბრძანებით 2016 წელს დამტკიცდა 2018–2024 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური. ასევეა დამტკიცებული საბაზო საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვაც დაიწება 2019–2020 სასწავლო წლიდან. ახალი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გრიფირება და ბეჭდვა რიგი მიზეზების გამო დაგვიანდა და შესაბამისად, მხოლოდ 2018 წელს გახდა შესაძლებელი დაწყებითი საფეხურის, I-VI კლასების უზრუნველყოფა შესაბამისი გრიფირებული წიგნებით.

ეროვნულ სასწავლო გეგმას დაემატა მუხლი 8 . ენობრივი განათლება 1 არაქართულენოვან

სკოლებში/სექტორებზე - პუნქტი 3. თუ ქართულენოვან სკოლაში/სექტორზე სწავლობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები, სკოლა უფლებამოსილია მათ შესთავაზოს მშობლიური ენის საგნის სწავლება იმავე ან განსხვავებული საათობრივი დატვირთვით, ვიდრე მოცემულია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების საათობრივ ბაღში საგნისთვის „ეროვნული უმცირესობების ენა“. ამ საგნისთვის მოსწავლეთა ჯგუფი შესაძლებელია დაკომპლექტდეს ერთი ან რამდენიმე კლასიდან და მათი რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 10. აღნიშნული საგნის შემოატანის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია უნდა აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში.

საქართველოში 2018 წლიდან ხორციელდება რიგით მეოთხე სასწავლო გეგმის დანერგვა, რომელიც „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ახალი მიდგომებსა და ხედვების განვითარებას გულისხმობს სკოლებში. კონცეფციის დოკუმენტში, რომელიც განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული ვკითხულობთ: „დანერგვის ძირითადი ინსტრუმენტები იყო გრიფირებული სახელმძღვანელოები, გზამკვლევები და ცენტრალიზებული ტრენინგები. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გადადის სკოლაში მიმდინარე პროცესების მხარდაჭერაზე“.

რეალურად, იმ პერიოდში, როდესაც ქართულენოვანი სკოლები ეტაპობრივად გადადიან მესამე თაობის 2014-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმიდან ახალი ტიპის სასწავლო გეგმაზე, არაქართულენოვანმა სკოლებმა 2014-2016 წლების სასწავლო გეგმა პრაქტიკულად ვერ გაიარეს აუცილებელი საჭირო რესურსის, კერძოდ კი, შესაბამისი სახელმძღვანელოების არქონიდან გამომდინარე, რომელიც სამინისტროს კონცეფციაში სასწავლო გეგმის დანერგვის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად მოიაზრება. ახალი სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესშიც, 2017 წლიდან არაქართული სკოლები კვლავ ახალი სახელმძღვანელოების გარეშე აგრძელებენ ფუნქციონირებას, რადგან ისევ მხოლოდ 2011 წლის გრიფირებული და დაბეჭდილი სახელმძღვანელოებია მათთვის ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსი.

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის **N28/6** ბრძანების მე-17 მუხლის თანახმად, „თითოეულ საგანში შინაარსობრივ რეცენზირებაში საუკეთესო შედეგების მქონე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სერია შესაძლებელია ითარგმნოს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისთვის/მასწავლებლებისათვის“.

2018 წელს გრიფმინიჭებული I-VI კლასების სასკოლო სახელმძღვანელოებით არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეების/მასწავლებლების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის **N28/6** ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის **N443** ბრძანებით დამტკიცებული „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაევალა შესაბამისი სახელმძღვანელოების/სერიების გადამუშავებისათვის (თარგმნა) საჭირო ღონისძიებების გატარება.

2019-2020 სასწავლო წლიდან არაქართულენოვან სკოლებში უნდა დაიწყოს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა I-VI კლასებში. გრიფირების კონკურსის შედეგად გამოვლენილი ყველაზე მაღალი ქულის მქონე სახელმძღვანელოების თარგმნა დაიწყო 2018 წელს სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, თუმცა ავთენტურობის გადამოწმებისას, აღმოჩნდა მთელი რიგი ხარვეზები. ხარვეზების მითითების შემდგომ, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კვლავ გადამოწმებულიყო თარგმანის ავთენტურობა. 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული იდენტიფიცირებული ხარვეზები, და შესაბამისად, სკოლები ძველი სახელმძღვანელოებით აგრძელებენ მუშაობას.

რაც შეეხება საბაზისო და საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოებს, 2011 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოების დარიგება სკოლებში დაიწყო 2017 წელს, თუმცა სკოლებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ ტექნიკურ-ლოგისტიკური ხასიათის პრობლემებზე, რომელმაც შეაფერხა ადგილობრივი განათლების რესურს-ცენტრებიდან სკოლებამდე საჭირო რაოდენობის წიგნების უზრუნველყოფა. შესაბამისად, სკოლების ნაწილში, დღემდე არ არის

ხელმისაწვდომი 2011 წელს გრიფირებული, ხელახლა დაბეჭდილი სახელმძღვანელოები.

არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები

არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 43% აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მასწავლებლებს შეადგენენ, 37,8 % – სომხურენოვანს და 19,2 % – რუსულენოვან სკოლის მასწავლებლებს.

სწავლების ენა	ქალი	კაცი	სულ
აზერბაიჯანული	2332	1057	3389
სომხური	2509	470	2979
რუსული	1374	143	1517
სულ:	6215	1670	7885

ცხრილი 6: მასწავლებელთა რიცხოვნება სწავლების ენისა და სქესის მიხედვით

საქართველოში არაქართულენოვანი სკოლების ძირითადი ნაწილი განთავსებულია ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. ამ სამი რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში მთლიანობაში 6818 მასწავლებელია დასაქმებული. რეგიონების მიხედვით მასწავლებელთა განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

რეგიონი	რაოდენობა
ქვემო ქართლი	3830
სამცხე-ჯავახეთი	2571
კახეთი	417
სულ	6818

ცხრილი 7: არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები რეგიონების მიხედვით

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურ ინფორმაციას იძლევა არაქართულენოვანი სკოლების ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ სწავლების ენის მიხედვით.

სწავლების ენა	რაოდენობა	საპენსიო	პენსიონერთა წილი %
საქართველო	67344	13525	20%
აზერბაიჯანულენოვანი	3389	1179	34,8%
სომხურენოვანი	2979	604	20,3%
რუსულენოვანი	1517	438	28,9%

ცხრილი 8. არაქართულენოვანი სკოლების ასაკობრივი სტრუქტურა სწავლების ენის მიხედვით

ცხრილის მიხედვით თვალსაჩინოა, რომ აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებში ასაკოვან მასწავლებელთა წილი მაღალია. აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 34,8%-ს შეადგენს, ხოლო რუსულენოვან სკოლებში 28,9 %-ს. ანუ ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოს მასშტაბით არსებული მონაცემი (საპენსიო ასაკის მასწავლებლები საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენენ, რაც თავისთავადაც მაღალი მაჩვენებელია. თუ 50 წელს ზევით მასწავლებელთა რაოდენობასაც გავანალიზებთ, ამ თვალსაზრისით, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 55% სწორედ 50 წელს ზევითაა (აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ეს მაჩვენებელია 63%). რაოდენობრივად კი ეს მაჩვენებელი 4331 მასწავლებელს შეადგენს, რომელთა ჩანაცვლება უახლოესი წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს.

მასწავლებლების კვალიფიკაცია და მათი ჩართულობა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ითვალისწინებს ოთხი კატეგორიის მასწავლებლის არსებობას, რომელთაგან

ყველაზე დაბალი კატეგორია, პრაქტიკოსი მასწავლებელი, მიღწეადი კატეგორიაა და რომელზეც არიან არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა. თუკი ეს მასწავლებლები კატეგორიის ამალგებას ვერ შეძლებენ, მათი ჩანაცვლების საკითხი დგება დღის წესრიგში.

	არ არის განსაზღვრული	მენტორი	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	
ქართული	2.9%	0.1%	52.9%	43.3%	0.8%	48296
აზერბაიჯანული	4.9%	0.0%	90.2%	4.6%	0.2%	2152
სომხური	4.8%	0.0%	89.4%	5.8%	0.0%	2700
რუსული	8.7%	0.0%	74.1%	16.9%	0.3%	355
სექტორები	3.6%	0.0%	66.6%	29.3%	0.5%	3925

ცხრილი 9: კატეგორიების მიხედვით მასწავლებელთა გადანაწილება სწავლების ენის ჭრილში

ამავე კონტექსტში საინტერესოა რაიონების მიხედვით მასწავლებელთა კატეგორიებად გადანაწილება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დეტალურადაა წარმოდგენილი არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა სტატუსების შესაბამისად გადანაწილება. ცხრილის მიხედვით თვალნათელია, რომ სტატუსის არმქონე და პრაქტიკოსი მასწავლებლების რაოდენობა 78-დან 98%-მდე მერყეობს სხვადასხვა რაიონში.

რაიონი	მენტორი	წამყვანი	უფროსი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე
ასპინძა	0%	0%	26%	70%	4%
ახალქალაქი	0%	0%	1.7%	95%	3.3%
ახალციხე	0%	0%	12.8%	84.5%	2.7%
ბოლნისი	0%	0.1%	3.5%	93.5%	2.9%
გარდაბანი	0.2%	0.2%	9.4%	85.3%	5%
დმანისი	0%	0%	3.0%	90.7%	6.3%
თეთრიწყარო	0%	0%	1.5%	95.5%	3%
მარნეული	0%	0.1%	4.0%	92%	3.9%
ნინოწმინდა	0%	0%	4.6%	91.8%	3.6%
წალკა	0%	0%	3.5%	88.3%	8.2%

ცხრილი 10: არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა სტატუსების შესაბამისად გადანაწილება

დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ არაქართულენოვან სკოლებში, როგორც მასწავლებელთა ასაკის, აგრეთვე მათი კვალიფიკაციიდან და სახელმწიფო ენის ცოდნიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგას მასწავლებელთა ახალი თაობით ჩანაცვლების საკითხი. თუმცა, რამდენად განსახორციელებელია ეს პრობლემა არსებული მოთხოვნით დასაქმების ბაზარზე, ისევე როგორც ახალი, ხარისხიანი პროფესიონალი კადრების მიწოდების შესაძლებლობით, მნიშვნელოვანი საკითხია განსახილველად.

მასწავლებლების გადანაწილება არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებელთა გადანაწილების ანალიზისას, კარგად იკვეთება ის განსხვავებები, რომლებიც განათლების საფეხურისა და შესაბამისობის კუთხით არსებობს ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორიან სკოლებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ის განსხვავებები, რაც მასწავლებლების უმაღლესი განათლების დონის მიხედვით არსებობს ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ და სექტორებიან სკოლებში. მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რაც ქვეყანაში ზოგადად არსებობს მასწავლებელთა განათლებისა და შესაბამისობის კუთხით, სასკოლო განათლების მიზნებიდან გამომდინარე, მასწავლებლების განათლების ყველაზე მაღალი საფეხურის მიხედვით არსებული განსხვავებები ცხადია სწავლების ენების მიხედვით სკოლებში. ცხრილში წარმოჩენილია, რომ სომხურენოვან სკოლებში მასწავლებლების განათლების ყველაზე მაღალი საფეხური სრული ზოგადი განათლებაა 8%-ზე მეტი დასაქმებულისათვის, ხოლო პროფესიული განათლება

კი, 14%-ზე მეტი მასწავლებლისათვის. ამასთან, მასწავლებლების თითქმის 1%-ის შემთხვევაში განათლების ყველაზე მაღალი საფეხური საერთოდ არ არის მითითებული. საერთო ჯამში მასწავლებლების მეხუთედზე მეტს სომხურენოვან სკოლებში არ გააჩნია უმაღლესი განათლება. ქართულენოვან სკოლებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია პროფესიული და სრული ზოგადი განათლების, როგორც განათლების ყველაზე მაღალი საფეხურის მქონე მასწავლებლების გადანაწილება. მასწავლებლების განათლების უმაღლეს საფეხურს შორის განსხვავება, რომლებიც სწავლების ენების მიხედვით განსხვავებულ სკოლებში ვლინდება, კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ გამოწვევებსა და ახალი კადრების მოზიდვის აუცილებლობაზე, რომელიც ამ სკოლებში განსაკუთრებულად აქტუალურია. მეორე მხრივ, გამოწვევას წარმოადგენს მასწავლებლებისათვის ზოგადპროფესიული გამოცდის ჩაბარება ქართულ ენაზე, რადგან ეს გამოცდა დღემდე არ ტარდება ეთნიკური უმცირესობების ენაზე, შესაბამისად, ის მასწავლებლებიც კი, რომლებმაც დაადასტურეს საგნობრივი კომპეტენციები, ვერ ახერხებენ სტატუსის მოპოვებისათვის გამოცდაზე გასვლას.

სწორედ ამ კონტექსტშია საინტერესო და მნიშვნელოვანი იმ პროგრამების განხილვა და ანალიზი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება არაქართულენოვანი სკოლების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მასწავლებლის განათლება	არ არის მითითებული	ბაკალავრთან გათანაბრებული აკად. ხარისხი	მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი	დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი	პროფესიული განათლება	სრული ზოგადი განათლება
სწავლების ენა						
აზერბაიჯანული	2.4%	23.3%	58.8%	0.1%	11.7%	3.6%
სომხური	0.9%	31.4%	44.8%	0.0%	14.4%	8.4%
ქართული	0.6%	14.7%	76.8%	0.5%	6.1%	1.3%
რუსული	3.7%	20.0%	64.8%	0.3%	7.6%	3.7%
სექტორები	0.7%	16.7%	71.7%	0.5%	8.3%	2.1%

ცხრილი 11: მასწავლებლების გადანაწილება ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ და სექტორებიან სკოლებში განათლების ყველაზე მაღალი საფეხურის მიხედვით

2018 წელს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების დანერგვისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის. პროგრამა შედგება ორი მოდულისგან- ტრენინგმოდული „მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდთა არაქართულენოვან (აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ) სკოლებში/სექტორებში“ დასრულებულია და მოიცავს 1,5 კრედიტს 20 საკონტაქტო საათს. შესაბამისად, ტრენინგმოდული „მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდთა არაქართულენოვან (აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ) სკოლებში/სექტორებში“ შესაბამისი სატრენინგო მასალითა და პრეზენტაციებით ნათარგმნია აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ასევეა შერჩეული შესაბამისი ენების ტრენინგები. თუმცა, 2019 წლის მდგომარეობითაც, დაგეგმილი 2000-მდე მასწავლებლის გადამზადება ამ მოდულების მიხედვით არ განხორციელებულა. 2019 წლის მდგომარეობით, ასევე შემუშავების პროცესშია მეორე მოდული. გამოწვევას წარმოადგენს მასწავლებლებისათვის ზოგადპროფესიული გამოცდის ჩაბარება ქართულ ენაზე, რადგან ეს გამოცდა დღემდე არ ტარდება ეთნიკური უმცირესობების ენაზე, შესაბამისად, ის მასწავლებლებიც კი, რომლებმაც დაადასტურეს საგნობრივი კომპეტენციები, ვერ ახერხებენ სტატუსის მოპოვებისათვის გამოცდაზე გასვლას.

2017-2018 წლებში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ განხორციელებული კომპაქტის ფარგლებში არაქართულენოვანი სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების პროფესიული გადამზადება.

„ლიდერობის აკადემია“ 1 და 2 ფარგლებში აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე ითარგმნა

ლიდერ აკადემია 1-ის 3 მოდული (ჯამში 40 საკონტაქტო საათი) და ლიდერობის აკადემია 2-ის ხუთი მოდული (ჯამში 64 საკონტაქტო საათი) თანმხლები სატრენინგო მასალით, და შესაბამისად, გადამზადნენ არაქართულენოვანი სკოლების დირექტორები და სკოლის ფასილიტატორები. ტრენინგმა მოიცვა სკოლების საერთო რაოდენობის 80% პროცენტი. მეორე ეტაპზე კი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლებიდან, მოწვეული პირების რაოდენობა 81 ადამიანით განისაზღვრა. საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმ დიდი ძალისხმევისა და რესურსისა, რომელიც ლიდერობის აკადემიის მოდულებისა და შესაბამისი მასალების თარგმნასა და სატრენინგო სესიების ჩატარებაში ჩაიდო, ტრენინგებში მონაწილე დირექტორთა წილი, ქართულენოვანი სკოლების დირექტორების წილზე მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ ფონზე, რომ ქართულენოვანი სკოლების დირექტორების 93%-მა მიიღო „ლიდერობის აკადემიაში“ მონაწილეობა.

კომპაქტის პროგრამამ ასევე მოიცვა არაქართულენოვანი სკოლების საბაზისო და საშუალო საფეხურის STEM-ის საგნობრივი მიმართულებების, გეოგრაფიისა და ინგლისური ენის მასწავლებლებიც. ამ შემთხვევაშიც, მოწვეული 2091 მასწავლებლიდან, ტრენინგები გაიარა 1547-მა მასწავლებელმა, რაც საერთო რაოდენობის 74%-ს შეადგენს. ქართულენოვანი მასწავლებლების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 82%-ია.

იმ ფონზე, როდესაც STEM-ის საგნების სწავლების გაუმჯობესებისათვის დიდი ძალისხმევა ჩაიდო, ძალიან მნიშვნელოვანი რესურსი შემუშავდა და ქვეყნის მასშტაბით, მასწავლებლები მოიცვა, არაქართულენოვანი სკოლების მეოთხედზე მეტი არ გადის პროფესიულ გადამზადებას, რაც უდავოდ, სერიოზულ ზიანს აყენებს არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ხარისხს.

ქართული, როგორც მეორე ენის დამხმარე მასწავლებლები

2016 წლიდან, ცენტრი ახორციელებს არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამას, რომელიც აერთიანებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს - „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (2009-2015წწ) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (2011-2015წწ), რომელთა მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება დამხმარე მასწავლებლების მონაცემები რეგიონების მიხედვით, სადაც 4 მონაწილე კახეთშია განაწილებული, 27 მონაწილე სამცხე-ჯავახეთში, ხოლო 47 ქვემო ქართლში. ქვემოთ, ცხრილში, მოცემულია დამხმარე მასწავლებლების გადამწიგნობა პროცენტულად, საიდანაც კარგად ჩანს, რომ მონაწილეების ყველაზე დიდი წილი ქვემო ქართლის სკოლებზე მოდის, რაც შესაძლოა, სკოლების მიერ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებით, დამხმარე მასწავლებლებისათვის უფრო ღია სასკოლო გარემოთი და ახალი კადრების შემოსვლის აუცილებლობის ხედვით იყოს განპირობებული.

მუნიციპალიტეტი	დაფარული სკოლების რაოდენობა	მონაწილეების რაოდენობა	კონსულტანტ-მასწავლებელი	დამხმარე მასწავლებელი	ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი
ახალქალაქი	24	32	17	9	6
ახალციხე	12	14	1	9	4
ახმეტა	1	2	0	2	0
ბოლნისი	19	35	15	11	9
გარდაბანი	15	30	10	14	6
დედოფლისწყარო	1	1	0	1	0
დმანისი	4	5	3	2	0
ლაგოდეხი	2	3	0	2	1
საგარეჯო	4	8	4	1	3

წალკა	8	11	6	2	3
ნინოწმინდა	23	35	13	5	17
მარნეული	62	107	52	27	28
სულ	175	283	121	85	77

ცხრილი 12: მივლენილი მასწავლებლების გადამწილება რაიონების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ არაქართულენოვან სკოლებში ახალი, უფრო კვალიფიციური კადრის დეფიციტი საგრძნობია და სისტემისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, და მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე მასწავლებლების დიდი ნაწილი სწორედ მასწავლებლის პროფესიის წარმომადგენელია, ისინი ჯერ კიდევ არ განიხილებიან მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ნაწილად, არ გააჩნიათ სტატუსი, და შესაბამისად, სკოლებში მასწავლებლის ადგილის მოსაპოვებლად მეტწილად დამოკიდებულნი არიან სასკოლო პოლიტიკაზე. როგორც ფოკუსჯგუფებში თავად აღნიშნავენ, მათი დამხმარე მასწავლებლად ყოფნა შეიძლება რამდენიმე წელი გაგრძელდეს, ისინი ვერ სარგებლობენ იმ შედეგებით, რომლებიც მოქმედ მასწავლებლებს გააჩნიათ. დამხმარე მასწავლებლების ინფორმაციით, მათ არ იციან, რამდენად გაგრძელდება მათი ხელშეკრულება მომდევნო სასწავლო წელსაც, ვერ სარგებლობენ შევსებულებითა და დეკრეტული შევსებულებით, სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა მთლიანად სასკოლო პოლიტიკაზე, დირექტორის ნებასა და მასწავლებლების სურვილზეა დამოკიდებული, რომელიც რიგ შემთხვევებში, კონკურენტის ხედვაზეა დაფუძნებული, და შესაბამისად, ართულებს დამხმარე მასწავლებლების სრულად ჩართულობას სასწავლო პროცესებში. შესაბამისად, მუშაობის მთელ პროცესში გააჩნიათ არასტაბილურობის შეგრძნება. მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე მასწავლებლების დიდი ნაწილი, ვისაც არ გააჩნია შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების სტატუსი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, სწავლას ე.წ. 60-კრედიტიან პროგრამებზე აგრძელებენ, და სურვილიც დიდი აქვთ, რომ სკოლებში დასაქმდნენ, დღევანდელი მდგომარეობით, მასწავლებლების კადრების მწვავე დეფიციტის ფონზე, მათი დამაგრება სქემაში ჩართვის გზით კვლავაც არ არის უზრუნველყოფილი. შესაბამისად, სისტემაში მათ დასამაგრებლად და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფისათვის, აუცილებელ და სწრაფ ნაბიჯს მათთვის სტატუსის მინიჭება, სკოლაში დამაგრებისათვის კი, უფრო მყარი გარანტიების შექმნა აუცილებელია.

რაც შეეხება კონსულტანტ მასწავლებლებს, გარდა უშუალო სწავლების პროცესისა, კონსულტანტ მასწავლებლები ასევე არიან პასუხისმგებელნი არაქართულენოვანი მასწავლებლების სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსების უზრუნველყოფაზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2017 წელს, კურსებში ჩართული არაქართველი მასწავლებლების რიცხვი 514 იყო, თუმცა, რიცხვი წლის განმავლობაში მცირდებოდა და საბოლოოდ 460 ადამიანი შეადგინა. ის, რომ არაქართულენოვანი მასწავლებლები სახელმწიფო ენის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ კურსებს მიატოვებენ საკუთარ სკოლებში, იმ ფონზე, როდესაც ენის სწავლა არ მოითხოვს მათგან დამატებით ძალისხმევას ტრანსპორტირების კუთხით და რაიმე ტიპის ფინანსურ დანახარჯებს, შეიძლება ჩაითვალოს იმის ინდიკატორად, რომ მასწავლებლები ვერ ხედავენ სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებას და აუცილებლობას, მიუხედავად განათლების პოლიტიკის ხედვებისა, სახელმწიფო ენის ფლობის აუცილებლობასთან დაკავშირებით და დასაქმების შემდგომი პერსპექტივების კუთხით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლები ანალიზებენ ქვეყანაში არსებულ გამოწვევას ახალ კადრებთან დაკავშირებით, და შესაბამისად, არ ხედავენ პროფესიული განვითარების აუცილებლობას კონკურენტუნარიან გარემოში ფუნქციონირებისათვის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მასწავლებლების უმეტესი ნაწილი A+ დონის კურსზე იყო დარეგისტრირებული, შეგვიძლია ვისაუბროთ მათ მიერ სახელმწიფო ენის ფლობის არასაკმარის დონეზე, როგორც ბილინგვურ სწავლებაში ჩართვისათვის, ასევე სახელმწიფოს მიერ პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ პროცესებში მონაწილეობის მიღებისათვის.

ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლები

არაქართულენოვან სკოლებში, 2017-2018 წლების მონაცემებით, სულ 1221 ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელი მუშაობს, რომელთა შორის არიან არაქართულენოვანი სკოლების დახმარების

პროგრამით მივლენილი 121 კონსულტანტ მასწავლებელიც. წინა წლებში განხორციელებული კვლევები ადასტურებს, რომ ადგილობრივი ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლების ენობრივი კომპეტენციები და პროფესიული მზაობა არ იყოს საკმარისი ხარისხიანი სწავლების განხორციელებისათვის. განათლების მართვის ინფორმაციული სისტემის მიერ მოწოდებული 2017-2018 წლების მონაცემების მიხედვით, ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლებიდან 885 პრაქტიკოსია, 37 სტატუსის გარეშე, 296 უფროსი, ხოლო 4 წამყვანია. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამით მივლენილ მასწავლებლებს უფროსი ან წამყვანის სტატუსი გააჩნია, გამოდის, რომ მასწავლებლების 72%-ზე მეტი, პრაქტიკოსის სტატუსის მქონეა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის სპეციალურად დაიგეგმა და ჩატარდა საგნის სწავლების მეთოდის გრძელვადიანი კურსი. აღნიშნული კურსის პირველი მოდული - კითხვის მიმართულება გაიარა სამიზნე სკოლების 303-მა, მეორე მოდული - მოსმენა-ლაპარაკის მიმართულება – 216 მასწავლებელმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ არაქართულენოვან სკოლებში კადრების გადახალისება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ზოგადად, და ქართული ენის მასწავლებლების შემთხვევაში კი განსაკუთრებით, და ასევე, გავითვალისწინებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულ 2014 წლის კვლევას, რომლის მიხედვით ქართულის, როგორც მეორე ენის ადგილობრივი მასწავლებლებიდან, დაახლოებით 340 ქართული ენის მასწავლებელი თავად ვერ ფლობდა სათანადოდ სახელმწიფო ენას და ამ დროს ასწავლიდა ქართულს სკოლაში, ცხადი ხდება, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლების მეთოდულ კუთხით 519 მასწავლებლისათვის, არასაკმარისია და ვერ წყვეტს არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის შეუსაბამობის პრობლემას.

2018 წელს, არაქართულენოვანი სკოლის სამოქალაქო განათლების მიმართულებით მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლებისათვის ჩატარდა ტრენინგი ბუღინგის პრევენციისა და ტოლერანტული კულტურის წახალისების ასევე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რომელსაც საერთო ჯამში 6142-მდე პედაგოგი დაესწრო.

ამავე წელს, მომზადდა მასწავლებელთა დამხმარე პრაქტიკული რესურსი გენდერული მენისტრიმინგის შესახებ და ჩატარდა მიზნობრივი შეხვედრები აღნიშნული რესურსის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, რომელმაც 140 მასწავლებელი მოიცვა.

ამავდროულად, ადამიანის უფლებათა სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით, ჩატარდა მასწავლებელთა ტრენინგთა ტრენინგი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელშიც 15 ტრენინგ-მასწავლებელი იღებდა მონაწილეობას.

მცირერიცხოვანი ეროვნებების ენების სწავლება სკოლაში

მასწავლებლების პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, არაქართულენოვან სკოლებში მრავალფეროვან და მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ქართულენოვანი სკოლების მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენის (ასურული, ოსური, უდიური, კურმანჯი, ჩეჩნური, ხუნძური) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი; ეთნიკურ უმცირესობათა ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (I - VI კლასი) და ეთნიკურ უმცირესობათა ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (VII-XII კლასი).

მოსწავლეები, მათი ჩართულობა და აკადემიური მოსწრება არაქართულენოვან სკოლებში 2018 წლის მდგომარეობით, ერთენოვან არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეების საერთო რაოდენობა 33 052-ია, ხოლო სექტორიან სკოლებში – 51483 მოსწავლე. უფრო კონკრეტულად, სწავლების ენებისა და სექტორების მიხედვით განაწილება ცხრილშია მოცემული:

სწავლების ენა	რაოდენობა
აზერბაიჯანული	15493
აზერბაიჯანული, რუსული	326
აზერბაიჯანული, სომხური	146
რუსული	4672
რუსული, სომხური	11
სომხური	12887
ქართული, აზერბაიჯანული	14002
ქართული, აზერბაიჯანული, რუსული	1337
ქართული, რუსული	31874
ქართული, რუსული, სომხური	697
ქართული, სომხური	3090

ცხრილი 13: მოსწავლეების რაოდენობა სკოლების სწავლების ენების მიხედვით

სტატისტიკა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით მკაფიოდ შეინიშნება არაქართულენოვანი სკოლებიდან მოსწავლეების გადასვლის დინამიკა ქართულენოვან სკოლებში. განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 2017-2019 წლებში, იმ სკოლებიდან და სექტორებიდან, სადაც სწავლების ენა არის სხვა, ვიდრე ქართული, საერთო ჯამში 791 მოსწავლე გადავიდა. სწავლების ენებისა და კლასები მიხედვით, მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება:

სწავლების ენა / კლასი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	სულ
აზერბაიჯანული	69	51	57	45	43	26	16	20	13	4	1	345
რუსული	60	50	40	44	37	24	27	37	60	27	11	417
სომხური	7	2	2	1	6	2	3	1	3	2		29
სულ	136	103	99	90	86	52	46	58	76	33	12	791

ცხრილი 14: მოსწავლეების გადასვლის მაჩვენებელი სკოლების ენებისა და კლასების მიხედვით

მონაცემებში კარგად იკვეთება, რომ გადასვლის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია რუსულენოვანი სკოლებიდან და ის მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. ამასთან, გადასვლის დინამიკა დაწყებით კლასებში უფრო მაღალია და შემდეგ, ასევე იზრდება მეცხრე კლასში. იმის გათვალისწინებით, რომ წლების განმავლობაში, რუსულ სკოლებში საატესტატო გამოცდებში მიღებული შედეგები ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების შედეგებზე მაღალია, რუსული სკოლების დატოვების ძირითად მიზეზად, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური განწყობები შეიძლება ჩავთვალოთ, თუმცა, ამავდროულად, VIII-XI კლასებში გაზრდილი მაჩვენებლის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 17 ნოემბრის „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესში“ განხორციელებული ცვლილებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნები აღარ ტარდება რუსულ ენაზე, რაც რუსულ სკოლადამთავრებულ მოსწავლეებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. ქართულ სკოლაში ტრანსფერის მაჩვენებელი მაღალია დაბალ კლასებში და იკლებს მაღალში აზერბაიჯანულენოვანი სკოლების შემთხვევაში, რაც უდავოდ განპირობებულია ქართულ ენაზე განათლების მიღების მაღალი მოტივაციით, რაც ერთი მხრივ განათლების უკეთეს ხარისხს, და შესაბამისად, უკეთეს სამომავლო პერსპექტივებს, მეორე მხრივ კი, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საუკეთესო გადაწყვეტილებად განიხილება. სკოლის გამოცდის მაჩვენებელი არ არის მაღალი სომხურენოვანი სკოლების შემთხვევაში, რაც სავარაუდოდ, მეტწილად სომხური ეთნიკური ჯგუფის განსხვავებული ხედვებით, და ასევე ქართულენოვან სკოლებზე ნაკლები წვდომითაც უნდა იყოს განპირობებული.

ამ კონტექსტში, საგულისხმოა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეროვნულ სასწავლო გეგმაში დამატებული მე-8 მუხლი ენობრივი განათლება. ენობრივი განათლება 1. არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე - პუნქტი 3. „თუ ქართულენოვან სკოლაში/სექტორზე სწავლობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები, სკოლა უფლებამოსილია მათ შესთავაზოს მშობლიური ენის საგნის სწავლება იმავე ან განსხვავებული საათობრივი დატვირთვით, ვიდრე მოცემულია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების საათობრივ ბადეში საგნისთვის „ეროვნული უმცირესობების ენა“. ამ საგნისთვის მოსწავლეთა ჯგუფი შესაძლებელია დაკომპლექტდეს ერთი ან რამდენიმე კლასიდან და მათი რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 10. აღნიშნული საგნის შემოტანის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია უნდა აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში“. თავისთავად, ინიციატივა, რომელიც მშობლიური ენის გაძლიერებას უწყობს ხელს ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებში, პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მხოლოდ იმ მოცემულობის შემთხვევაში, თუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებს ექნებოდათ არჩევანი - მიიღონ განათლება ეთნიკური უმცირესობების ენობრივ სკოლებში, სადაც მათ ბილინგვური ხარისხიანი განათლების მიღების ალტერნატიული საშუალებაც ექნებოდათ, რომელიც გულისხმობს მშობლიური ენის მხარდაჭერისა და სახელმწიფო ენის სრულყოფილი ფლობის უზრუნველყოფას. სხვა შემთხვევაში, აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების ქართულ სკოლაში ტრანსფერი იმ პირობებში, როდესაც ბავშვები ვერ ან თითქმის ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, და ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ოჯახიდან ან ადგილობრივი თემიდან სწავლაში დანებების რესურსები, ვერ ჩაითვლება კარგ ალტერნატივად მათი ხარისხიანი განათლებისათვის. ამაზე საუბრობენ იმ ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები, სადაც გადასული მოსწავლეების რიცხვი მაღალია. ისინი საუბრობენ მოსწავლეების დაბალ აკადემიურ მოსწრებაზე, რომელიც ენის არასაკმარისი ცოდნით არის გამოწვეული, სხვა მოსწავლეების სწავლის შეფერხებაზე, რაც თანაკლასელებზე დიდი ყურადღების გადატანით იქმნება და ასევე საკუთარ არასაკმარის პროფესიულ მზაობაზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე, განახორციელონ ენობრივად განსხვავებულ მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლება. ამ კუთხით, 2017 წლიდან დღემდე, ბილინგვური განათლების დანერგვისა და გაძლიერებისათვის ერთადერთ მიმდინარე პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც 20 არაქართულენოვან სკოლაში დაწყებით საფეხურზე სწავლება სპეციალურად შემუშავებული მასალებით მიმდინარეობს პედაგოგების პროფესიული გადამზადების ფონზე.

ის, რომ ეთნიკური უმცირესობების სკოლებში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა პრობლემას წარმოადგენს, მკაფიოდ წარმოჩინდება საატესტატო გამოცდების შედეგებში, რომელიც ერთადერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე მოსწავლეების მოსწრების გაზომვისათვის.

2017 წელს საატესტატო გამოცდებზე გავიდა შემდეგი რაოდენობა მონაწილეებისა: ქართულენოვანი - 47 063; 1512 - სომხურენოვანი მონაწილე; 2057- აზერბაიჯანულენოვანი და 1137- რუსულენოვანი მონაწილე. დადებითი შეფასება (სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოსაპოვებლად) მიიღო: 34 260 ქართულენოვანმა, 866-მა სომხურენოვანმა, 838-მა აზერბაიჯანულენოვანმა და 889-მა რუსულენოვანმა მოსწავლემ. შედეგების მიხედვით, საერთო ჯამში, ქართულენოვანი მოსწავლეების 72.79%-მა შეძლო ყველა საგანში დაწესებული ბარიერის გადალახვა, აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების - 40.73%-მა გადალახა იგივე ბარიერი, ხოლო სომხურენოვანი მოსწავლეების 57.27%-მა პროცენტმა შეძლო ბარიერის გადალახვა. საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტმა მოსწავლემ რუსულენოვანი სკოლებიდან შეძლო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ასეთი მოსწავლეების წილი 78.18%-ია.

2018 წელს, აზერბაიჯანულენოვანი 2043 მოსწავლიდან, 1026-მა მოიპოვა დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელი ყველა საგანში, რაც საერთო რაოდენობის (50.24%). სომხურენოვანი 491 მოსწავლიდან, 905-მა მოიპოვა დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელი ყველა საგანში (60.63%), ხოლო რუსულენოვანი 1037 მოსწავლიდან კი 817-მა მოიპოვა დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელი ყველა საგანში (78.78%).

მიუხედავად იმისა, რომ 2017-წლიდან 2018 წლამდე, მოსწავლეების საატესტატო გამოცდების შედეგები, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლებიდან საგრძნობლად გაუმჯობესებულია, რეალურად, ის მაინც შორსაა ქართულენოვანი თანატოლების შედეგებიდან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ სკოლებში მოსწავლეებს საგნობრივი კომპეტენციები ბევრად ნაკლებად აქვთ განვითარებული.

ამ კუთხით, არსებული სტატისტიკა კონკრეტული საგნების მაგალითზეც მიუთითებს იმ მნიშვნელოვან

განსხვავებას, რომელიც ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებსა და ეთნიკური უმცირესობების სკოლების მოსწავლეებს შორის არსებობს.


ფიზიკა	2017			2018		
სწავლების ენა	სულ	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %	სულ	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %
რუსულენოვანი	812	114	14.0%	847	88	10.4%
აზერბაიჯანულენოვანი	1224	427	34.9%	1242	312	25.1%
სომხურენოვანი	925	269	29.1%	943	202	21.4%
ქართულენოვანი	35690	5048	14.1%	35449	4240	12.0%

ბიოლოგია	2017			2018		
მოსწავლეების რაოდენობა	სულ	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %	სულ	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %
რუსული	812	26	3.2%	848	19	2.2%
აზერბაიჯანული	1226	163	13.3%	1245	110	8.8%
სომხური	925	269	29.1%	985	84	8.5%
ქართული	35707	1483	4.2%	35469	1977	5.6%

მათემატიკა	2017			2018		
მოსწავლეების რაოდენობა	სულ	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %	სულ	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %
რუსული	1033	106	10.3%	927	75	8.1%
აზერბაიჯანული	1226	163	13.3%	1515	330	21.8%
სომხური	1334	332	24.9%	1233	302	24.5%
ქართული	38264	5396	14.1%	38811	4207	10.8%

ცხრილები 15-17: მოსწავლეების შედეგები საატესტატო გამოცდებში სკოლის სწავლების ენებისა და წლების მიხედვით

საერთო ჯამში, ქართულენოვან და არაქართულენოვანი სკოლების საატესტატო გამოცდების შედეგებს შორის განსხვავება თვალსაჩინოა STEM-ის მიმართულების ყველა საგანში. მიუხედავად რუსულენოვანი სკოლების პოზიტიური შედეგებისა.



დიაგრამა 3-4. მოსწავლეების საატესტატო გამოცდების შედეგები STEM-ის მიმართულების საგნებში ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლებისათვის

სტატისტიკის მიხედვით, ფიზიკასა და მათემატიკაში, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების საატესტატო გამოცდების ჩაბარების საერთო მაჩვენებელი მკვეთრად ჩამოუვარდება ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების მაჩვენებლებს და ეს სტატისტიკა წინა წლებთან შედარებით არ გაუმჯობესებულა.

დასკვნა

სასკოლო განათლების ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოწვევები არაქართულენოვან სკოლებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კვლავაც სერიოზულია და საჭიროებს არაქართულენოვანი სკოლების განათლების სისტემის მნიშვნელოვან გადახედვას, რომელიც წინარე გამოცდილების, არსებული სტატისტიკისა და მონაცემების ფრთხილი ანალიზის, მსოფლიოში არსებული წარმატებული მაგალითების შესწავლისა და მათი არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, ადაპტირებაზე იქნება გამიზნული. ნიშანდობლივია, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის მომზადებისათვის გამოთხოვილი არც ერთი დოკუმენტი, ისევე როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესრულების ანგარიშები 2017, 2018 და 2019 წლების ექვსი თვის პერიოდისათვის, არ მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას ბილინგვური განათლების ინტეგრირების ან გაძლიერების კუთხით სკოლაში მიმდინარე სამუშაოების ან დამდგარი შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მიანიშნებდეს ორიენტირების ცვლილების დასაწყისს არაქართულენოვანი სკოლების განათლების სისტემის ხედვაში ან განათლების პოლიტიკური ხედვის არასაკმარის მკაფიოობას არაქართულენოვანი სკოლების განვითარების, ამ სკოლებში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისკენ მიმავალი ნაბიჯების შესახებ.

3.3. უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

საშეღვათო პოლიტიკა

ეთნიკური უმცირესობების მიმართ საშეღვათო პოლიტიკა უმაღლესი განათლების საფეხურზე 2005 წელს, პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დროს დაიწყო და საწყის ეტაპზევე აჩვენა გარკვეული პოზიტიური ეფექტი. პირველი ქმედითი ნაბიჯები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის კუთხით განხორციელდა, 2008 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში ცვლილებას წარმოადგენდა, რომელიც საშუალებას აძლევდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ აბიტურიენტებს, რომ უნარების ტესტირება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაებარებინათ. ამასთან, განათლების სამინისტროს მიერ სამოქალაქო ინტეგრაციის ფარგლებში განხორციელებული ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამა, რომელიც წინა წლებში სამცხე-ჯავახეთის ენის სახლებში ეუთოს ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი კომისრის მხარდაჭერით მიმდინარეობდა, 2008 წლიდან გაფართოვდა.

განათლების რეფორმიდან გამომდინარე, რომელიც 2008-2009 წლებში მე-12 კლასის დამატებას ითვალისწინებდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ქართულენოვან სკოლებს გამოშვება არ ჰქონიათ. ეს კი, პოზიტიურად აისახა ეთნიკური აზერბაიჯანელების, და უფრო მეტად კი, სომეხი აბიტურიენტების უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მაჩვენებელზე. შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მეტი (113-დან 46 სომეხი და 250-დან 29 აზერბაიჯანელი) აბიტურიენტი გახდა სტუდენტი. 2009 წელი არაქართულენოვანი სკოლებისთვის გახდა პირველი რეფორმის წელი და შესაბამისად, ამ წელს არაქართულენოვანი სკოლიდან აბიტურიენტი არ ყოფილა.

2009 წლიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, წინა წლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე შევიდა ცვლილება უმაღლესი განათლების კანონში (№2078 - სსმ I, №38), რომლის საფუძველზეც განისაზღვრა იმ სტუდენტების კვოტა, რომლებიც საუნივერსიტეტო სწავლების პირველ წელს ქართული

ენის პროგრამას გაივლიდნენ (მუხლი 47). კვოტირების ფარგლებში განისაზღვრა, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სტუდენტების მიღებას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სტუდენტების ჩარიცხვისათვის აცხადებს ადგილებს“ 5–5%-აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის - 1-1%-ის რაოდენობით (მუხლი 52.5.1ა-დ). ამასთან, კვოტირების სისტემის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010–დან 2019 წლის ჩათვლით (90.2.2).

2019 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით, ქართული ენის პროგრამის ხელახალი აკრედიტაცია გავლილი აქვს ილიასა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ხოლო სხვა უნივერსიტეტების პროგრამები კი, აკრედიტაციისათვის საჭირო შეფასების რეჟიმში იმყოფებიან. პროგრამების აკრედიტაციის ამგვარმა დაგეგმვამ, გამოიწვია შეფერხებები სწავლის პროცესში. ასე მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, ქართული ენის პროგრამის არსებული აკრედიტაციის ვადები ამოიწურა, ხოლო ახალი აკრედიტაციის პროცესი კი მიმდინარეა, შესაბამისად, ქართული ენის პროგრამის სტატუსი გაურკვეველია, რაც უნივერსიტეტის რეგულაციებთან აცდენას, და სწავლის პროცესის შეფერხებებს იწვევს. შესაბამისად, პროგრამის ხარისხისა და თანმიმდევრული სწავლების განხორციელებისათვის აუცილებელ პირობად რჩება ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამიზნული პროცედურების შესაბამისობა პროგრამის მიმდინარეობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საქართველოს ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დაევალია ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე ამ სტუდენტთა მიღება, არაქართულენოვანი სტუდენტები მეტწილად გადანაწილებულები სწორედ იმ უნივერსიტეტში არიან, რომლებსაც ქართულ ენაში მომზადების მოქმედი, აკრედიტებული პროგრამები გააჩნიათ. ამ ეტაპზე, აკრედიტირებული პროგრამები გააჩნიათ 11 სახელმწიფო უნივერსიტეტს. ესენია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლიციის აკადემია.

საშეღავათო პოლიტიკის პოზიტიური ეფექტი, რომელიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტების ჩართულობის ზრდას გულისხმობს, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 2013 წელს, როდესაც ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობამ 890-ს მიაღწია. შემდგომი წლების განმავლობაში, მიუხედავად ერთგვარი „ჩავარდნისა“, ზრდის დინამიკა კვლავაც შენარჩუნებულია.

ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამა	სომხური	აზერბაიჯანული	სულ
2010 წელი	ჩაირიცხა	124	175
	დაფინანსდა		0
2011 წელი	ჩაირიცხა	179	250
	დაფინანსდა	99	98
2012 წელი	ჩაირიცხა	198	386
	დაფინანსდა	98	93
2013 წელი	ჩაირიცხა	186	704
	დაფინანსდა	91	97
2014 წელი	ჩაირიცხა	217	456
	დაფინანსდა	89	96
2015 წელი	ჩაირიცხა	219	522
	დაფინანსდა	92	94

2016 წელი	ჩაირიცხა	300	660	960
	დაფინანსდა	95	99	194
2017 წელი	ჩაირიცხა	373	673	1046
	დაფინანსდა	95	83	178
2018 წელი	ჩაირიცხა	424	806	1230
	დაფინანსდა	93	96	189
2019 წელი	ჩაირიცხა	436	893	1329
	დაფინანსდა	93	96	189

ცხრილი 19: ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაფინანსების მაჩვენებლები დაწყებიდან მიმდინარე წლამდე დინამიკაში.

2016 წლიდან, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობამ 960-ს მიაღწია, ხოლო 2017 წლიდან კი, 1000-ს გადაჭარბა. 2018, ისევე როგორც 2019 წლებში, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 1200+ და 1300+ ის და შესაბამისად, საშეღავათო პოლიტიკის განხორციელების დღიდან, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2017 წლიდან ქართული ენის ერთწლიან პროგრამაში პირველად ჩაირიცხა და დაფინანსდა ოსურენოვანი აბიტურიენტი, ხოლო 2019 წელს კი, აფხაზურენოვანი აბიტურიენტი, რაც უდავოდ, ასევე საშეღავათო პოლიტიკის პოზიტიურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა		ოსური	აფხაზური
2017 წელი	ჩაირიცხა	1	
	დაფინანსდა	1	
2018 წელი	ჩაირიცხა	1	
	დაფინანსდა	1	
2019 წელი	ჩაირიცხა	5	1
	დაფინანსდა	4	1

ცხრილი 20: აფხაზურ და ოსურენოვანი სტუდენტების ჩარიცხვის სტატისტიკა 2017-2019 წლებში ქართული ენის ერთწლიან პროგრამაზე

სკოლის დამამთავრებელი საატესტატო გამოცდების სტატისტიკის ფონზე, რომელიც მიუთითებს არაქართულენოვანი სკოლადამთავრებულების ნაკლებ კონკურენტუნარიანობაზე, საინტერესოა, რამდენი აბიტურიენტია წარმატებული უნარების გამოცდის მშობლიურ ენაზე ჩაბარების შემთხვევაში.

აბიტურიენტის სტატუსი		სომხური	აზერბაიჯანული	სულ
2016 წელი	აბარებდა	424	1112	1536
	ჩაირიცხა	300	660	960
	დაფინანსდა	95	99	194
	ჩარიცხულის წილი	70.8%	59.4%	62.5%
2017 წელი	აბარებდა	494	1185	1679
	ჩაირიცხა	373	673	1046
	დაფინანსდა	95	83	178
	ჩარიცხულის წილი	75.5%	56.8%	62.3%
2018 წელი	აბარებდა	602	1580	2182
	ჩაირიცხა	424	806	1230
	დაფინანსდა	93	96	189
	ჩარიცხულის წილი	70.4%	51.0%	56.4%

ცხრილი 21: აბიტურიენტების სტატუსი 2016-2018 წლებში ენების მიხედვით

ცხრილში მოცემული ინფორმაცია გვაჩვენებს, რომ 2016-დან 2018-მდე, იმ აბიტურიენტების რიცხვი, რომლებიც გამოცდაზე გამოდიოდნენ, იზრდებოდა, პარალელურად კი, იცვლებოდა ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობაც, თუმცა, მცირდება იმ აბიტურიენტების წილი, ვინც შეძლო და წარმატებით ჩააბარა გამოცდა. ამასთან, ცვლილების დინამიკა განსხვავებულია სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს შორის, რაც ყურადღებას საჭიროებს და შემდგომი შესწავლის საგანი უნდა იყოს, თუნდაც იმ ფონზე, რომ სომხურენოვანი აბიტურიენტების ქართულ უნივერსიტეტებში ჩაბარების ინტერესი, მათი მეტი წარმატების ფონზეც კი, ჩამორჩება აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ინტერესს.

საუნივერსიტეტო სწავლის და მისი შედეგების დანახვისათვის, ასევე მნიშვნელოვანია ქართული ენის პროგრამაში ჩარიცხვის შემდგომ, ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების შედეგების განხილვა და ანალიზი, რათა შესაძლებელი იყოს საშეღავათო პოლიტიკის პოზიტიური შედეგების განხილვა. ანგარიშში მოცემულია რამდენიმე უნივერსიტეტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ქართული ენის პროგრამაზე სწავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გააჩნიათ.

ქართული ენის პროგრამის წარმატებით დაძლევისა და საბაკალავრო პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებლები უნივერსიტეტების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია და მიანიშნებს ქართული ენის პროგრამისა და მისი ფუნქციის მიმართ განსხვავებული ხედვის, ასევე, სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განსხვავებების, ცოდნის გაზომვისა და შეფასების განსხვავებულ მექანიზმებისა და საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისათვის ენის ფლობის ზღვრების განსხვავებული ხედვების შესახებ. თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მონაცემების მიხედვით, პროგრამაზე ჩარიცხვისა და სწავლის გაგრძელების მაჩვენებლებს შორის, 2016-2018 სასწავლო წლებში, განსხვავება მხოლოდ 4 ადამიანია, ხოლო ენობრივი კომპეტენციების ზღვის გადალახვა კი, ამ წლებში 5-8 სტუდენტმა ვერ შეძლო.

სასწ.წელი	პროგრამაზე ჩარიცხვა:	პროგრამაზე სწავლა გააგრძელა:	საბოლოო გამოცდაზე ჩაიჭრა:
2015-2016	400	261	5
2016-2017	300	296	6
2017-2018	300	296	8

ცხრილი 22: თსუ-ს ქართული ენის პროგრამაზე ჩარიცხვის და დასრულების მაჩვენებლები 2016-2018 სასწავლო წლებში.

რაც შეეხება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (სტუ), ამ შემთხვევაში, 2017-18 წელს პროგრამის დასრულება ყველა სტუდენტმა წარმატებით შეძლო, 2018-19 წელს კი, 7%-ზე ცოტა ნაკლებმა ვერ შეძლო საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, 2019-20 სასწავლო წელს, დაახლოებით 23%-მა ვერ დაასრულა პროგრამა წარმატებით, თუმცა, იმდენად, რამდენადაც სტუდენტებს კიდევ ერთი სემესტრი აქვთ ენობრივი კომპეტენციების დასამტკიცებლად, რაოდენობა დიდი ალბათობით, შეიცვლება.

	ჩარიცხვა	დაამთავრა	დასრულების წილი %
2017-2018 ს.წ.	159	159	100%
2018-2019 ს.წ.	190	159	83.7%
2019-2020 ს.წ.	226	175	77.4%

ცხრილი 23: სტუ-ს ქართული ენის პროგრამის ჩარიცხვისა და დასრულების მაჩვენებლები 2017-2019 სასწავლო წლებში

განსხვავებული სურათია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის პროგრამის დასრულების მაჩვენებლების მიხედვით

წელი	2017 - 2019 წელს ქართული ენის სწავლების ერთწლიან პროგრამა დასრულებულ სტუდენტთა რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც ვერ გადალახეს მინიმალური ენობრივი ბარიერი	ენობრივი ბარიერის გადალახავ სტუდენტთა პროცენტული წილი
2017	129	50	38.8%
2018	112	40	35.7%
2019	144	93	64.6%
სულ ჯამი:	385	183	47.5%

ცხრილი 23: ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის პროგრამაზე ჩარიცხვისა და დასრულების მაჩვენებლები 2017-2019 წლებში

როგორც ცხრილში ჩანს, ილიას უნივერსიტეტში, ქართული ენის პროგრამის დასრულებისას მინიმალური ენობრივი ბარიერის გადალახვა 2017 წელს სტუდენტების 38%-მა ვერ მოახერხა, 2018 წელს 35%-ზე მეტმა, ხოლო 2019 წელს კი, 64%-მა. საერთო ჯამში, სამი წლის დინამიკაში, სტუდენტების დაახლოებით ნახევარმა ვერ შეძლო ქართული ენის პროგრამის დასრულების შემდგომ მინიმალური ენობრივი კომპეტენციების დადასტურება. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ენის პროგრამის დაწყებისათვის, ორივე უნივერსიტეტში დაახლოებით ერთნაირი ენობრივი კომპეტენციების სტუდენტები ნაწილდებიან, ქართული ენის კურსის წარმატებით დასრულების ნაკლები მაჩვენებელი ილიას უნივერსიტეტში მიუთითებს უნივერსიტეტის მიერ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საკმარისი ენობრივი კომპეტენციების განსხვავებულ ბადეს, რომელიც არასაკმარისობის შემთხვევაში, სტუდენტი იღებს ზღვრულ ნიშანს / ქულას. თავის მხრივ, ქართული ენის პროგრამის დამთავრების განსხვავებული მონაცემები მეტყველებენ იმ დიფერენცირებულ ხედვებზე, რომელიც უნივერსიტეტებს გააჩნიათ, და რომელიც რეალურად გავლენას ახდენს ქართული ენის სწავლის მიდგომებზე, შინაარსზე, რესურსებსა და შედეგებზე, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს არჩევის მრავალფეროვნების, განსხვავებული მიდგომების განვითარების და პროგრამების ეფექტურობის და ხარისხის კონკურენტუნარიანობის პრინციპების გაჩენის თვალსაზრისით.

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობა და ინტეგრაცია

სამეღვათაო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტებისათვის ასევე გულისხმობს უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სწავლის გაგრძელებისა პერიოდში მხარდაჭერის გამოცხადებას როგორც აკადემიური მოსწრების, ასევე საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრირების თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტები განსხვავებული ინტენსივობითა და მიდგომებით მუშაობენ ამ მიმართულებით. 2017-2018 წლების პერიოდი საინტერესო აღმოჩნდა მრავალფეროვნების მართვისა და პატივისცემის გაძლიერებისკენ მიმართული საუნივერსიტეტო ინიციატივების თვალსაზრისით.

იმ ფონზე, როდესაც უნივერსიტეტები დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტები არიან და ავტონომიურად განსაზღვრავენ ინსტიტუციის აკადემიურ და საზოგადოებრივ პოზიციონირებას, ხედვებსა და ღირებულებებს, მნიშვნელოვანია იმ პოზიტიური მაგალითების შესწავლა და ხაზგასმა, რომელიც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების მიმართ ხორციელდება. ამ კუთხით, უდავოა, რომ განსაკუთრებული როლი უჭირავს ამერიკის საერთაშორისო დახმარების ფონდის (US-AID) მიერ დაფინანსებული პროექტის PITA-ს სამეღვათაო პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერის კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც არსებული ახალგაზრდული ცენტრები ილიას უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ქმნიან ერთგვარ ცენტრებს ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების უნივერსიტეტის სინთეზურ ნაწილად აღქმისათვის.

თსუ-ს და ილიას უნივერსიტეტების ბაზაზე პროექტის ფარგლებში დაფუძნებული ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობა მრავალფეროვნებისა და ინტეგრაციის გაძლიერების კონცეფციების გარშემო შემოიკრებს როგორც ეთნიკური უმცირესობის, ასევე ქართველი ეროვნების სტუდენტების ჯგუფებს და წაახალისებს მათი ერთობლივი მუშაობის საშუალებით ტოლერანტობის, მრავალფეროვნების პატივისცემის, აქტიური მოქალაქეობის პრინციპების დანერგვის საშუალებით და მოიცავს მრავალ

სხვადასხვა, განსხვავებულ აქტივობებს, როგორცაა მაგალითად, ტუტორები, თემატური სკოლები და კლუბები.

2017 წელს, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტის „საქართველოს ახალგაზრდების მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“, რომელიც ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისიის ოფისის მიერ არის დაფინანსებული, 1+4 პროგრამის განმახორციელებელი და რამდენიმე დაინტერესებული კერძო უნივერსიტეტის თანამშრომლობით შემუშავდა ზოგადსაუნივერსიტეტო აკადემიური კურსი „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის საჭირო სასწავლო და სამუშაო მასალებით. ამავე პროექტის ფარგლებში დაარსდა საუნივერსიტეტო ქსელი, რომელშიც შედის 11 ქართული ენის პროგრამის განმახორციელებელი სახელმწიფო და 3 კერძო უნივერსიტეტი. ქსელის მიზანია მრავალფეროვნების წახალისების ხელშეწყობა აკადემიურ და ზოგადსაუნივერსიტეტო სივრცეში შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებით, რომელიც კოორდინაციისა და ურთიერთგაცვლების გაძლიერებაზე იქნება დაფუძნებული. პროექტის ფარგლებში 2018 და 2019 წლებში ჩატარდა მრავალფეროვნების სკოლა მონტენეგროსა და იტალიაში, რომელიც ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდების კავშირების გაღრმავებას და მათ შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაღრმავებას უწყობდა ხელს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის გზით. თსუ-ს ბაზაზე ასევე დაფუძნდა კლუბი „ტოლერანტი“, რომელი გეგმავს და კოორდინაციას უწევს მრავალფეროვნების წახალისებისა და დანერგვისაკენ მიმართულ ღონისძიებებს სტუდენტების ინიციატივებით.

ილიას უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და ტრადიციების გაცნობასა და პოპულარიზაციას, როგორც ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ასევე, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის (1+4) ეთნიკური უმცირესობების (აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი) სტუდენტებისთვის საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კულტურული და რელიგიური ურთიერთგავლენებისა და ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთ ნასესხობების სწავლასა და კვლევებში ქართველი და არაქართველი სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობის პრინციპს წახალისებს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, აკადემიურ პროგრამასთან ერთად ხორცილდება კლასგარეშე მუშაობის პროგრამაც. აკადემიური ნაწილი მოიცავს კურსებს: ტოლერანტობა მრავალფეროვან საზოგადოებაში“ „ეთნოსები საქართველოში“; „ქართული ფილმები“, „ლიტერატურის კურსი (სასწავლო მასალაში ქართველი მწერლების გარდა მოცემულია საიათნოვა და ახუნდოვი)“ „ენა და კულტურათაშორისი დიალოგი“ „მედიაკურსი 1“ და „მედიაკურსი 2“. კურიკულუმში სავალდებულო საგნებია: „ინტეგრაცია 1“ და „ინტეგრაცია 2“, რომელთა ფარგლებში სტუდენტები უკვე ათვისებული და შესწავლილი მასალის ტრანსფერს რეალურ სიტუაციაში ახდენენ. ექსტრაკურიკულარული აქტივობების ფარგლებში მოიაზრება ტრენინგები, ფილმების ჩვენება-დისკუსია, ლექცია-სემინარები შემდეგ თემებზე, როგორცაა: „აზერბაიჯანული კულტურის გაცნობა“, „მსოფლიოში დემოკრატიული გზით არჩეული პირველი მუსლიმი ქალი ფარი-ხანუმ სოფიევა“; ასურული კულტურის გაცნობა - ასურელების სტუმრობა ილიას უნივერსიტეტში და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების სტუმრობა სოფელ ქანდაში. „იბრაჰიმ ისფაგანლის ცხოვრება და შემოქმედება“; „საქართველოში მცხოვრები ცნობილი სომეხი საზოგადო მოღვაწეები“ და ა.შ.

უნივერსიტეტის დამთავრება, სტუდენტების დასაქმება და დასაქმების ხელშეწყობა

რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამის დასრულების მაჩვენებლებს, ის ასევე განსხვავებულია უნივერსიტეტებში, ასე მაგალითად, ილიას უნივერსიტეტის მონაცემების მიხედვით, პროგრამის დაწყებიდან დღემდე, საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობა 626 სტუდენტის, ხოლო პროგრამის დაწყებიდან დღემდე, კურსდამთავრებულების რაოდენობა 142 ადამიანია. რაც შეეხება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, 2011 წლიდან დღემდე 1194 სტუდენტი სწავლობდა და მათგან 1073-მა შეძლო საბაკალავრო პროგრამების დასრულება. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ინფორმაციის მიხედვით 2017-2019 წლებში საერთო ჯამში 80 სტუდენტმა შეძლო უნივერსიტეტის დასრულება და სამმა კი, გააგრძელა სწავლა სამაგისტრო პროგრამაზე.

საუნივერსიტეტო სწავლა თავისთავად, დასაქმების პერსპექტივებთან არის დაკავშირებული. 2017 წელს განხორციელებული კვლევის „ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა

პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები“ ფარგლებში გამოკითხული სტუდენტების 40% თვლიდა, რომ ეთნიკური უმცირესობებისათვის დასაქმების ბაზარზე, ქართული უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ, შეღავათები არ უნდა არსებობდეს. თუმცა, უდავოა, რომ დასაქმების ბაზარზე დამკვიდრებისათვის, პროფესიული უნარების პრაქტიკულად განვითარებისა და ქართულ საზოგადოებაში სრულყოფილად ინტეგრირებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია ხელშეწყობა. დასაქმების ხელშეწყობა არა მხოლოდ უნივერსიტეტდამთავრებული სტუდენტების პროფესიული რეალიზაციისათვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ასევე ხელს უწყობს ქართულ უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლებისაკენ სწრაფვას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში.

2017 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით (1+4 პროგრამით) მოსარგებლე პირებისთვის სტაჟირების პროგრამის კონცეფცია და ამავე წელს განხორციელებულად სტაჟირების საპილოტე პროგრამაც. პროგრამის განხორციელების ინიციატივას მისი დაწყებიდან მხარს უჭერს საქართველოს გაეროს ასოციაცია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში. 2017 წელს საპილოტე რეჟიმში და 2018 წელს ორ ნაკადად განხორციელებული სტაჟირების პროგრამამ მოიცვა 65 უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი და კურსდამთავრებული და განხორციელდა 15 საჯარო უწყებაში. სტაჟირებაგავლილი პირები საუბრობენ იმ მნიშვნელოვან გამოცდილებაზე, რომლის მიღების საშუალებაც მათ 3-დან 9 თვის განმავლობაში მიეცათ სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, სტაჟირების პროგრამა არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება სამედიკო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა და მისი გავლენის გაძლიერება დამატებითი ღირებულებების პროგრამებისა და სერვისების მეშვეობით, რომელიც ეფექტური კოორდინაციის საშუალებით მიიღწევა.

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის დასრულების მაჩვენებელს, ის სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი.

სტუ - ჩარიცხვა						დამთავრა	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი %
სასწავლო წელი	აზერბაიჯანულენოვანი		სომხურენოვანი		სულ		
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი			
2010-2011	2	13	2	5	22	19	86.36%
2011-2012	5	14	1	6	26	26	100.00%
2012-2013	2	14	0	6	24	24	100.00%
2013-2014	24	122	2	7	155	151	97.42%
2014-2015	12	66	2	15	95	85	89.47%
2015-2016	20	93	2	12	127	113	88.98%
2016-2017	27	126	8	9	170	162	95.29%
2017-2018	21	128	1	9	159	159	100.00%
2018-2019	44	132	2	12	190	159	83.68%
2019-2020	44	160	2	20	226	175	77.43%
სულ	201	868	22	101	1194	1073	

ცხრილი 24: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიღებისა და უნივერსიტეტის დამთავრების მაჩვენებელი წლების მიხედვით

დასკვნა

სამედიკო პოლიტიკის ფარგლებში ქართული ენის პროგრამის პოზიტიური გავლენის ზრდა უდავოდ მკაფიო და თვალსაჩინოა როგორც მოსარგებლეების რაოდენობრივი ზრდის კუთხით, ისე თავად პროგრამის გავლენის თვალსაზრისით. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავ გამოწვევად რჩება პროგრამის ხედვისა და მნიშვნელობის განსხვავებული აღქმები, ასევე მისი გავლენა მოსარგებლეების სწავლის შემდგომ ეტაპზე, რაც თავისთავად პროგრამის ხარისხთან და მის ზოგადსაუნივერსიტეტო

სივრცეში ინტეგრირებასთან არის დაკავშირებული. ის, რომ არ არსებობს ქართული ენის ფლობის უნიფიცირებული სისტემა, რომელიც კარგი საზომი იქნებოდა ყველა უნივერსიტეტისათვის თითოეული სტუდენტის ენის ფლობის /დონის გასაზომად, როგორც პროგრამის დასასრულისათვის, ისე მისი დაწყებისა და მიმდინარეობის პროცესში, ქმნის მიდგომების, შეფასების, სტუდენტების შემდგომი სწავლის პოტენციალის არათანაბარი აღქმის რისკებს, და შესაბამისად, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სტუდენტებს სხვადასხვა უნივერსიტეტში შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის საფუძვლები ჩაყრილია, კვლავ არსებობს საშეღავათო პოლიტიკის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობა და მისი გაძლიერებისათვის კოორდინირებული ქმედებების განხორციელებისკენ მიმართული ნაბიჯები.

3.4. პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

პროფესიული განათლება

საქართველოს მთავრობის 533-ე დადგენილებით დამტკიცებული „განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიანი სტრატეგია 2017–2021–ში“, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ასოცირების შეთანხმების ვალდებულებას სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესახებ და გულისხმობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის შედეგზე დაფუძნებული კვალიფიკაციების, მათი გამჭვირვალობის, შედარებისა და აღიარების დანერგვაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების დანერგვას კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს“ რეკომენდაციების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები, სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად განიხილება როგორც ცალკეული საჭიროებების მქონე ჯგუფი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების პროცესში. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ პროფესიული ტესტირება მშობლიურ ენაზე გაიარონ.

შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით, თვალსაჩინოა ის პოზიტიური ტენდენციები, რომლებიც არაქართულენოვან პროფესიულ პროგრამებში მონაწილეობის ზრდის კუთხით აღინიშნება. 2016 წლის შემოდგომის მიღებაზე 15-მა პირმა ჩააბარა პროფესიული ტესტირება არაქართულ ენაზე და ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამებზე, ხოლო 2017 წლის საგაზაფხულო მიღებაზე აპლიკანტთა რაოდენობა, რომლებმაც პროფესიული ტესტირების გავლა სურდათ სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე 32 ადამიანი შეადგინა, ხოლო 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე კი – 76.

საერთო ჯამში, 2017–2018 წლებში, პროფესიული განათლების ინსტიტუტებში, პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარების შედეგად, 119-მა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა სტუდენტმა გააგრძელა სწავლა 2017 წელსვე, სახელმწიფო ენის (ქართული) სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების ფარგლებში, ქართული ენის მოდულში, ჩაერთო 38 პროფესიული სტუდენტი. 2018 წელს კი, ქართული ენის მოდულის სწავლებაში ჩაერთო 44 პირი.

ტესტირების ენა	2017 გაზაფხული	2017 შემოდგომა	2018 გაზაფხული	2018 შემოდგომა	2019 გაზაფხული
აზერბაიჯანული		9	7	10	5
რუსული	8	18	14	18	18
სომხური	1	3		4	4
ქართული	3807	7093	2547	5097	2778

ცხრილი 18: პროფესიული განათლების ტესტირებაში მონაწილე პირების რაოდენობა ტესტირების ენების მიხედვით

2017 წელს განხორციელდა ლაგოდების მუნიციპალიტეტში სოფელ შრომაში სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ ფილიალის რეაბილიტაცია და ფილიალმა პროფესიული სტუდენტები მიიღო 2017 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში. ასევე, დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები მარნეულის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე გავლის მიზნით დარეგისტრირდა 123 პირი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არაქართულენოვანი სკოლებიდან პროფესიულ განათლებაში მოსწავლეების ჩართვისათვის მათი ენობრივი საჭიროებების გათვალისწინება როგორც მიღების, ასევე სწავლის პროცესში, უდავოდ პოზიტიური პოლიტიკური სვლაა განათლების სისტემისათვის, რომლის შედეგები ასახულია არაქართულენოვანი მოსწავლეების მიღების მაჩვენებლის ზრდაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, შესაბამისი რესურსების შემუშავება და პროფესიული კადრების მომზადება ქართულის სწავლებისათვის პროფესიული ინსტიტუციების ბაზაზე, ის ლოგიკური და საჭირო ნაბიჯებია, რომლებიც შემდგომ წლებში უნდა განხორციელდეს.

ზრდასრულთა განათლება

საქართველოში ქართული ენის ფუნქციონირება და მნიშვნელობა განსაზღვრულია საქართველოს კანონით სახელმწიფო ენის შესახებ (22.07.2015) კანონის მეექვსე მუხლის, „სახელმწიფო და არასახელმწიფო ენების გამოყენების გარანტიები“, პუნქტი 4 ადგენს, რომ, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია იცოდეს სახელმწიფო ენა. თავი VIII. „სახელმწიფო ენის სხვა სფეროებში გამოყენება“, მუხლი 29, „მომხმარებლის უფლება, ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე მიიღოს“ ადგენს: 1. მომხმარებელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე. 2. სახელმწიფო ენის არცოდნა არ შეიძლება მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მოტივი იყოს. შესაბამისად, საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო ენის ცოდნა არათუ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ინტეგრაციას საზოგადოებრივ-საჯარო სივრცეში, არამედ მის ცოდნას სავალდებულო მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობისათვის.

ამ ფონზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის ათვისების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა 2005 წელს დაარსდა და წარმოადგენს სახელმწიფო ენის სწავლების ყველაზე მსხვილ სახელმწიფო უწყებას, რომელიც სხვადასხვა მიმართულების ფარგლებში, საჯარო მოხელეების უნარ-ჩვევების განვითარებაზე და ეთნიკური უმცირესობების თემების ქართული ენის შესწავლაზეა ორიენტირებული. დარგობრივი კურსების პარალელურად სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა (დმანისი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, ლაგოდეხი, ახმეტა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ლამბალო) და მობილურ ჯგუფებში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლებას ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს ქართული ენა ან გაიღრმავოს ცოდნა ამ მიმართულებით.

2014 წლიდან სკოლა ფუნქციონირებს განახლებული სასწავლო პროგრამებით. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სწავლებას ახორციელებს „საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება“, და „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამების ფარგლებში.

2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა განხორციელდა სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში, რაც გულისხმობს სწავლებას რეგიონული სასწავლო ცენტრებიდან დაშორებულ 78 ქალაქსა და სოფელში, ენის ფლობის 3 დონის A1, A2, B1 ფარგლებში:

- A1 დონე (ენის გასაღები);
- A2 დონე (ენის საფუძველი);
- B1 დონე (ზღვრული);
- B1+ დონე (მენეჯმენტი);
- B1+ დონე (ინფრასტრუქტურა);
- B1+ დონე (ფინანსები და შესყიდვები) ;
- B1+ დონე (სამართალმცოდნეობა).

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით ისარგებლა ეროვნული უმცირესობის 3247-მა წარმომადგენელმა.

ამავე წელს, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

- საჯარო ორგანიზაციების მართვა;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში;
- საჯარო ფინანსების მართვა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია;
- ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა.

2017 წელს საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით ისარგებლა 89 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ბენეფიციარმა.

2018 წელს კი, იმავე პროგრამით გადამზადდა 307 ბენეფიციარი.

2019 წლის პირველი ნახევრის ინფორმაციის თანახმად ჟენიას სახელობის ადმინისტრირების სკოლის მიერ:

- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში მომზადდა სახელმძღვანელო „საკომუნიკაციო ქართული“;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 (ათ) რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2018 წელს ჩარიცხულმა (72 ჯგუფი) ეროვნული უმცირესობის 986-მა და 2019 წელს ჩარიცხულმა (28 ჯგუფი) 371-მა წარმომადგენელმა;
- დაკომპლექტდა 118 სასწავლო ჯგუფი, მათგან 89 - მობილური ჯგუფი შედგა 4 ქალაქში, 37 სოფელსა და 4 სამხედრო ბაზაზე. სულ ჩაირიცხა - 1535 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით 10 (ათ) რეგიონულ სასწავლო ცენტრში ჩატარდა საბოლოო გამოცდები (ტესტირება-გასაუბრება), რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ ზურაბ ჟენიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები და გამომცდელები;
- სკოლის ათივე რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში განხორციელდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- დღეის მდგომარეობით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით, 10 (ათ) რეგიონულ სასწავლო ცენტრში, სწავლებას გადის 1190 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა გახორციელდა სავლე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გადიან საწყის საბრძოლო მომზადებას. ალგეთის, ვაზიანის, ოსიაურისა და ხცისის სამხედრო ბაზებზე ენის ფლობის A1 დონის პროგრამით ისარგებლა 252-მა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა რეკრუტმა;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის, პედაგოგთათვის ტრენინგის ჩატარებისა და პედაგოგთა შეფასების მიზნით გაიმართა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა ქუთაისში, 60 პედაგოგისა და 10 ადმინისტრატორის მონაწილეობით;
- ჟენიას სკოლის ორგანიზებით თბილისში გაიმართა კონფერენცია - „სახელმწიფო ენა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის საქართველოში“.

კონფერენციის ფარგლებში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას, სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკას შორის ხელი მოეწერა ოთხმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით სასწავლო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროექტების განხორციელება;

- ჟვანიას სკოლის ინიციატივითა და ახალქალაქის მერიის მხარდაჭერით ახალქალაქში, დედაენის დღესთან დაკავშირებით, კულტურის სახლის კედელზე გაიხსნა „დედაენის“ პანო;
- სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერში მოწყობილ პავილიონში გამოიფინა სკოლის მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოები, აუდიოდიკები „ისწავლე ქართული აუდიო გაკვეთილებით“, კალიგრაფიის კონკურსის გამარჯვებულებმა ჩატარეს მასტერკლასი.
- საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით ისარგებლა 349 პირმა, მათ შორის ეროვნული უმცირესობის 30-მა წარმომადგენელმა;
- განხორციელდა ტრენინგკურსები „საქართველოს საჯარო სკოლების ოპერირება და მოვლა-პატრონობა“. კურსის ფარგლებში გადამზადდა 283 ადამიანი, მათ შორის 19 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამით გადამზადდა 66 საჯარო მოსამსახურე, მათ შორის 11 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც აჩვენებს ეთნიკური უმცირესობების მიერ 2017-2019 წლებში სახელმწიფო ენის პროგრამაში მონაწილეობის სტატისტიკას რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა _ 2017-2019 წწ						
ჩართულ პირთა რაოდენობა						
№	რეგიონი	რეგიონული სასწავლო ცენტრი/ ადგილმდებარეობა	2017	2018	2019	ჯამი:
1	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	788	877	400	2065
2		ნინოწმინდა	404	406	318	1128
3		ახალციხე	164	210	116	490
4	ქვემო ქართლი	ბოლნისი	165	126	77	368
5		გარდაბანი	238	267	41	546
6		დმანისი	205	192	118	515
7		მარნეული	534	544	361	1439
8		წალკა	60	54	69	183
9	კახეთი	საგარეჯო	171	109	45	325
10		ლაგოდეხი	326	152	185	663
11		ახმეტა	52	25	75	152
ქუთაისი			40	59	10	109
ხცისი (სამხედრო ბაზა)				138	35	173
ოსიაური (სამხედრო ბაზა)				90	109	199
ალგეთი (სამხედრო ბაზა)				71	106	177
ვაზიანი (სამხედრო ბაზა)					38	38
კოჯორი (სამხედრო ბაზა)					125	125
ორხევი (სამხედრო ბაზა)					33	33
თბილისი			100	80	26	206
თბილისი (WV-ს პროექტი)					110	110
ჯამი			3247	3400	2397	9044

ცხრილი 25:**2017-2019 წლების განმავლობაში სახელმწიფო ენის სწავლაში ჩართულ პირთა რაოდენობა**

სტატისტიკა, რომელიც სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით არის მოწოდებულია მოსარგებლე პირთა რაოდენობის მიხედვით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უწყებისგან კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება ვითხოვეთ ენის დონეების ფლობის, შედეგების გაზომვის მექანიზმების, ერთი და იმავე პირების მიერ ერთი და იმავე კურსზე დარეგისტრირებისგან თავის შეკავების, მიღებული ცოდნის გამოყენების მონიტორინგისა და სხვა საკითხები შესახებ, ენის კურსების შესახებ ინფორმაცია კვლავაც არ ცდება რაოდენობრივ და გეოგრაფიულ ჭრილებს და ასევე მოიცავს ზოგად ინფორმაციას ენის კურსების დონეებად დაყოფის პრინციპების შესახებ. შესაბამისად, წლიდან წლამდე, მზადდებიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები სახელმწიფო ენაში, რომელიც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ფინანსდება. მიუხედავად ამისა, რეალური შედეგი, რომელიც კურსებმა მოიტანეს არ არის თვალსაჩინო; არ არის აღწერილი ის პოზიტიური თანმდევი შუალედური და საბოლოო შედეგები, რომლებსაც მოსარგებლეებმა მიაღწიეს. კვლავ არ არსებობს ქართული ენის ფლობის დონეების მკაფიო განსაზღვრება, რომელიც ენის კომპეტენციების მატებას პერსპექტივაში გაზომავდა და სახელმწიფოს მიერ გაწეულ ძალისხმევასა და დაფინანსების ეფექტურობას უკეთ წარმოაჩენდა. ასევე არ მუშაობს კურსის შემდგომი მონიტორინგისა და შეფასების სისტემები და ინდიკატორები, რომლებიც გაზომავდნენ ენის კურსის დასრულებისგან მიღებულ ცვლილებებს. მაგალითად, ეროვნული უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებულ დასახლებებში საქმისწარმოების გაუმჯობესებას სახელმწიფო ენაზე; ქართული ენის ათვისების შედეგად დასაქმებული ადამიანების სტატისტიკას; კარიერული წინსვლის მაგალითებს; მოსახლეობისათვის სერვისების უკეთესად მიწოდებასა და მოხმარებას; საზოგადოებრივ, საჯარო და პოლიტიკურ სივრცეში აქტიურ ჩართულობას; მასწავლებელთა მიერ გამოცდებზე გასვლის მაჩვენებლის ზრდას და უკეთესი შედეგების ჩვენებას. შესაბამისად, სახელმწიფო ენის კურსები, რომლებიც წლიდან წლამდე მიმდინარეობს და მონაწილეების სტატისტიკას გვაწვდის, აჩენს კითხვებს მიდგომების ეფექტიანობასა და რელევანტურობასთან დაკავშირებით, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ.

რეკომენდაციები

2017-2019 წელს გადადგმული ნაბიჯები გაანალიზებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მიზნებისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმასთან მიმართებით განათლებისა და სახელმწიფო ენის გაძლიერების კუთხით. მიღწეული და არსებული გამოწვევები დეტალურად არის აღწერილი შესრულების ზემოთ მოცემულ მონიტორინგში.

- მნიშვნელოვანია, რომ წლიური გეგმის შესრულების ანგარიში ეფუძნებოდეს არა მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებსა და სტატისტიკას, არამედ მოიცავდეს განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების სიღრმისეულ ანალიზს, სადაც თითოეული აქტივობისა და მიღწეული შედეგისათვის შემუშავებული იქნება რელევანტური თვისებრივ-რაოდენობრივი ინდიკატორი. ეს ხელს შეუწყობს შესრულებული საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის გარდა, საერთო ფონის, არსებული კონტექსტის და თვისებრივი მონაცემების ანალიზის საშუალებით გაკეთდეს გეგმის შესრულების ეფექტურობის შესახებ სათანადო დასკვნები.
- მნიშვნელოვანია, რომ განათლებისა და ენის გაძლიერებისაკენ მიმართული გეგმა, შესაბამისი საქმიანობა და ღონისძიებები, მეტად იყოს ორიენტირებული ეთნიკურად ქართული საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე, რამეთუ დომინანტი ჯგუფი ინტეგრაციის პროცესისა და შედეგების თანამონაწილე საკვანძო მხარეა.

3.1 სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

- მნიშვნელოვანია კოორდინირებული საქმიანობის განხორციელება იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფები,

რაც ადრეული ასაკისა და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით მკაფიოს და მიზანზე ორიენტირებულს გახდიდა მუშაობას;

- მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების ცენტრების ხელმისაწვდომობა და საკმარისობა არსებული მოთხოვნებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების სტატისტიკის შესაბამისად. სკოლამდელ განათლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვის შემდგომი პერიოდის განვითარებაში.
- სასურველია, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტში, ხარისხის სტანდარტის ნაწილში გაიწეროს დამატებითი ინდიკატორები ბილინგვური-მულტილინგვური განათლების პროგრამის განხორციელებისათვის სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში.
- მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ დასახლებებში არსებული ბაღების და სკოლამდელი დაწესებულებების დეტალური შესწავლა, რომელიც საშუალებას მისცემს სამინისტროს დაინახოს ბავშვების რაოდენობის, აღმზრდელ-პედაგოგების, მშობლიური ენების რაოდენობისა და ფლობის, თემისა და მშობლების სოციალური პროფილისა და მოლოდინების, შესაძლებლობების, საჭიროებების და ა.შ. შესწავლა, რაც გააჩენს საშუალებას განისაზღვროს ბილინგვური/მულტილინგვური განათლების შესაბამისი ფორმები და მიდგომები.
- სასურველია, სამომავლოდ შემუშავდეს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რომელიც ბილინგვური/მულტილინგვური სწავლებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს გაითვალისწინებს და განსაზღვრავს იმ უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს, რომელიც ამ ტიპის საბავშვო ბაღსა და სკოლამდელი განათლებაში მყოფი პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს.
- მნიშვნელოვანია შესაბამისი მეთოდოლოგიური რესურსების შექმნა აღმზრდელ-პედაგოგებისთვის და საგანმანათლებლო რესურსის შექმნა ბავშვებისთვის.
- მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოზარდები არიან, ხდებოდეს მათი მშობლიური ენის მხარდაჭერისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს სათანადო რესურსებით ინსტიტუციების მომარაგებას და ადრეული და სკოლამდელი აღზრდა-განათლების დაწესებულებების კადრების მომზადებას ეთნიკური უმცირესობების ენაზე ეფექტური მუშაობისათვის.
- სასურველია, ადრეული და სკოლამდელი აღზრდა-განათლების დაწესებულებებისათვის, რომლებიც მიზნობრივ რეგიონებში არიან განთავსებული, შემუშავდეს და დაინერგოს ინტერკულტურული ელემენტებით გამდიდრებული, მრავალფეროვნების წახალისებაზე ორიენტირებული პროგრამები, რომლებიც მოამზადებენ მოზარდებს რეგიონის მახასიათებლების კარგად გაცნობიერებასა და ამ კონტექსტში ეფექტური ინტერაქციისათვის.

3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე

- მნიშვნელოვანია, ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც გრძელვადიან ინტერვენციებსა და შედეგებზე იქნება ორიენტირებული.
- მნიშვნელოვანია საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება მშობლებთან და ადგილობრივ თემებთან სახელმწიფო ენის განათლების აუცილებლობის, ასევე ორენოვანი განათლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის.
- მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული მომზადება.
- მნიშვნელოვანია მოხდეს არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების პედაგოგიური კადრების

კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ მიმართული თანმიმდევრული და კარგად დაგეგმილი პოლიტიკის ჩატარება.

- მნიშვნელოვანია, ახალი კადრების ძიებისა და გამოვლენისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არაკვალიფიციური და დაბერებული კადრების თანდათანობითი ჩანაცვლებისათვის, სადაც ბილინგვური სწავლების შესაძლებლობებს სათანადო ყურადღება მიექცევა და არსებული გზების გარდა, ახალი შესაძლებლობების მოძიებაზე სათანადო ყურადღების გამახვილება. ამასთან სასურველია გარე მიმწოდებლების მოძიება და ჩართვა ხარისხისა და რეგულარობის უზრუნველსაყოფად.
- ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია დამხმარე მასწავლებლების რესურსების სათანადო გამოყენებისათვის შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება და ახალი კადრების მოზიდვა ადგილებზე განაწილებისათვის.
- მნიშვნელოვანია, არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების სასწავლო, მეთოდური და საგნობრივ-მეთოდური მასალების უზრუნველყოფა.
- მნიშვნელოვანია, არაქართულენოვანი სკოლების დირექციისა და მასწავლებლების მიერ სახელმწიფო ენის ათვისებისკენ გადადგმული ნაბიჯების ხარისხისა და თანმიმდევრობის რეგულარული მონიტორინგი.
- აუცილებელია განისაზღვროს არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის სახელმწიფო ენის ფლობის აუცილებელი დონე და მისი შეფასების და დადასტურების ინსტრუმენტები.
- აუცილებელია, რომ დაწესდეს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის სახელმწიფო ენის დამადასტურებელი გამოცდა და მის ჩასაბარებლად განისაზღვროს გონივრული ვადები.
- აუცილებელია, არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებსა და ადმინისტრაციას განათლებაში მიმდინარე რეფორმების შესახებ რეგულარულად მიეწოდებოდეს ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომ ენაზე.
- აუცილებელია, რომ არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლისათვის სკოლის ბაზაზე ამოქმედდეს ენის ინტენსიური და რეგულარული სწავლის შესაძლებლობები, სადაც კარგად იქნება წარმოჩენილი შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების მექანიზმები.
- სასურველია, არაქართულენოვანი მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა სახელმწიფო ენის ფლობის სათანადო კომპეტენციების მქონე პედაგოგებისათვის წახალისების ინსტრუმენტების ამუშავების საშუალებით.
- მნიშვნელოვანია ბილინგვური პროგრამების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობების მიცემა.
- აუცილებელია ბილინგვური და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლების ქმედითი წახალისების მექანიზმების ამუშავება, როგორცაა სახელოვანო დანამატი, სხვადასხვა ღონისძიების ასახვა კრედიტებში, რაც განაპირობებს მასწავლებლების მოტივაციის ზრდას ბილინგვური მასწავლებლის სტატუსის მოპოვებისათვის.
- მნიშვნელოვანია მცირე ერებისა და ნაციონალობების ენების სწავლების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავება და მიზნობრივ აუდიტორიებში დისტრიბუცია ამ ენების ეფექტურად დაცვისა და გაძლიერებისათვის.
- მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მასალების თარგმანის ხარისხის გაუმჯობესება. ამისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, რეკომენდირებულია სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა, და მათთან აქტიური და ქმედითი თანამშრომლობის უზრუნველყოფა ენობრივი და ლიტერატურული უზუსტობების თავიდან აცილებისა და სახელმძღვანელოების შინაარსობრივი გამართულობისათვის.

- აუცილებელია, განისაზღვროს ბილინგვური სახელმძღვანელოების შემუშავების კონცეფცია, რათა სასწავლო რესურსების ქმედითუნარიანობა გაიზარდოს და ხელი შეეწყოს არაქართულენოვან სკოლებში და სექტორებში ერთდროულად სახელმწიფო ენის ათვისებას და საგნობრივი შესაბამისი ცოდნის მიღებას.
- მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება მიექცეს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების საკითხებს, ასევე მის სათანადო ასახვას ბილინგვური განათლების პროგრამებში.
- სასურველია, მოხდეს სკოლის დონეზე ბილინგვური სწავლების ინდივიდუალური განხორციელების შესაძლებლობების შეფასება და სკოლებს მიეცეთ რეკომენდაციები მათზე მორგებული პროგრამების დანერგვისა და განხორციელებისათვის.

საშუალო განათლება მასწავლებელთა განათლების პროგრამების კუთხით

- სასურველია, იმ უნივერსიტეტების გაძლიერება და სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებსაც ქართული ენის აკრედიტირებული მოსამზადებელი პროგრამა გააჩნიათ.
- მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტებში ბილინგვური/მულტილინგვური მასწავლებლის განათლების პროგრამების გაძლიერება და დანერგვა, რათა მოხდეს ბილინგვური განათლების ხელშეწყობა არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში.
- სასურველია, უმცირესობათა მშობლიური ენების მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამების დანერგვა უნივერსიტეტებში, რომელიც თავის მხრივ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ სომხური და აზერბაიჯანული ენების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს დაეფუძნება.
- სასურველია, არაქართულენოვანი და 1+4 პროგრამის სტუდენტთა წახალისება მასწავლებლისა და განათლების პროგრამების არჩევისათვის, რაც დამატებითი შეღავათების, დამთავრების შემდეგ სამსახურის უზრუნველყოფით, რეგიონებში მივლინებისა და მუშაობის საფუძველზე უფასო სამაგისტრო პროგრამის პერსპექტივებით იქნება შესაძლებელი.
- მნიშვნელოვანია მულტილინგვური და მშობლიური ენის მასწავლებლის პროგრამების გათვალისწინება და ასახვა პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის და შესაბამისი ადგილების გამოყოფა კვალირებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის.

3.3. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

- სასურველია, უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის რეგულარულ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ხარისხისა და განვითარების კრიტერიუმების დანერგვა.
- სასურველია საშეღავათო პოლიტიკის სიკეთეებისა და პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის უფრო აქტიურად გავრცელება სკოლებსა და ადგილობრივ თემებში, განსაკუთრებით სომხური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში.
- სასურველია, რომ დაწესდეს საშეღავათო პირობები მცირე ეთნიკური ჯგუფის აბიტურიენტებისათვის უმაღლესი განათლების საფეხურზე მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია, გაგრძელდეს და განვითარდეს სტაჟირების პროგრამები, რომლებიც სტუდენტებსა და

კურსდამთავრებულებს პროფესიული კვალიფიკაციის შეძენასა და დასაქმებაში შეუწყობს ხელს. სასურველია, კერძო და რეგიონული კომპანიების მოძიება და წახალისება მსგავსი ინიციატივების განხორციელებისათვის.

- სასურველია, რომ მოხდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე მიმართული აკადემიური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და კულტურული პროგრამების დანერგვისათვის.
- სასურველია მოხდეს რეგიონული უნივერსიტეტების გაძლიერება საშეღავათო პოლიტიკის შედეგად ჩარიცხული სტუდენტებისათვის მოსამზადებელი პროგრამისა და სასურველი საბაკალავრო პროგრამების უზრუნველსაყოფად, რაც მათ ადგილობრივ სტუდენტებსა და მოსახლეობასთან ინტერაქციას შეუწყობს ხელს და დააჩქარებს სოციალური ინტეგრაციის პროცესებს.

3.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

- მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებისათვის პროფესიული განათლების პერსპექტივების და ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიწოდება მშობლიურ ენაზე;
- მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებისათვის საშეღავათო პოლიტიკის გატარება პროფესიული განათლებით მათი დაინტერესებისა და მოზიდვისათვის.
- სასურველია პროფესიული კოლეჯებისათვის ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებისათვის უფრო კმედიითი მხარდაჭერის აღმოჩენა, მათ შორის ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობების, მეთოდებისა და რესურსების უზრუნველყოფის სახით.
- მნიშვნელოვანია ზრდასრულთა განათლების მიმართულებით განხორციელებული პროგრამებისათვის შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორების შემუშავება.
- მნიშვნელოვანია, ზრდასრულთა განათლების თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ყველა მსურველისათვის.
- აუცილებელია, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებისათვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებზე დამოუკიდებელი მომწოდებლების მიერ შემუშავებული კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განხორციელების მხარდაჭერა ხარისხის კონტროლის მკაფიო მექანიზმების ამუშავებისა და დაფინანსების უზრუნველყოფით, რაც უფრო ეფექტურს და ეფექტიანს გახდის სახელმწიფო ენის შესწავლაზე მიმართული რესურსების გამოყენებას.
- სასურველია, სახელმწიფო ენის შესწავლისათვის შიდა ორგანიზაციული მიდგომების დანერგვა.
- მნიშვნელოვანია ზრდასრული მოსახლეობისთვის მრავალფეროვანი პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზება, რათა მოსახლეობამ შეძლოს რეგიონებში არსებული პერსპექტივების გამოყენება და დასაქმება.

სტრატეგიული მიზანი 4: ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა“⁴⁴. ეს პრინციპი ასახულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში, რომლის ერთ-ერთი მიზანი, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისებაა⁴⁵. აქვე დაზუსტებულია, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული დაცვა მიმართულია ენის, ტრადიციების, შემოქმედების ნიმუშებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ. ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად კი, დასახულია სამი შუალედური მიზანი:

1. კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა, რაც გამოიხატება უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისკენ მიმართული საქმიანობის გაუმჯობესებასა და რეგიონულ და ადგილობრივ ერთეულებთან კოორდინაციის უზრუნველყოფაში;
2. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია. ამ შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები ითვალისწინებს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის, მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვასა და პოპულარიზაციას;
3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება, რაც გამოიხატება ისეთი ღონისძიებების განხორციელებით, რომელიც ხელს უწყობს კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებას.

სახელმწიფო სტრატეგიაში ასევე დაზუსტებულია, რომ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა უნდა ითვალისწინებდეს უმცირესობათა კულტურული ძეგლების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, გამაგრებასა და რესტავრაციას. გათვალისწინებულია თეატრებისა და მუზეუმების საქმიანობის მხარდაჭერა, ბიბლიოთეკებში კი, ტოლერანტობის, ინტერკულტურული, საგანმანათლებლო და საინტეგრაციო ღონისძიებების გამართვა.

წინამდებარე მონიტორინგის ობიექტია 2017 და 2018 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმებისა და შესრულების ანგარიშების მეოთხე სტრატეგიული მიზანი. მათში იდენტიურად არის გაწერილი ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისა და ტოლერანტული გარემოს წახალისების ხელშეწყობი სამი შუალედური მიზანი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული წინასწარ გათვლილი, გაზომვადი ინდიკატორები. სტრატეგიაში ჩამოთვლილია დაგეგმილი ღონისძიებები, თუმცა, არ არის მითითებული ის, თუ რა რაოდენობის ან შედეგის მიღწევა იგეგმებოდა კონკრეტულ პერიოდში. პრობლემა ხაზგასმულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 2019 წლის კომისიის დოკუმენტშიც. მასში აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია განხორციელებულ ღონისძიებებზე და არ აქვს შესრულების ინდიკატორები რითაც, შესაძლებელი იქნებოდა განხორციელებული ღონისძიებების სამუშაო და გრძელვადიანი გავლენის შეფასება⁴⁶. აღსანიშნავია, რომ მეოთხე სტრატეგიული მიზნის 2017-2018 წლების შესრულების ანგარიშებში, ინფორმაცია არასრულად იყო წარმოდგენილი, რიგ შემთხვევებში უცნობია ჩატარებულ ღონისძიებათა რელევანტურობა კონკრეტულ შუალედურ მიზანთან მიმართებით. ამ მიზეზთა გამო, მეოთხე სტრატეგიული მიზნისა და სამი შუალედური მიზნის მონიტორინგი მხოლოდ თვისებრივი მახასიათებლებით არის შესაძლებელი. მონიტორინგის ინტერესია:

- თუ რამდენად იყო ასახული უმცირესობის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში (4.1);
- რამდენად იყო დაცული უმცირესობის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (4.2);

44 საქართველოს კონსტიტუცია, თავი 2, მუხლი 11, პარაგრაფი 2.

45 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, გვ. 16-17.

46 Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities. Third opinion on Georgia, adopted on 7 March 2019. პარაგრაფი 53, გვ. 16.

- რამდენად იყო წახალისებული უმცირესობის როლი კულტურათაშორის დიალოგსა და ქვეყნის კულტურულ მრავალფეროვნებაში (4.3).

4.1. კულტურული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლის და მნიშვნელობის ასახვა

2017 და 2018 წლების 4.1. შუალედური მიზნის მისაღწევად განხორციელდა არაერთი ღონისძიება. ორივე წლის შესრულების ანგარიშებში ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის თეატრალური წარმოდგენები და გასტროლები, სამხატვრო გამოფენები, კონცერტები და ფესტივალები, კონფერენციები და ლიტერატურული საღამოები. ამავე მიზნის მიღწევას ემსახურებოდა საგანმანათლებლო წრეების (ცეკვა, სიმღერა, რეწვა და ა.შ.), მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების მხარდაჭერაც. ღონისძიებები ტარდებოდა თბილისში, კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და რუსეთის ფედერაციაში.

2016 წლის 1 ივლისიდან მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“. მასში, სხვა საკითხებთან ერთად წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ხედვა უმცირესობებისთვის კულტურაზე წვდომისა და მათი კულტურის დაცვის შესახებ.

კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნების ქვეყნის 2.2. უმცირესობებისთვის ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას, კულტურის ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობას ეხება. სტრატეგიის ამ ქვემიზნის მიხედვით, უმცირესობებისთვის გათვალისწინებულია:

- კულტურული და შემოქმედებითი პროექტების, ინიციატივების, ღონისძიებებისა და კამპანიების ორგანიზება და შესაბამისი სივრცეების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა,
- შეღავათების მექანიზმების შემუშავება და კულტურის სპეციალობებზე სწავლის ხელმისაწვდომობის მიზნით უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის სპეციალური პირობების შეთავაზება (მაგ. ბილეთის დაბალი ფასი, თავისუფალი შესვლა, ღია კარის დღე და სხვ.),
- ბავშვებისა და მოზარდების ადგილობრივ თანატოლებთან ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა კულტურულ პროექტში მათი ჩართვის მხარდაჭერა,
- კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა და ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა,
- ეთნიკური უმცირესობებისთვის კულტურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საზოგადოებრივი მაუწყებლის სპეციალური პროგრამების შემუშავება, როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე.

კულტურის სტრატეგიის მიზანი 2.4. კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფის შესახებ, ითვალისწინებს უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და აღდგენას (მაგ. ძეგლების რეაბილიტაცია, სხვადასხვა ტრადიციული ცოდნისა და საშემსრულებლო ხელოვნების შენარჩუნება და სხვ.). კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკურ ამოცანათა ჩამონათვალი ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების მატერიალური, არამატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობის გამოვლენას, ინვენტარიზაციას, კატეგორიების განსაზღვრას, კლასიფიკაციას, სააღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნას, რეესტრის წარმოებასა და რუკაზე დატანას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მედიისა და მაუწყებლობის სპეციფიკურ ამოცანათა შორისაა ეთნიკური უმცირესობებისთვის კულტურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საზოგადოებრივი მაუწყებლის სპეციალური პროგრამების შემუშავება, როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე. სამწუხაროდ, შეფასების მომენტისთვის არ არსებობს „კულტურის სტრატეგია 2025“ შესრულების ანგარიში. შესაბამისად, უცნობია ის, თუ რა ღონისძიებებით მოხდა სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მხარდაჭერა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არაერთი სამინისტროს, სააგენტოს, სსიპ-ის მიერ გამოიცა სხვადასხვა სახის განკარგულება რაც მიზნად ისახავდა უმცირესობათა კულტურის დაცვასა და პოპულარიზაციას. მათ შორის, მნიშვნელოვანია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „მრავალფეროვან საქართველოს“ ჯგუფის მიერ მომზადებული გადაცემები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ

ჩატარებული ათობით ღონისძიება, რომელთა მიზანი უმცირესობათა კულტურის პოპულარიზაციაა. კულტურის პოლიტიკის წარმოებაში აქტიური როლი აქვთ რეგიონულ და ადგილობრივ მმართველ ერთეულებს. შეფასებას შესაძლებლობა აქვს შეამოწმოს ბოლნისის, წალკის, რუსთავის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, ბოლნისის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, და ყვარლის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია უმცირესობათა კულტურის მიმართულებით გამართული ღონისძიებების შესახებ. დოკუმენტაცია მოწმობს იმაზე რომ ადგილობრივი ხელისუფლება მონაწილეობს უმცირესობების დღესასწაულების, ადგილობრივი სოფლების დღეობების, აშუღების, მწერლების, მომღერლების იუბილეების აღნიშვნასა და მხარდაჭერაში.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, უმცირესობებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. თუმცა, მათივე აზრით, პოლიტიკის დოკუმენტების, მათ შორის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, შემუშავების პროცესში ისინი არ მონაწილეობენ.

რესტავრაციის და კონსერვაციის პრობლემები არ აქვთ ქართულ ძეგლებს, რატომღაც, მსგავსი პრობლემები მხოლოდ სომხურ ეკლესიებს ექმნებათ.

მედიის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან

4.2. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

ამ შუალედური მიზნის უმთავრესი ამოცანა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, გამაგრება და რესტავრაციაა. დაცვის ქვეშ მოიაზრება უმცირესობათა არამატერიალური კულტურა, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. 2017 წლის გეგმის 4.2. შუალედური მიზნის ამოცანათა შორის ჩამოთვლილია გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება, გერმანული არქიტექტურული მემკვიდრეობის შესახებ გამოცემის მომზადება და აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების ტრადიციების შენარჩუნება. 2018 წლის ამავე მიზნის ღონისძიებების მიხედვით იგეგმებოდა გამოცემა გერმანული მემკვიდრეობის შესახებ, გამოფენის მოწყობა ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, არამატერიალური კულტურის მიმართულებით გამოფენების გამართვა. პოპულარიზაციის მიზნით კი, დმანისის მუნიციპალიტეტში გაცნობითი ტურისტული ტურის მოწყობა. შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2017 და 2018 წლებში განხორციელდა გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისა და პოპულარიზაციისკენ მიმართული არაერთი ღონისძიება. 2017 წელს, აზერბაიჯანული ხალიჩის ტრადიციის შენარჩუნების მიზნით, ჯანაშიას სახელობის მუზეუმში გაიმართა ხალიჩის გამოფენა. 2018 წელს დმანისში ჩატარდა გაცნობითი ხასიათის ტური. აქვე დავამატებთ, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაცული უძრავი ძეგლების ნუსხაში⁴⁷ 2017 წელს დაემატა სომხური სამოციქულო მართლმადიდებლური (3727, 7358, 7397) და ევანგელურ-ლუთერანული (7338) ძეგლები. 2018 წელს კი, ძეგლები პანკისის ხეობიდან (7535-7558), კათოლიკური ძეგლები (7604-7611) და ღუხობორების სკოლის შენობა (7613).

უმცირესობების მატერიალური კულტურა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სომეხთა, კათოლიკეთა, ევანგელურ-ლუთერული, მუსლიმი და იუდაური თემები ითხოვენ საკულტო ნაგებობების ისტორიული მეპატრონისთვის დაბრუნებას. ამ ნაგებობებს, მათ შორის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, 2017 წლის სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად „სახელმწიფოს მხრიდან არ ეთმობა ყურადღება და ნაღფურდება“⁴⁸. სიტუაცია, მცირე გამოჩენისების გარდა, არ შეცვლილა მომდევნო წელსაც. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, უმცირესობათა „ძეგლების მდგომარეობა კვლავ

47 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო <https://www.heritagesites.ge/uploads/files/5d5e423eb440d.pdf>

48 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წელი, გვ. 159.

მძიმეა და მათი რეაბილიტაციის მიზნით, 2018 წლის განმავლობაში ნაბიჯები არ გადადგმულა⁴⁹.
 სომხური სამოციქულო ეკლესიის განცხადებით, ის საქართველოში 57 ეკლესიით სარგებლობს, თუმცა არც ერთზე არ აქვს საკუთრების უფლება. სომეხთა ეპარქიამ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 20 ეკლესიის საკუთრების უფლებით გადაცემის თხოვნით ჯერ კიდევ 2015 წელს მიმართა, თუმცა, სააგენტოს პასუხი უცნობი რჩება⁵⁰. ამასთან, სომეხთა სამოციქულო ეკლესია ითხოვს თბილისში ხუთი და ახალციხეში ერთ ტაძრის დაბრუნებას, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაშია და მათზე პრეტენზიას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აცხადებს. 2017 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სომხურ თემთან დაკავშირებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნაწილი ჩამონგრეულია და დაუყოვნებლივ გამაგრებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს⁵¹. მიუხედავად დიდი სურვილის და დონორთა მზაობისა, ვერ ხერხდება სომხურ ძეგლებზე კონსერვაციის ან რესტავრაციის უფლების მოპოვება. ამ პირობებში, სომხური სათემო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, კომერციული სახის მშენებლობებისა და კერძო პირთა ინიციატივების შედეგად ზიანდება სადავო ძეგლები თბილისსა და რეგიონებში. დაზიანებულ და კონსერვაცია-რესტავრაციის საჭიროების მქონე სომხურ ეკლესიებს შორის სახელდება მუღნის „სურბ გევორგი“ (ახოპირელის ქუჩა No6), „შამხორეცოც კარმირ ავეტარანი“ (ფერისცვალების ქუჩა No 6), „ერევანცოც სურბ მინასი“ (გელათის ქუჩა No13), „სურბ ნშანი“ (ვერცხლის ქუჩა No6), „თანდოიან სურბ ასტვანაწინ“ (დავით აღმაშენებლის გამზირი No40. სოფლების კორხის, ტურცხის, ხანჩალის, გომანის, ოლავერდის და სხვა ეკლესიები. თბილისელ სომეხთა სათემო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისთვის პრობლემურია თბილისში კერძო მფლობელობაში არსებული ნერსესიანის სომხური სემინარია და ბათუმში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის გადაცემული სომხური კათოლიკური ეკლესიის ბედიც. არც ერთგან არ არის აღნიშნული ამ ძეგლების სომხურ თემთან კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში არაერთი შენობა უკავშირდება სომეხი ეროვნების გამოჩენილ ფინანსისტს, პოლიტიკოსს, მუსიკოსს, მხატვარს თუ მწერალს, მათი მემორიალური დაფების განთავსება ხშირად პრობლემურია ან ვერ ხერხდება.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებიდან ასევე ვიგებთ, რომ მუსლიმ თემს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით პრობლემები აქვს ქვემო ქართლში, ადიგენსა და აჭარაში. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ ვერ უზრუნველყო ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს მეჩეთის წარმომადგენლობისა და მესაკუთრის დადგენა, რაც აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა ნაგებობაზე სარესტავრაციო სამუშაოების განსახორციელებლად. სამცხე-ჯავახეთში მდებარე მეჩეთების მდგომარეობაზე ვიგებთ, რომ ნაგებობების დიდ ნაწილს არ აქვს სახურავი და ნადგურდება აქ არსებული მკაცრი კლიმატის პირობებში⁵². პრობლემას წარმოადგენს ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში არსებული არაბული და ოსმალური პერიოდების მეჩეთების, მავზოლეუმების, აბანოებისა და სასაფლაოების აღწერა, შესწავლა და დაცვის საკითხიც⁵³.

საფრთხის ქვეშაა ბათუმის სინაგოგა, რომელსაც სერიოზული ზიანი მიადგა კერძო ინვესტორის სამშენებლო საქმიანობის გამო. პრობლემა შეექმნა ახალციხის მეორე სინაგოგასაც, რომელზეც არასწორად არის დატანილი წითელი ხაზები. რუსული სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლის ინფორმაციით საფრთხის ქვეშაა დუხობოროთა ტრადიციული სახლები ქალაქ ნინოწმინდაში და ახლომდებარე სოფლებში. თბილისში განადგურდა ან დაზიანებულია არაერთი რუსი მოღვაწის ძეგლი და მემორიალური დაფა. სათანადო ყურადღება არ ექცევა უკრაინელთა კულტურულ მემკვიდრეობას ბორჯომის მუნიციპალიტეტში. უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების აზრით, დაუცველია უმცირესობათა სასაფლაოების და საკულტო ნაგებობების წითელი ხაზები, არსებობს მათი დაზიანების ან განადგურების ფაქტები.

უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები კმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღ. გრიბოედოვის რუსული თეატრის, ადამიანის სახელობის სომხური

49 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი, გვ. 293.

50 Georgia 2018 International Religious Freedom Report. <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/05/GEORGIA-2018-INTERNATIONAL-RELIGIOUS-FREEDOM-REPORT.pdf> გვ. 8

51 სახალხო დამცველის ანგარიში, 2017 წელი, გვ. 278

52 ლიბერალი „სამცხე-ჯავახეთის უჩინარი მეჩეთები“, <http://liberali.ge/articles/view/24435/samtskhejavakhetis-uchinari-mechetebi>

53 ქვემო ქართლში ისლამური ძეგლების საკითხებზე აქტიურად მუშაობს კავკასიური მემკვიდრეობის კვლევითი ინსტიტუტი (ინტერვიუ ორგანიზაციის დირექტორთან ბ-ნ. ელნურ ალიევთან)

თეატრისა და ბაზოვის სახელობის ებრაული ისტორიის მუზეუმის შენობების რეაბილიტაციის გამო⁵⁴.

თუმცა, ებრაული სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, თბილისის ებრაულ მუზეუმში ჯერ ისევ არ დაბრუნებულია სამუზეუმო არტეფაქტები, რომლებიც შენობის რემონტისას გადანაწილდა სხვადასხვა მუზეუმში. ამასთან, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანული კულტურის და სმირნოვების მუზეუმებმა მეზობელი ქვეყნების მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნის პარალელურად მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ადგილობრივი უმცირესობების ავთენტური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას⁵⁵. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ცენტრალურ მუზეუმებში, მათ შორის თბილისში, ნაკლებად არის ხაზგასმული ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნება.

უმცირესობათა მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით პოზიტიურად არის შეფასებული 2018 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. გაუქმდა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის ჩანაწერი, რომელიც რელიგიურ კონფესიებს მათ საკუთრებაში ან სარგებელში არსებული ნაგებობების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან გაუმართლებლად ათავისუფლებდა⁵⁶. მნიშვნელოვანია, აღნიშნული სამართლებრივი გარანტიის პრაქტიკაში დანერგვა და აღსრულება რაც შესაძლებელს გახდის უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ძეგლის კონსერვაციასა და რესტავრაციას.

უმცირესობების არამატერიალური კულტურა

საქართველოს კულტურულ მარშრუტებს შორისაა გერმანული და ებრაული მარშრუტები. 2017 წელს ევროპის საბჭოს ხელშეწყობით გამოიცა ქართულ-ინგლისურ და გერმანულენოვანი გზამკვლევი „გერმანული უმცირესობის კულტურული მარშრუტი საქართველოში“⁵⁷. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2018 წელს „ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციას“⁵⁸. საქართველოს კულტურული მარშრუტების ვებგვერდზე ცალკე გამოყოფილია „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“⁵⁹. თუმცა, ტურისტულ რუკებზე არასრულად ან საერთოდ არ არის წარმოჩენილი სხვა ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, არ არის განვითარებული უმცირესობების კულტურის შესახებ ტურისტული საინფორმაციო პროდუქტები. ამასთან, ქართული საზოგადოებისთვისაც უცნობი რჩება უმცირესობათა რეგიონებში არსებული უამრავი ბუნებრივი თუ ისტორიული ძეგლი, ქრება მათთან დაკავშირებული ადგილობრივი ლეგენდები და დღესასწაულები⁶⁰.

რეგიონული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ უმცირესობათა თემებში არსებულ ტრადიციებზე, რომლებიც საჭიროებს დაცვას და პოპულარიზაციას. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, დაცვას საჭიროებს აშუღების სკოლისა და ბორჩალოს ხალიჩების ქსოვის უნიკალური ტრადიციები⁶¹. ამ მიმართულებით, სტრატეგიის ფარგლებში კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი ერთჯერადი ღონისძიება არ არის საკმარისი ხალიჩის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად. ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის თანახმად ხალიჩის ქსოვის სპეციალისტებისთვის 2019 წელს უნდა გამოიყოს სპეციალური გრანტები, თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია პროგრამის შედეგები. ქვემო ქართლის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა თანახმად, აშუღთა ტრადიციის ხელშეწყობა მხოლოდ ახალგაზრდების ამ ტრადიციით დაინტერესებით არის შესაძლებელი. ადგილობრივი ტრადიციების დაკარგვა პრობლემად მიაჩნიათ სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც, აქ დაკარგვის პირასაა ჯავახური ოდის ხელოსნობის, სომხური

54 საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული ინფრასტრუქტურა <http://mcs.gov.ge/Cultural-infrastructure.aspx>

55 სახალხო დამცველის ანგარიში, 2018 წელი, გვ. 293.

56 სახალხო დამცველის ანგარიში, 2018 წელი, გვ. 236.

57 გერმანული კულტურული მარშრუტი საქართველოში, 2017, <https://rm.coe.int/168070ce59>

58 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბრძანება 2/11, დათარიღებული 23.03.2018 <https://www.heritagesites.ge/uploads/files/5b7432febfc2e.pdf>

59 ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში <http://culturalroutes.gov.ge/Routes/saqartvelos-kulturuli-marshrutebi.aspx>

60 მაგალითისთვის, ადგილობრივ ტრადიციებზე აქტიურად იწერება გამოცემა jnews.ge და სხვა საიტებზე.

61 სახალხო დამცველის ანგარიში, 2018 წელი, გვ. 236

ლაგამის ტრადიციულ თონეში გამოცხოვის, დუხობორთა საეკლესიო გალობის, ქარგის და სხვა მსგავსი ტრადიციები. სამწუხაროდ, ქვემო ქართლშიც და სამცხე-ჯავახეთშიც ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებიან ტრადიციული საკრავებით, რეწვითა თუ ხელობით.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მნიშვნელოვან ნაწილში არ ფუნქციონირებს სახელოვნებო წრეები, კულტურის სახლები საჭიროებენ რემონტს. მუნიციპალიტეტების ცენტრალურ ბიბლიოთეკებში იშვიათად ახლდება წიგნადი ფონდი, უმთავრესად ქართულენოვანი წიგნებით. საბჭოს წევრი ორგანიზაციების თანახმად, რეგიონალურ ბიბლიოთეკებში ყურადღება არ ექცევა წიგნებს არსებულ ფონდს, განსაკუთრებით კი უმცირესობათა ენებზე. ნადგურდება იშვიათი და ზოგ შემთხვევაში, უნიკალური გამოცემები. სამცხე-ჯავახეთში, 80 ბიბლიოთეკიდან მხოლოდ 18-ია დარჩენილი, თუმცა აქ მათ თითქმის არაფერ იყენებს. ქვემო ქართლშიც ბიბლიოთეკებს ნაკლებად იყენებენ უმცირესობები. მაგალითისთვის, 2017 და 2018 წლებში რუსთავის ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკას ყოველწლიურად 8-9 ათასი მკითხველი ეწვია, მათ შორის მხოლოდ 150-მდე იყო უმცირესობის წარმომადგენელი⁶². უაღრესად მნიშვნელოვანია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ თბილისში ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც სტრატეგიის ფარგლებში იმართება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებები მეტი სიხშირით გაიმართოს უმცირესობათა რეგიონებში არსებულ ბიბლიოთეკებშიც. უმცირესობათა რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა არსებული ბიბლიოთეკებისთვის ახალგაზრდებისთვის საინტერესო ფუნქციების დამატება.

4.3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება

შუალედური მიზნის ღონისძიებათა შორის ჩამოთვლილია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა იუბილეები, უმცირესობების ბიბლიოთეკების აღჭურვა, გამოფენები, ლიტერატურული კრებულების გამოცემა, ღონისძიებები უმცირესობათა დღესასწაულების აღსანიშნავად, განხილვები უმცირესობის მწერლების პოეტების, მუსიკოსების შესახებ, ფესტივალები, კონფერენციები, ხსოვნის საღამოები. ასევე პენიტენციულ დაწესებულებებში ინტერკულტურული ღონისძიებები. გამოფენები, ბეჭდური გამოცემები, ესეების კონკურსები, უმცირესობათა გაცნობითი ვიზიტები სახელმწიფო უწყებებში, მრგვალი მაგიდები. ამ შუალედური მიზნის მხარდამჭერი ღონისძიებები ტარდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კულტურული მრავალფეროვნების წახალისების მიზნით 2017 და 2018 წლებში კულტურის სამინისტროში ჩატარდა უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერი კონკურსი. შედეგად, 2017 წელს 16, 2018 წელს კი 11 კულტურული პროექტი დაფინანსდა. კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის თანახმად, კონკურსში ყოველწლიურად 20-მდე ორგანიზაცია მონაწილეობს. პროექტების შერჩევაში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად უმცირესობათა წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას. სამწუხაროდ, კონკურსის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები⁶³. კულტურის სამინისტროს საგრანტო პროგრამის შესახებ ინფორმაცია არც ადგილობრივი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქვთ. როგორც კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, პრობლემურია განხორციელებული პროექტების ხარისხიც⁶⁴.

2017 და 2018 წლებში პანკისის ხეობაში და მის გარეთ ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელთა მიზანი ქისტური და ჩეჩნური კულტურის პოპულარიზაცია იყო. პანკისის ხეობაში ფუნქციონირებს ხუთი

ჩვენ არ ვართ ინტეგრირებული ქართულ კულტურულ ცხოვრებაში, ჩვენ ვიცით თანამედროვე სომეხი და რუსი მომღერლები, სამწუხაროდ არ ვიცით არც ერთი ქართველი მომღერალი, ისინი აქ ძალიან იშვიათად ჩამოდიან.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან

62 ააიპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკის წერილი N 16062-02 29/10/2019

63 ინფორმაციას არ ფლობდნენ ნინოწმინდის, ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულის მერია და საკრებულოს წარმომადგენლები, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორთა აპარატები

64 ინტერვიუ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთან (15 ოქტომბერი, 2019)

კულტურის სახლი და ერთი სამხარეო მუზეუმი, ამ თემს 14 კულტურის სფეროს თანამშრომელი ემსახურება⁶⁵. მიუხედავად ამისა, პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი თემის კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა⁶⁶. კულტურული მრავალფეროვნების წახალისებისთვის მნიშვნელოვანია, უმცირესობების რეგიონებში არსებული სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა და მხარდაჭერა, ტრადიციების შემსწავლელი ღონისძიებების წახალისება და სხვა. მიუხედავად რეგულარულად გამართული ნოვრუზის თუ სხვა ადგილობრივი დღესასწაულებისა, ქვემო ქართლის უმცირესობების

ნაწილს მიაჩნია, რომ ამ დღესასწაულებმა დაკარგეს ავთენტურობა. როგორც თემატურ კვლევაში ადგილობრივი რესპოდენტი აღნიშნავს, ელათის ბაირამზე, რომელიც ამჟამად დმანისობის დღესასწაულით არის ცნობილი, „საქართველოში არსებული სხვადასხვა კულტურა იყო წარმოდგენილი... ახლა კი მხოლოდ ეთნიკურად ქართული კულტურაა“⁶⁷. კიდევ ერთი თემატური კვლევის თანახმად, ნოვრუზის დღესასწაულიც განსხვავებულად აღინიშნება, აქ „ზეიმის ორგანიზატორები ბაძავენ ბაქაში გამართულ ღონისძიებებს და იგიწყებენ იმ განსაკუთრებულ ტრადიციებს, რომელიც ადგილობრივებმა საუკუნეების მანძილზე შექმნეს“⁶⁸.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვან მოქალაქეებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ საკუთარი კულტურული დღესასწაულების და ღონისძიებების გამართვა. სომეხი ეროვნების ბავშვები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში რეგიონის ფარგლებს გარეთაც. სამცხე-ჯავახეთში 3 ქართული და 9 სომხური ცეკვის ანსამბლია, რომელიც მთლიანად სომეხი ეროვნების მოცეკვავეებით არის დაკომპლექტებული. მათ ხშირად იწვევენ გასტროლებზე საქართველოში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში. მაგალითისთვის, ჯიგრაშენის ცეკვის ანსამბლმა კონცერტები გამართა რუმინეთში. ამასთან სამწუხაროა ის, რომ თავად სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული ან ჩართული საქართველოს კულტურული ცხოვრებაში.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის უმცირესობებისთვის პრობლემას წარმოადგენს მათ დასახლებებში ქრისტიანული სიმბოლიკის აღმართვის პრაქტიკა. ასეთ სოფლებად სახელდება სოფლები ჯუშში, სადახლო, სარალი, დამია, შულავერი, დამტაფა, კაპანახი და სხვები. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს არასამთავრობო ორგანიზაციის სარეკომენდაციო დოკუმენტიც⁶⁹.

დასკვნა

სამივე შუალედური მიზანი ხორციელდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ღონისძიებები 2017 და 2018 წლებში ჩატარდა დედაქალაქში, კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ცალკეული ღონისძიებები გაიმართა ქალაქ ბათუმსა და ფოთში. მოკვლეული ინფორმაციის, ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნების გამოტანა.

შუალედური მიზანი 4.1-ის ფარგლებში როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოიცა არაერთი განკარგულება, ბრძანება და დადგენილება, რაც მიზნად ისახავდა უმცირესობების კულტურის მხარდაჭერას. სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი სამინისტროები, სსიპ-ები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და თვითმმართველობები.

შუალედური მიზანი 4.2. განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს უმცირესობათა მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაშია უმცირესობათა ძეგლები როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. პრობლემას წარმოადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საკითხიც.

65 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი (14 ნოემბერი, 2019)

66 პანკისში „ხადარობა“ ეთნიკური ქისტების გარეშე იზეიმეს. შაბათი, 20 ივლისი 2019, <https://radioway.ge/news/people/item/928-pankissshi-%E2%80%99Exadoroba%E2%80%99C-etnikuri-qistebis-gareshe-izeimes>

67 EMC დმანისობა - გადაწერილი დღესასწაული და კულტურული დომინაციის მექანიზმი <https://emc.org.ge/ka/products/dmanisoba-gadatserili-dghesastsauli-da-kulturuli-dominatsiis-mekanizmi>

68 EMC - ნოვრუზი - არ დაგავიწყდეს გაზაფხული! <https://emc.org.ge/ka/products/novruzi-ar-dagavitsqdes-gazafkhuli>

69 რეკომენდაციების პაკეტი მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტისთვის EMC (24 ოქტომბერი, 2019) <https://www.emc.org.ge/ka/products/marneuli-municipality-priority-issues-document-and-budget-for-2020>

უმცირესობათა რეგიონებში ჯერ ისევ არსებობს სიმღერის, რეწვის, კულინარიული და სხვა ტრადიციები, თუმცა, ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებული მათი შესწავლითა და დახვეწით.

შუალედური მიზანი 4.3. კულტურის სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერ კონკურსს. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს კონკურსის შესახებ ინფორმაციის უმცირესობათა თემში გავრცელება და განხორციელებული პროექტების ხარისხი. მნიშვნელოვანია უმცირესობათა სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა და მულტიეთნიკურ ღონისძიებებში უმცირესობათა ჩართულობა. თუმცა, როგორც უმცირესობათა ნაწილს მიაჩნია, ამ ღონისძიებებს აკლია ავთენტური ტრადიციის როგორც ფორმა, ისე მისი შინაარსი.

რეკომენდაციები

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების მეოთხე სტრატეგიული მიზანი საჭიროებს მეთოდოლოგიურ გამართვას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მოკლე და გრძელვადიანი მიზნების შესრულების, მიღწეული შედეგისა და გავლენის შეფასება. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მეოთხე სტრატეგიული მიზნის ამოცანები და ღონისძიებები ემთხვევა „კულტურის სტრატეგია 2025-ის“ 2.2, 2.4 და სპეციფიკურ ამოცანათა ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს. მნიშვნელოვანია წინამდებარე სტრატეგიითა და კულტურის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების კოორდინირებული დაგეგმარება და ანგარიშგება.

შუალედური მიზანი 4.1. სასურველია კულტურის პოლიტიკის წარმოების პროცესში უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობა, როგორც კულტურის სამინისტროს ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და საკრებულოების დონეზე. კულტურის სამინისტროს შესაძლებლობა აქვს ხელი შეუწყოს მის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო სსიპ-ები (მაგალითად, პოპულარული სუბიშვილების ნაციონალური ბაღეტი, ანსამბლები „ერისიონი“, „რუსთავი“, „ბასიანი“ და სხვ.) რეგულარულად ჩაატარონ უმცირესობათა რეგიონებში საგასტროლო და სხვა სახის ღონისძიებები.

შუალედური მიზანი 4.2. უმცირესობათა მატერიალური მემკვიდრეობის არაერთი ძეგლის პრობლემური მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისმა სამინისტროებმა და სსიპ-ებმა დროულად უზრუნველყონ ძეგლთა აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, გამაგრება და რესტავრაცია. ამ პროცესში, რელევანტურმა უწყებებმა უნდა ითანამშრომლონ უმცირესობის სათემო ორგანიზაციებთან და თემის სხვა წარმომადგენლებთან. ყურადღება უნდა დაეთმოს უმცირესობათა ისეთი არამატერიალური კულტურის შესწავლას და დაცვას როგორცაა უმცირესობათა თემებში თაობების მიერ შემონახული ზეპირი ისტორიები, ლეგენდები, სიმღერები, პოეზია, ხელნაკეთი ნივთების, საკვებისა და სასმელი პროდუქტების დამზადების ტრადიციები და სხვა. შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ხელი უნდა შეუწყონ უმცირესობების რეგიონებში ტურიზმის განვითარებას, ტურისტული მარშრუტების შექმნასა და ტურისტული (სასაჩუქრე, საკვები და ა.შ.) პროდუქტების შემუშავებასა და დამზადებას ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით და ხელობის მცოდნეთა ჩართულობით. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალურ მუზეუმებში წარმოჩენილი იყოს უმცირესობათა ტრადიციები, ისტორია, კულტურა და წვლილი საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში. ხელისუფლებამ შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგას უმცირესობათა რეგიონებში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის.

შუალედური მიზანი 4.3. სასურველია, რომ უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერი კონკურსის შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს მუნიციპალიტეტებისა და საკრებულოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რეგიონული მედიასაშუალებებით. კონკურსში პრიორიტეტულად უნდა გამოიყოს ადგილობრივი ტრადიციების, რეწვის, კულინარიისა და ა.შ. შესწავლა, წარმოება და პოპულარიზაცია მდგრადი და გრძელვადიანი პროგრამების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ კულტურული მრავალფეროვნების წამახალისებელი ღონისძიებების დაგეგმვისას ყურადღება გამახვილდეს უმცირესობათა კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციაზე და დახვეწაზე. თავად უმცირესობათა თემებში ჯერ კიდევ არსებული ტრადიციული დღეობები უნდა შენარჩუნდეს მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმითა და შინაარსით. სასურველია, მოხდეს უმცირესობათა დასახლებებში ქრისტიანული სიმბოლოების განთავსების საკითხის კონსტრუქციული განხილვა.

დანართი 1

ლიტერატურის სია

უმცირესობათა მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015–2020 წწ. სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი;
- ულტრამემარჯვენე პოპულიზმის სოციალური საფუძვლები საქართველოში, სალომე მინესაშვილი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2019 წელი;
- კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისათვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები“, პოლიტიკის ნარკვევი, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM), 2018 წელი;
- Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities. Third opinion on Georgia, adopted on 7 March 2019;
- 20 years of dealing with Diversity: Is the framework Convention at a crossroad? European Centre for Minority Issues (ECMI), 2019;
- SOCIAL EXCLUSION AND INCLUSION IN GEORGIA: A Country Social Analysis; The International Bank for Reconstruction and Development/ The World Bank, April 2017.
-

მედია

- საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის 2 პარაგრაფის შესაბამისად. 2017. <https://rm.coe.int/third-state-report-georgia-in-georgian-/168075fc5d>
- ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), CRRC–საქართველო. 2018. საზოგადოებრივი აზრის კვლევა
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015–2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879>
- სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. 2019. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა. <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>
- მედიის განვითარების ფონდი (MDF). 2017. მუსლიმი ახალგაზრდების საჭიროებების, კომუნიკაციისა და ინფორმაციის წყაროების კვლევა http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/81/file/muslimi_axalgazrdebis_saWiroebebis_komunikaciisa_da_informaciis_wyaroebis_kvleva.pdf
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ცენტრი (TDI). 2017. სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი. <https://tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf>
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო უწყებთაშორისი კომისია. 2018. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. http://smr.gov.ge/Uploads/report_864b8967.pdf

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. 2019. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. http://smr.gov.ge/Uploads/Report2018_283bcb5d.pdf
- კინწურაშვილი, თ., ს. გელავა და ა. ჩიტაძე. 2019. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება. მედიის განვითარების ფონდი http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_research/159
- OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights. 2016. Ethnic minorities and civic integration in Georgia. <https://www.osce.org/odihr/271456>
- Devroe, Ilse. 2004. 'This is not who we are': Ethnic minority audiences and their perceptions of the media. Paper presented at the Conference Dialogue 'Communication and Cultural Diversity'. http://www.portalcomunicacion.com/dialeg/paper/pdf/9_devroe.pdf
- Cowen, Carlyn, Dautil Florian, Mansour Hossam, Moreno Edgar, Siu Emily and Thomassian Vache. 2013. National Minorities and Civic Integration in Georgia. United Nations Association of Georgia
- Zeynep, Arslan, Giorgi Bobghiasvili, Leyla Djafarova and Eviya Hovhannisyan. 2018. Representation of Minorities in the Media in Armenia, Azerbaijan, Georgia, and Turkey. The Center for Independent Social Research – Berlin (CISR-Berlin) <http://caucasusedition.net/wp-content/uploads/2018/02/Representation-of-Minorities-in-the-Media-in-Armenia-Azerbaijan-Georgia-and-Turkey.pdf>

განათლება

- EPPM, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, პოლიტიკის მიმოხილვა, http://eppm.org.ge/wp-content/uploads/2019/04/Policy-brief_EQF_GEO_-FI-NAL-22.04.2019.pdf
- განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017–2021. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2017. http://mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf
- გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, მოკლე მიმოხილვა, 2018, <https://www.unicef.org/georgia/media/1041/file/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf>
- გორგაძე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით "(1+4 პროგრამით) მოსარგებლე პირების სტაჟირების პროგრამის ეფექტურობის კვლევის ანგარიში, UNAG, 2019,
- გორგაძე, ნ., ტაბატაძე, შ., ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები, 2018, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი, https://cciiir.ge/images/pdf/CCIIIR%20research%20report_2017.pdf
- ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2016

კულტურა

- საქართველოს კონსტიტუცია
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია
- **Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities.** Third opinion on Georgia, adopted on 7 March 2019
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო <https://www.heritagesites.ge/uploads/files/5d5e423eb440d.pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წელი
- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი
- **Georgia 2018 International Religious Freedom Report.** <https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/05/GEORGIA-2018-INTERNATIONAL-RELIGIOUS-FREEDOM-REPORT.pdf>
- ლიბერალი „სამცხე-ჯავახეთის უჩინარი მეჩეთები“ <http://liberali.ge/articles/view/24435/samtskheja-vakhetis-uchinari-mechetebi>
- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული ინფრასტრუქტურა <http://mcs.gov.ge/Cultural-infrastructure.aspx>
- გერმანული კულტურული მარშრუტი საქართველოში, 2017, <https://rm.coe.int/168070ce59>
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბრძანება 2/11, 23.03.2018 <https://www.heritagesites.ge/uploads/files/5b7432febfc2e.pdf>
- ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში <http://culturalroutes.gov.ge/Routes/saqartvelos-kulturuli-marshrutebi.aspx>
- პანკისში „ხადორობა“ ეთნიკური ქისტების გარეშე იზეიმეს. შაბათი, 20 ივლისი 2019, <https://radioway.ge/news/people/item/928-pankisshi-%E2%80%99Exadoroba%E2%80%99C-etnikuri-qistebis-gareshe-izeimes>
- EMC დმანისობა - გადაწერილი დღესასწაული და კულტურული დომინაციის მექანიზმი <https://emc.org.ge/ka/products/dmanisoba-gadatserili-dghesastsauli-da-kulturuli-dominatsiis-mekanizmi>
- EMC - ნოვრუზი - არ დაგავიწყდეს გაზაფხული! <https://emc.org.ge/ka/products/novruzi-ar-daga-vitsqdes-gazafkhuli>
- EMC რეკომენდაციების პაკეტი მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისთვის და ბიუჯეტისთვის (24 ოქტომბერი, 2019) <https://emc.org.ge/ka/products/emc-s-rekomen-datsiebis-da-khedvebis-dokumenti>

